178
1983

ISSN 0132-5981

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სპორტი

3 1983

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი
ივნისი

1988 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

სახალხო მსაჯულთა პირველი რესპუბლიკური კრება 3

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი და რესპუბლიკის სამართალ-დაცვითი ორგანოების ამოცანები 5

რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავისათვის

გ. ფირცხალავა — შემოგბრუნების პუნქტი რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში 9

ა. შუშანაშვილი — სახალხო მსაჯული. 18

ელ. ახვლედიანი — სოციალისტური საერთო-სახალხო დემოკრატიის არსი და ფუნქციონალური დანიშნულება 27

კანონის კომენტარი

შ. კუკულაძე — თანამდებობრივი დანაშაულის გამიჯვნა სოციალისტური საკუთრების დატაცებისაგან, რომელიც ჩადენილია თანამდებობის ბო-როტად გამოყენებით 33

ე. დაშთამიროვი — ერთგვაროვან გაუფრთხილებელ დანაშაულთა შემადგენლობების გამიჯვნა 40

საერთაშორისო თემაზე

გ. ფარვიზფური — სპარსეთის ყურე პენტაგონის აგრესიულ გეგმებში . . . 46

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

დ. მელიქიშვილი — შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა . 54

რედაქციაში წერილი მოვიდა

ა. არსენაშვილი — შეცდომა, დაუდევრობა, თუ...? 60

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი

ვ. სიდამონიძე — რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან 62

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ტყეშელიაძე — კომპლექსური ნაშრომი ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ . 67

ინფორმაცია. 76

СОДЕРЖАНИЕ

Первое республиканское собрание народных заседателей . . . 3

Июньский Пленум ЦК КПСС и задачи правохранительных органов республики 5

К 80-летию II съезда РСДРП

Г. Пирцхалава — Поворотный пункт в истории русского и международного рабочего движения 9

А. Шушанашвили — Народный заседатель 18

Э. Ахвледиани — Сущность и функциональное назначение социалистической общенародной демократии 27

Коментарии закона

Ш. Кукуладзе — Разграничение должностного преступления от хищения социалистической собственности путем злоупотребления служебных обязанностей 33

Э. Даштамиров — Разграничение сходных составов неосторожных преступлений 40

На международную тему

Б. Фарвизпур — Персидский залив в агрессивных планах Пентагона . 46

Первые шаги в науке

Д. Меликишвили — Некоторые правовые проблемы усыновления . 54

В редакцию пришло письмо

А. Арсенашвили — Ошибка, халатность, или...? 60

К 200-летию Георгиевского трактата

В. Сидамонидзе — Из истории русско-грузинских государственных отношений 62

Критика и библиография

Г. Ткешелиадзе — Комплексные исследования о борьбе с наркомании . 67

Информация 76

სარედაქციო კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), ვ. ინწკირველი, ა. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი, ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი", 1983 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, პლეხანოვის ქ. 105. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა ასაწყობად 1.VII. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.VIII. 83 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5
შეკვ. № 1657 ტირაჟი 15.800 უე 01243

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17541

სახალხო მსაჯულთა პირველი რესპუბლიკური კრება

წლეულს, 25 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა სახალხო მსაჯულთა პირველი რესპუბლიკური კრება. აქ მოწვეული იყვნენ აგრეთვე პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, სასამართლო ორგანოების, იუსტიციის და საბჭოთა მუშაკები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი **ა. ა. შუშანაშვილი.**

გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ა. ედიშერაშვილმა,** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, № 2564 ავტოსატრანსპორტო კოლონის ზეინკალმა **ვ. ი. არსალიამ,** ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **ი. ი. ტყეშელაშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ს. შუღაროვმა,** ქ. თბილისის ლენინის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ინჟინერმა **ა. გ. მამამთავრიშვილმა,** სამხრეთ-ოსეთის საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, ცხინვალის საქალაქო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა **ი. ს. კოტაევმა,** საქართველოს სსრ პროკურორმა **ა. მ. ბარაბაძემ,** აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, „სოიუზპეჩატის" პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ე. დ. ჯიჯავაძემ,** გარდაბნის რაიონის სოფელ კართკლინის საშუალო სკოლის დირექტორმა **კ. ბ. ვალიევმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, საზოგადოება „ცოდნის" თბილისის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ **ნ. ვ. გამრეკელმა,** თელავის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, თელავის მე-5 საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ **ნ. ვ. გივიშვილმა,** მცხეთის რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, მცხეთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ინჟინერმა **ლ. შ. ბიგანაშვილმა,** ქ. ფოთის სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, ფოთის მუსიკალური სკოლის პედაგოგმა **ლ. ი. ალანიამ,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულმა, მწერალმა **გ. ა. ნატროშვილმა,** თბილისის საქალაქო სასამართლოს სახალხო მსაჯულმა **ნ. ვ. ბერეზრიანიკოვმა.**

ქ. მარჯანის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბ. აკუგლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ჯ. ვ. გილაშვილმა.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. **ი. ვ. ანდროპოვის** გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფის, მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის შემდგომი აქტივიზაციისა და სამართალდარღვევის პროფილაქტიკის მიზნით რესპუბლიკურმა კრებამ შესაბამისი რეკომენდაციები მიიღო.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ნ. რ. საჯაია,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ჯ. კუხალაშვილი,** რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი **გ. ი. ბვეტაძე.**

—·—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი და რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბოლოდროინდელი ცხოვრება აღსავსეა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებით, რომლებსაც ჩვენი ქვეყანის განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის მომავლისათვის ნამდვილად საეტაპო მნიშვნელობა აქვთ. ამ მოვლენათა რიგს განეკუთვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმები, მათი გადაწყვეტილებები, ამ პლენუმებზე პარტიის ლიდერის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული ღრმა შინარსის შემცველი სიტყვები, რომლებშიც მარქსისტულ-ლენინური თეორიული დებულებანი შესანიშნავად არის დაკავშირებული იმ პრაქტიკულ ამოცანებთან საბჭოთა სახელმწიფომ რომ უნდა გადაწყვიტოს უახლოეს ხანს.

1983 წლის ივნისის პლენუმზე პარტიამ ნათლად განსაზღვრა თავისი პრინციპული მიდგომა იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი. „ყველა საფეხურის პარტიულმა კომიტეტებმა, — თქვა პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა. — ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეიგნონ, რაგინდ დიდმნიშვნელოვანიც უნდა იყოს სხვა საკითხები, რომლებზედაც ისინი მუშაობენ (სამეურნეო ,ორგანიზაციული და სხვა), იდეოლოგიური მუშაობა ხულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე“[1].

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა ადამიანის შეგნების ჩამოყალიბება მთელი პარტიის საქმეა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს საკვანძო სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია პარტიის ყოველდღიური, გულმოდგინე, გააზრებული იდეოლოგიური მუშაობის გარეშე. თუმცა მარტოოდენ იდეოლოგიური საქმიანობა ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს ვერ გადაჭრის, მაგრამ მისმა შეუფასებლობამ შეიძლება შეაფერხოს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესები, გამოიწვიოს ბევრი ნეგატიური მოვლენა „ჩვენ,— აღნიშნა პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა, — ნათლად ვხედავთ, თუ რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს ამ მუშაობის ხარვეზებს, ადამიანთა მოუმწიფებელ შეგნებას, როცა ამას ვხედებით ხოლმე. და პირიქით, ჩვენ უკვე დღეს კარგად ვგრძნობთ, რაოდენ მატულობს წინსვლის ტემპი, როცა იდეოლოგიური მუშაობა უფრო ეფექტიანი ხდება, როცა მასები უკეთ ერკვევიან პარტიის პოლიტიკაში, აღიქვამენ მას საკუთარი ხალხის ინტერესების შესაბამის პოლიტიკად“[2].

რესპუბლიკის კომუნისტები, მათ შორის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები და სწავლული იურისტები უკვე შეუდგნენ პლენუმის მასალების საფუძვლიან შესწავლას, მოსახლეობაში მათს ახსნა-განმარტებასა და პროპაგანდას. ახლა ისინი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ შეიმუშაონ აგრეთვე ღონისძიებათა გეგმა იმ მასშტაბური ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც მათ პლენუმმა დაუსახა.

იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესებამ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის სამართალდაცვით ორგანოებს შემოქმედებითი, ნოვატორული სტილის შემუშავებასა და დამკვიდრებაში, რაც გულისხმობს აგრეთვე შეუწყნარებლობას ყოველივე იმისადმი, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალისა და ზნეობის ნორმებს. ცხოვრების სოციალისტურ წესს.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, უწინარესად პროკურატურა, მოწოდებული არიან გააჩაღონ ბრძოლა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ბიუროკრატიზმის, უწყებრიობისა და კუთხურობის გამოვლენათა დაძლევისათვის, სახელმწი-

---

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 6.

2 იქვე, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო გეგმებისა და დავალებების შესრულებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყოველგვარი ნედლეულისა და ენერგიის დაზოგვისათვის. ეს ხანმოკლე კამპანია არ არის და გულმოდგინე, ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. წარმატება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩვენი ორგანოები თავიანთ მუშაობაში დაეყრდნობიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელის შრომითსა და სოციალურ აქტიურობას, მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას.

ნამდვილი ომი უნდა გამოვუცხადოთ კანონებისადმი უპატივცემულობას. ამისათვის პასუხი უნდა ვაგებინოთ ყველას, თანამდებობის მიუხედავად. ამას აქვს პრინციპული და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც, ვინაიდან საბჭოთა კანონი, რომელიც მიღებულია საგულდაგულო, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ, განუხრელად უნდა ხორციელდებოდეს. „ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ნორმალური მიმდინარეობა, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა, — წარმოუდგენელია ისე, თუ უმკაცრესად არ შესრულდა კანონები, რომლებიც იცავენ საზოგადოების ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს. საჭიროა, კერძოდ, მთლიანად მოვუღოთ ბოლო ისეთ მოვლენას, როგორიც არის პირადი გამდიდრების მიზნით სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების შემთხვევები. რადგან, თუკი ჩავუფიქრდებით, ეს სხვა არა არის რა, თუ არა თვით ჩვენი წყობილების არსისათვის ძირის გამოთხრა. აქ კანონი შეურიგებელი უნდა იყოს, ხოლო მისი გამოყენება გარდაუვალი. ხალხის ინტერესების დაცვა ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი საფუძველია“[3].

პლენუმზე ითქვა, რომ ზოგჯერ ვაწყდებით სოციალისტური კანონების დარღვევის ფაქტებს, ძირგამომთხრელ პოლიტიკურ საქმიანობას, რომელსაც რელიგიის ნიღაბი აქვს აფარებული. ასეთი ფაქტების მიმართ უნდა შეექმნათ შეუწყნარებლობის ვითარება, დავრაზმოთ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი, სათანადო პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მივცეთ მათ. ჩვენს ქვეყანაში სინდისის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციით. მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს ვინმეს უფლება ჰქონდეს უბოდიშოდ დაარღვიოს საბჭოთა კანონმდებლობა რელიგიის შესახებ. უფრო მკაცრად უნდა მოვთხოვოთ იმათ, ვინც ამას არ ითვალისწინებს, მით უფრო, რომ აქა-იქ არის ასეთ გამოვლენათა მცდელობა.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, აღინიშნა პლენუმზე, უწყვეტი და რთულია, დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ და ყოფა-ცხოვრების პირობებზე. ამასთან სიმწიფის ხანაში შესული ახალი თაობების განათლების მნიშვნელოვნად გაზრდილი დონე ყველა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ახალი ადამიანი შორეული იდეალი კი არ არის, არამედ ჩვენი დღეების რეალობაა. პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს, როგორც უნიადაგო და მეცნიერულად მიუღებელი, კონცეფციები, რომლებიც ადამიანის ისეთ თვისებებს, როგორიც არის პატიოსნება, გამბედაობა, წესიერება, ხსნიან „დადებითი“ გენების არსებობით და ამით ფაქტობრივად უარყოფენ იმას, რომ ადამიანში ამ თვისებებს აყალიბებს სოციალური გარემო. მშრომელთა შეხედულებები და განწყობილებები ყალიბდება აგრეთვე არა მარტო წარმატებებისა და მიღწევების, არამედ ნაკლოვანებებისა და სიძნელეების გავლენითაც. ეს გარემოებანი იწვევს ცვლილებებს ადამიანთა შეგნებაში. ჩვენს საზოგადოებაში, ისევე როგორც ყოველ სოციალურ ორგანიზმში, ბრძოლა წარმოებს ახალსა და ძველს შორის. ეს, აგრეთვე სხვა ნეგატიური ტენდენციებიც სოციალიზმისათვის დამახასიათებელი არაანტაგონისტური წინააღმდეგობებიც გავლენას ახდენს საბჭოთა ადამიანის ფორმირებაზე. ჩვენს საზოგადოებაში, თქვა პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა, „ბევრია ობიექტურად განპირობებული სიძნელენი, რაც ბუნებრივია განვითარების ახლანდელი დონისათვის. მრავლად არის ნაკლოვანებებიც, რაც გამოწვეულია სუბიექტური მიზეზებით, ადამიანთა არცთუ მთლად მარჯვე და ორგანიზებული მუშაობით“[4]. ამოცანა ის არის,რომ ეს მითითებები, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის იდეა საფუძვლად დაედო მთელ ჩვენს მუშაობას.

იდეოლოგიურ დაწესებულებებთან ერთად სამართალდაცვითი ორგანოები მოვალენი არიან მის შესაბამისად კიდევ უფრო გაამწვავონ ბრძოლა ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, შექმნან შეუწყნარებელი ვითარება დამნაშავეობისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევისადმი. „ადამიანის აღზრდა, — აღნიშნა თავის მოხსენებაში კ. უ. ჩერნენ-

---

3 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 19.

4 იქვე, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომ, — განუყოფელია ლოთობის, ხულიგნობისა და მუქთახორობის, სპეკულაციისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და მომხვეჭელობის წინააღმდეგ ყველაზე ენერგიული ბრძოლისაგან. სწორი არ იქნებოდა მთელ ამ მახინჯ გამოვლინებებში, რომლებიც მშრომელთა შეშფოთებასა და სამართლიან გულისწყრომას იწვევს, ვხედავდეთ მარტო „წარსულის გადმონაშთებს" ადამიანის შეგნებასა და ქცევაში. ბევრი ამ მუწუკის მიზეზები უნდა ვეძიოთ აგრეთვე დღევანდელ პრაქტიკაში, ამა თუ იმ მუშაკის შეცდომებში, ჩვენი განვითარების რეალურ პრობლემებსა და სიძნელეებში, აღმზრდელობითი საქმიანობის ნაკლოვანებებში. ამიტომ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის საჭიროა არა მარტო განუწყვეტელი პროპაგანდისტული მუშაობა, არამედ ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებებიც"[5].

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა მეტისმეტად გამარტივებული უწოდა დებულებას, თითქოს „ცხოვრების დონის ამაღლება" გულისხმობს მხოლოდ მოსახლეობის შემოსავლის ზრდას და მოხმარების საგნების წარმოებას, და ხალხის ცხოვრების მაღალი დონის მაჩვენებელ კრიტერიუმებს შორის პირველ რიგში დაასახელა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი[6].

იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია სამართლებრივი პროპაგანდა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა. კომუნისტური ზნეობის დამკვიდრებისათვის, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ყველა სფეროში კანონიერების ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი პროპაგანდის გაფართოებას, მის სრულყოფას. ჩვენში უკვე შეიქმნა მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მწყობრი სისტემა: სამართლის საფუძვლებს სწავლობენ საშუალო სკოლებში, პროფტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში; შექმნილია ათასობით სახალხო უნივერსიტეტი; გაფართოვდა იურიდიული ლიტერატურის გამოცემა; მილიონიანი ტირაჟებით გამოდის იურიდიული ჟურნალები; სამართლებრივ პროპაგანდას დიდ ყურადღებას უთმობენ მასობრივი ინფორმაციის ორგანოები — პრესა, რადიო, ტელევიზია; სამართლებრივი აღზრდის საკითხებს ბოლო ხანს ითვალისწინებს თითქმის ყველა დიდი საწარმო თავის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში. მაგრამ, როგორც პლენუმზე ითქვა, სამართლებრივი პროპაგანდა ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ხელს ვერ უწყობს მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, გამორიცხული არ არის ამ საქმეში ფორმალიზმიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებაში მოყვანილი იყო ასეთი მაგალითი: „ბოლო სამ წელიწადში ლენინაბადის საოლქო კომიტეტმა 40-ზე მეტჯერ განიხილა სამართლებრივი აღზრდისა და მართლსწესრიგის განმტკიცების საკითხები, სამართალდარღვევათა რიცხვი კი ოლქში კვლავ მატულობს"[7]. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ფაქტები ქვეყნის სხვა რეგიონებში და ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონშიც იქნება.

სანიმუშო მართლწესრიგის უზრუნველყოფის საქმეში დიდ როლს ასრულებს თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება. ადამიანთა ჯანმრთელობა, მხნეობა, განწყობილება მარტო მედიცინაზე არ რის დამოკიდებული. დასვენების ორგანიზაცია ჩვენში კვლავ პრობლემად რჩება. ჯერ ერთი, არ გვყოფნის სპორტული კომპლექსები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარკები, ხოლო რაც გვაქვს ისიც არ არის სათანადოდ გამოყენებული უწყებრივი ბარიერების არსებობის გამო ან სხვა მიზეზით. ხშირად კინოთეატრებში, კულტურის სახლებში, პარკებში შექმნილი არ არის დასვენებისა და გართობის ელემენტალური პირობები. მშრომელთა თავისუფალი დროის სწორად გამოყენებაში კი დიდი მოვალეობა აკისრიათ სამართალდაცვით ორგანოებს, ვინაიდან, როგორც პლენუმზე ითქვა, „დასვენების საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა სიმშვიდისა და პირადი უშიშროების საიმედო უზრუნველყოფის საკითხებთან. ცენტრალური კომიტეტი მკაცრად მოჰკითხავს იმათ, ვისაც მინდობილი აქვს ეს პასუხსაგები საქმე და, უწინარეს ყოვლისა, მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებს"[8].

---

5 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, თბ., „საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 45.

6 იხ. იქვე, გვ. 15.

7 იქვე, გვ. 63.

8 იქვე, გვ. 27.

ერთ წერილში შეუძლებელია არა მარტო დეტალური განხილვა იმ ამოცანებისა, რომლებიც პლენუმმა დაუსახა სამართალდაცვით ორგანოებს, არამედ მათი მთლიანად ჩამოთვლაც კი. შეიძლება ითქვას, რომ პარტიის ისტორიაში ძნელია დავასახელოთ სხვა ისეთი პლენუმი, რომელსაც ამდენი, თავისი ხასიათით რთული და მასშტაბური ამოცანები დაესახოს სამართალდაცვითი ორგანოებისათვის და, საერთოდ, იურისტებისათვის. იურისტის აქტიური მონაწილეობისა და თანადგომის გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს ისეთი პრობლემები, რომლებიც პლენუმმა გადაუდებლად მიიჩნია: შრომის დისციპლინის განმტკიცება და შრომის სამართლიანი ანაზღაურების მოგვარება: სახელმწიფო და სამეურნეო მექანიზმის მუშაობის თანამიმდევრული გაუმჯობესება; სახელმწიფო და სოციალურ-ეკონომიკური გეგმების განხორციელება; დაგეგმვის საქმის სრულყოფა; სამეურნეო ხელშეკრულებათა შესრულებაში უწესირგობის აღმოფხვრა; შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის აუცილებელი სისტემის შემუშავება; კუთხურობის, უწყებრიობის, ბიუროკრატიზმის და კონსერვატიზმის დაძლევა და მრავალი სხვა.

პლენუმმა დიდი ამოცანები დაუსახა საზოგადოებრივ, მათ შორის იურიდიულ მეცნიერებას. განვითარებული სოციალიზმის პირობებში მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. საბჭოთა საზოგადოებათმცოდნენი, მათ შორის სწავლული იურისტები მოვალენი არიან უფრო ღრმად ჩაწვდნენ პარტიის პოლიტიკას დღევანდელობის პირობებში; ღრმად შეისწავლონ ჩვენი საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა; სახელმწიფო საკუთრების და საკოლმეურნეო კოოპერაციული საკუთრების შერწყმა; შრომის რაოდენობისა და და ხარისხის მიხედვით განაწილების პრინციპი; სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის და ჩვენი საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის საკითხები; მონაწილეობა მიიღონ სკოლისა და პროფტექნიკური განათლების სისტემის რეფორმაში, სკკპ ახალი პროგრამის შემუშავებისათვის მოსამზადებელ მუშაობაში და სხვა.

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე რესპუბლიკაში იურიდიული მეცნიერების ორგანიზაცია და დაგეგმვა, მუშაობის სტილი და მეთოდები. საკუთარი „სადისერტაციო" და ჯგუფური ინტერესების ნაკუნში მოქცევა, პარტიული გავლენის სისუსტე, რომლებზეც ლაპარაკი იყო პლენუმზე, მთლიანად და სავსებით შეეხებათ ქართველ სწავლულ იურისტებსაც.

პლენუმმა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა საბჭოთა პერიოდიკას და მათ შორის უწყებრივ ჟურნალებს. ეს ჩვენგან მოითხოვს უზრუნველვყოთ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" პუბლიკაციების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, მათი პრაქტიკული ღირებულების გაზრდა. ისევე როგორც მთლიანად იურიდიული მეცნიერება, ჟურნალიც მოვალეა მუშაობდეს მომავლის უფრო მეტი ორიენტაციით, დროულად ამჩნევდეს მომწიფებულ ტენდენციებს, იძლეოდეს დასაბუთებულ პროგნოზებს, ხარისხოვან მეცნიერულ რეკომენდაციებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მთელი მუშაობის სულისკვეთება თითქოს იყო მოწოდება პარტიისა და ხალხისადმი: განვეწყოთ საქმისათვის და არა მაღალფარდოვანი სიტყვებისათვის. ამით უნდა განვიმსჭვალოთ ჩვენც, პლენუმის გადაწყვეტილების შესრულებას უნდა მოხმარდეს მთელი ჩვენი ძალისხმევა, სამართალდაცვითი ორგანოების ყველა მუშაკის, კომუნისტის, სწავლული იურისტის ძალ-ღონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოგრუნების პუნქტი რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში

პროფ. ბ. ფირცხალავა

წლეულს 30 ივლისს სრულდება 80 წელი რსდმპ II ყრილობის გახსნის დღიდან. ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან, როგორც ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რსდმკ II ყრილობის 80 წლისთავის შესახებ", „დაამთავრა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ შემუშავებულ იდეურ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე რუსეთის რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაციების გაერთიანების პროცესი. ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა ახალი ტიპის პარტია — მუშათა კლასის პარტია, მეცნიერული კომუნიზმის პარტია, სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური აღმშენებლობის პარტია"[1].

I

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმოშობა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო. იგი განაპირობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში შექმნილმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირეულმა მოთხოვნებმა.

ცნობილია, რომ ორი საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში გადაიზარდა. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის კაპიტალიზმიც. მართალია, რუსეთი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩამორჩებოდა, რადგან იგი კაპიტალისტურ გზას გვიან დაადგა, მაგრამ კაპიტალისტური მრეწველობა აქ ისეთი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, რომლის მსგავსი არ იცოდა მსოფლიოს არც ერთი კაპიტალისტური ქვეყნის ისტორიამ. 1892-1901 წლებში რუსეთში თუჯის გამოდნობა, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ფოლადის წარმოება ხუთჯერ და მეტად. მრეწველობის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დარგში პროდუქციის წარმოების დონის მხრივ იგი დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს მიუახლოვდა, ზოგ დარგში კიდევაც გაუსწრო. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთს ნავთობის მოპოვებაში პირვე-

[1] გაზ. „კომუნისტი", 1983 წ. 5 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ადგილი ეკავა მსოფლიოში. სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლიური მატების ტემპის მხრივ მან გაუსწრო საფრანგეთს, გერმანიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს. 40-იან წლებში წარმოების წლიურმა მატებამ რუსეთში საშუალოდ 8,5 პროცენტი შეადგინა, საფრანგეთში კი — 1,6 პროცენტი, გერმანიაში —2,4 პროცენტი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 3,3 პროცენტი.

ახასიათებდა რა 1861 წლის რეფორმის შემდეგ ქვეყანაში შექმნილ მდგომაოეობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „61 წლის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ისეთი სისწრაფით წარიმართა, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა ცვლილებანი, რომლებსაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები მოუნდა"[2].

ბუნებრივია, რომ კაპიტალიზმის განვითარებას თან მოჰყვა სამრეწველო პროლეტარიატის — ერთადერთი თანამიმდევრული და ბოლომდე რევოლუციური კლასის — წარმოშობა, რომელიც როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად სწრაფად იზრდებოდა. XIX საუკუნის დასასრულს რუსეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში 10 მილიონამდე მუშა იყო დასაქმებული.

კაპიტალისტები პროლეტარიატს უმოწყალო ექსპლოატაციას უწევდნენ, მუშათა სამუშაო დღე 15-16 საათს უდრიდა, მათხოვრული ხელფასი მათ მხოლოდ პურისათვის თუ ჰყოფნიდათ, საცხოვრებელი პირობები საშინელი იყო. ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად მუშათა მასები მეფის თვითმპყრობელობის მხრივ სასტიკ პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ყოველგვარი თავისუფალი, პროგრესული აზრი სასტიკად იდევნებოდა. ყოველივე ეს მუშათა მასების სასტიკ უკმაყოფილებას იწვევდა. სულ უფრო მწვავდებოდა პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიისა და ცარიზმის წინააღმდეგ. მარტო 1895-1899 წლებში, არასრული მონაცემებით, რუსეთში გაფიცულ მუშათა რიცხვმა 400-450 ათასს მიაღწია.

ისტორიის ასპარეზზე მუშათა კლასის გამოსვლამ, იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი უკიდურესობამდე გამწვავებული წინააღმდეგობების განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინებამ, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაფართოება-გაღრმავებამ, მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა მძლავრმა ვამოსვლებმა განაპირობა რევოლუციური მოძრაობის ცენტრის დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმონაცვლება.

ამრიგად, რუსეთში მომწიფდა ობიექტური პირობები პროლეტარული პარტიის დაარსებისათვის. ამ პირობებთან ერთად იყო სუბიექტური ფაქტორებიც, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის წარმოშობა, განვითარება და განმტკიცება.

გასული საუკუნის 80-იან წლებში რუსეთში იწყება მარქსიზმის — მუშათა კლასის ბრძოლისა და გათავისუფლებისათვის, ძველი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დაფუძნებული სამყაროს რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის მოძღვრების — გავრცელება. მაგრამ ამ მოძღვრებას ბევრი მტერი და მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. მისი უპირველესი მტერი იყო ცარიზმი.

---

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ქოფაკივით იცავდა გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების სასიცოცხლო ინტერესებს, მხეცურად სდევნიდა პროგრესული, მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის, თავისუფლებისათვის მებრძოლებს.

მაგრამ ბოროტმა ძალებმა ვერ შეძლეს მარქსისა და ენგელსის უკვდავი იდეების გავრცელების შეჩერება, მათთვის გზის ჩახშობა. იქმნებოდა არალეგალური წრეები და ორგანიზაციები. სადაც მოწინავე მუშები და რევოლუციონერი ინტელიგენტები ხარბად ეწაფებოდნენ, გულმოდგინედ ეუფლებოდნენ მარქსისტულ რევოლუციურ თეორიას, რომელიც მათ ბრძოლისა და გამარჯვების უტყუარ იარაღად მიაჩნდათ. „გასული საუკუნის 40-იანიდან 90-იან წლებამდე, — წერდა ლენინი, — რუსეთის მოწინავე აზროვნება, უმაგალითოდ მხეცური და რეაქციული ცარიზმის უღელქვეშ, ხარბად ეძებდა სწორ რევოლუციურ თეორიას, განსაცვიფრებლად გულმოდგინედ და ბეჯითად ადევნებდა თვალყურს ევროპისა და ამერიკის ყველა და ყოველ „უკანასკნელ სიტყვას“ ამ დარგში. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჭეშმარიტად ტანჯვით მოიპოვა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების. სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით“[3].

მარქსიზმის, მეცნიერული სოციალიზმის იდეების მუშათა მოძრაობასთან შეერთებაში, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნაში მთავარი გადამწყვეტი როლი ვ. ი. ლენინმა შეასრულა. ვ. ი. ლენინმა, რომელშიც უდიდესი თეორიული სიძლიერე და მასებისადმი, როგორც ისტორიის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალისადმი, ღრმა რწმენა ორგანულად იყო შერწყმული მის ბრწყინვალე ორგანიზატორულ ნიჭთან, მტკიცედ დაიცვა მარქსიზმი აშკარა და ფარული მოწინააღმდეგეებისაგან (ლიბერალური ნაროდნიკობა, „ლეგალური მარქსიზმი“, „ეკონომიზმი“ და სხვ.) და ახალი დებულებებითა და დასკვნებით გაამდიდრა, შემდგომ განავითარა იგი.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ აუცილებელია ჭეშმარიტად რევოლუციური პარტია და შეუდგა მისი შექმნისათვის ბრძოლას. მან შეიმუშავა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის გენიალური გეგმა, რომლის ძირითადი რგოლი იყო საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის შექმნა, რაც კიდევაც განხორციელდა 1900 წელს. ამავე წლის დეკემბერში საზღვარგარეთ გამოვიდა გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი. გაზეთი არალეგალურად შემოჰქონდათ და ვრცელდებოდა რუსეთში.

„ისკრა“ რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინი, ეწეოდა მარქსიზმის ცხოველმყოფელი იდეების დაუღალავ პროპაგანდას, სისტემატურად, ფართოდ და ღრმად აშუქებდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ძირეულ საკითხებს, ანალიზს უკეთებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობას, ავრცელებდა მათს დადებით გამოცდილებას, შეუპოვრად იბრძოდა „ეკონომიზმის“, მუშათა მოძრაობის ყველა აშკარა თუ ფარული მტრების წინააღმდეგ.

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური „ისკრის“ ერთ-ერთი ფასდაუდებელი დამსახურება განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე ის იყო, რომ მან მტკიცე ნიადაგი მოუმზადა რსდმპ II ყრილობის მოწვევასა და ჩატარებას. მისმა რედაქციამ, ვ. ი. ლენინის გადამწყვეტი ხელმძღვანელობით, შეიმუშავა მომავალი პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების — პროგრამისა და წესდების პროექტები, რომლებიც წარედგინა რსდმპ II ყრილობას განსახილველად.

II

1903 წ. 17 (30) ივლისს-10 (23) აგვისტოს, ჯერ ბრიუსელსა და შემდეგ ლონდონში მიმდინარეობდა რსდმპ II ყრილობა, რომლის მთავარი ამოცანა იყო, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ნ ა მ დ ვ ი ლ ი პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა „ისკრამ“[4].

ყ რილობაზე დელეგატები გაგზავნა 26 ორგანიზაციამ. მას ესწრებოდა 43 დელეგატი 51 გადამწყვეტი ხმით. 14 იყო სათათბირო ხმით. ყრილობის შემადგენლობა ერთნაირი არ იყო. გადამწყვეტი ხმებიდან 33 ეკუთვნოდათ „ისკრის“ მომხრეებს, 10 მერყეულ ცენტრს, ანუ როგორც მას უწოდებდნენ „ჭაობს“, ხოლო — 8 „ისკრის“ აშკარა მოწინააღმდეგეებს (3 „ეკონომისტი“ და 5 ბუნდელი). ამიერკავკასიიდან ყრილობაზე დელეგატებად არჩეულნი იყვნენ: ბაქოს კომიტეტიდან ბ. მ. კნუნიანცი, თბილისის კომიტეტიდან დ. ა. თოფურიძე და ბათუმის კომიტეტიდან ა. გ. ზურაბოვი. სამივე დელეგატი ისკრელი იყო.

ყრილობის ყურადღების ცენტრში იდგა პროგრამის — პარტიის იდეურ-თეორიული და პოლიტიკური საფუძვლის — პროექტის განხილვისა და მიღების საკითხი. პროგრამას პარტიისათვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი, როგორც ამბობდა ვ. ი. ლენინი, არის მოკლე, ნათელი და ზუსტი განცხადება ყოველივე იმისა, რის მოპოვებაც პარტიას სურს და რისთვისაც იგი იბრძვის.

პროგრამის პროექტის ირგვლივ გაჩაღდა ცხარე კამათი. მისი ძირითადი დებულებების (პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მოთხოვნა, ერთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა თვითგამოყოფამდე, გამოსასყიდი და საღალო გადასახადების გაუქმება, გლეხები რომ იხდიდნენ, აგრეთვე მათთვის ჩამონაჭრების დაბრუნება და სხვ) წინააღმდეგ გაილაშქრეს ანტიისკრელებმა. მაგრამ მათი შეხედულებები ვამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს რევოლუციურმა მარქსისტებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ოპორტუნისტებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ყრილობამ მიიღო ისკრული პროგრამა. ეს იყო ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის იარაღის, დამყარებისათვის ბრძოლის პროგრამა. „პირველად საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ისტორიაში მუშათა კლასის პარტიის პროგრამაში ჩაიწერა მოთხოვნა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა, რომლის აუცილებლობა ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის თეორიუ-

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 249.

ლად დაამტკიცეს მარქსმა და ენგელსმა და შემდეგ ყოველმხრივ დაასაბუთა ლენინმა"[5].

ყრილობის დიდმნიშვნელოვანი საქმე იყო აგრეთვე პარტიის წესდების მიღება. მოხსენებით წესდების პროექტის შესახებ გამოვიდა ვ. ი. ლენინი. როგორც ზემოთ ითქვა, წესდების პროექტი, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, წინასწარ განიხილა და მოიწონა „ისკრის" რედაქციამ. მაგრამ ახლა ისკრელთა ერთმა ჯგუფმა, „რბილმა" ისკრელებმა, მარტოვის მეთაურობით ვაილაშქრეს წესდების პირველი პარაგრაფის წინააღმდეგ, სადაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი. პროექტში ნათქვამი იყო: „პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს მის პროგრამას და ეხმარება პარტიას როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე პირადი მონაწილეობით ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში"[6]. ლენინური ფორმულირება მიზნად ისახავდა მტკიცე, მონოლითურად შეკავშირებული, მებრძოლი პარტიის შექმნას, პარტიის სიმტკიცისა და სიმკვიდრის დაცვას, თითოეული წევრის მიერ პარტიის წოდების ღირსეულად, შეუბღალავად ტარების უზრუნველყოფას, იდეური, აქტიური, დისციპლინირებული, მუშათა მასების, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი — აი, ვინ უნდა ყოფილიყო პროლეტარული პარტიის წევრი.

მარტოვმა კი წამოაყენა ფორმულირება, რომლის მიხედვითაც პარტიის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ყველა, ვინც აღიარებდა პარტიის პროგრამას და დაეხმარებოდა მას მატერიალურად, ხოლო ერთ-ერთ ორგანიზაციაში მუშაობა სავალდებულო არ იყო. მარტოვი პარტიის კარებს უღებდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა ეტარებინა პარტიის წევრის წოდება. ეს ფორმულირება მიზნად ისახავდა უსახო, დონდლო, ბრძოლისუნარმოკლებული პარტიის შექმნას, რაც ნიშნავდა მუშათა კლასის დატოვებას ავანგარდის, ხელმძღვანელი შტაბის გარეშე.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ყრილობა ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, „რბილ" ისკრელებს მხარი დაუჭირეს ანტაისკრელებმა და „ბუნდის" წარმომადგენლებმა და ყრილობამ მიიღო მარტოვის ფორმულირება. თუმცა ეს მცდარი ფორმულირება დიდხანს არ შერჩენია წესდებას. რსდმპ III ყრილობამ (1905 წ.) იგი გააუქმა და მიიღო ლენინის ფორმულირება.

პარტიის II ყრილობამ წესდების პროექტი, გარდა პირველი პარაგრაფისა, მიიღო ისე, როგორც ვ. ი. ლენინმა წარმოადგინა. იგი უპასუხებდა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის მოთხოვნებს, ნამდვილი რევოლუციური პარტიის ინტერესებს. წესდება გამსჭვალული იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის — პარტიის აღნაგობისა და მოქმედების ლენინური სახელმძღვანელო პრინციპით.

ყრილობამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი აქტუალური ტაქტიკური საკითხები და მიიღო შესაბამისი დადგენილებები, აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

ამრიგად, რსდმპ II ყრილობაზე განხორციელდა საკაცობრიო მნიშვნელობის საქმე — შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, ლენინური პარ-

---

[5] სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, 1975 წ., გვ. 292.
[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტია, ბოლშევიკური პარტია. „ბოლშევიზმი, —წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“[7].

III

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან, ჭაღარა მატიანეს ბევრი პოლიტიკური პარტია ახსოვს. მაგრამ არც ერთ მათგანს თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თავისი არსებობის რვა ათეული წლის მანძილზე რევოლუციურ მარქსისტთა პატარა ორგანიზაციიდან გადაიქცა მძლავრ შეკავშირებულ პარტიად, რომელშიც 18 მილიონზე მეტი კომუნისტია გაერთიანებული.

ლენინური კომუნისტური პარტიის დიდების შარავანდედით მოსილ სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი საუკუნის ყველა წარუვალი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. მისი ხელმძღვანელობით გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლითაც კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა—კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის აშენება-დამკვიდრების ერა; მისი წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ გაანადგურეს შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა გაერთიანებული ძალები სამოქალაქო ომის წლებში და მამაცურად დაიცვეს დიდი ოქტომბრის ყველა მონაპოვარი; ლენინური პარტიის მეთაურობით საბჭოთა ხალხმა პირველად კაცობრიობის ისტორიაში ააშენა სოციალისტური საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოების ზრდის უმაგალითოდ სწრაფი ტემპი, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ხულ უფრო ამაღლება, ერებსა და ეროვნებებს შორის სრული თანასწორობა, ძმობა და მეგობრობა; ლენინური პარტია იყო ჰიტლერულ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე საბჭოთა ხალხის გმირული გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი დიდი სამამულო ომის წლებში; ლენინური კომუნისტური პარტიის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარება და განმტკიცება. ჩვენი პარტია ყოველთვის მტკიცედ იცავდა და იცავს ამ მოძრაობის მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მისი შემდგომი შეკავშირებისა და აღმავლობის ხაზს, ყოველმხრივ ეხმარება და მხარს უჭერს თანამედროვეობის პროგრესულ, რევოლუციურ მოძრაობებს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა განაპირობა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის წარმოშობა. ერთობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს საარსებო ინტერესებისა და მიზნების ერთიანობა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების ძმობა და მეგობრობა.

---

[7] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელსაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე უწოდა ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი, ყოველთვის იყო მოწოდების სიმაღლეზე, ღირსეულად ასრულებდა ისტორიის მიერ მისთვის დაკისრებულ მისიას. და ეს იმიტომ, რომ იგი თვალსაჩინივით უფრთხლდებოდა და უფრთხილდება დიდი ლენინის მიერ მისთვის შთანერგილ ისეთ ნიშანდობლივ თვისებებს, როგორიც არის რევოლუციური თეორიისადმი უსაზღვრო ერთგულება და მისი შემოქმედებითად გამოყენება, ხალხის მასებთან — საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალასთან განუყრელი კავშირი, საკუთარი რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, გაწეული მუშაობის ფხიზლად შეფასება, კრიტიკა და თვითკრიტიკა. ეს ნიშანდობლივი თვისებები, მათი ზრდის, სრულყოფისა და განმტკიცებისათვის დღენიადაგ ზრუნვა იყო და არის ჩვენი პარტიის ძალისა და ძლიერების დაუშრეტელი წყარო, ისინი განაპირობებდა და განაპირობებს მის ცხოველმყოფელ უნარს — წარმატებით შეასრულოს საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი.

მთავარი შედეგი, რომელსაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ლენინური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწიეს, ეს არის განვითარებული სოციალიზმის აშენება. ახლა კი ჩვენი პარტია საბჭოთა ხალხის ფიზიკურ და სულიერ ძალებს, მთელი ჩვენი ქვეყნის გიგანტურ შესაძლებლობებს უნარიანად წარმართავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი ამჟამად გმირულად შრომობს, თავის ცოდნას, ენერგიას და გამოცდილებას დაუზოგავად ახმარს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების წარმატებით განხორციელებას, რაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. პარტიის წინასწარდასახულობანი წარმატებით სრულდება. ამას ნათლად ადასტურებს გასულ 1982 წელსა და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული შედეგები.

მაგრამ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების, საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური და მორალური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერების გრანდიოზული პროგრამა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა მეთერთმეტე ხუთწლედისა და შემდგომი პერიოდისათვის, მოითხოვს მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტიურობის დონის შემდგომ ამაღლებას, საბჭოთა ადამიანების შეგნებულ დისციპლინას, ყველგან და ყველაფერში დიდ ორგანიზებულობას, მინდობილი საქმისათვის, კოლექტივის, მთელი ქვეყნის ბედისათვის მაღალ პასუხისმგებლობას. ამ ამოცანების გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში, მის მოხსენებაში „სსრ კავშირის 60 წელი“ და სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“.

პარტიისა და ხალხის წინაშე მდგომი განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია ამ ამოცანების შესაბამისად იდეოლოგიური მუშაობის მოწყობა. იდეოლოგიური მოღვაწეობა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, ჩვენი პარტიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირეულ საკითხს, კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. „მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა,— განაცხადა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თავის სიტყვაში პლენუმზე, — გადაჭრით უნდა ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში. ყველა საფეხურის პარტიულმა კომიტეტებმა, ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეიგნონ, რომ რაგინდ დიდმნიშვნელოვანიც უნდა იყოს სხვა საკითხები, რომლებზეც ისინი მუშაობენ (სამეურნეო, ორგანიზაციული და სხვა) იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე“[8].

პლენუმის დადგენილებაში „პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები“ და ამ პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში დასახული იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული საქმიანობის დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიისა და ხალხის ერთიანობას, აამაღლებს კომუნისტების და ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის კომუნისტურ მრწამსს, მათ პოლიტიკურ და საწარმოო აქტიურობას პარტიის წინასწარდასახულობათა რეალიზაციაში ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. აი, რატომ არის, რომ კომუნისტების მრავალმილიონიანი არმია, ყველა პარტიული ორგანიზაცია თავიანთ ძალისხმევას, ენერგიას წარმართავენ და ახმარენ პლენუმის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ ანდროპოვის სიტყვაში მოცემულ მითითებათა განხორციელებას.

ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ დიადი ბრძოლებისა და სახელოვან გამარჯვებათა ძნელი გზა განვლო, რომელსაც ბადალი არა აქვს ისტორიაში. განუზომლად დიდია ამ გზის მნიშვნელობა კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის. ჩვენი პარტიის სახელოვან ისტორიაზე, მის საქმეებზე, მის გამოცდილებაზე იზრდებოდნენ და იზრდებიან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თაობები, სწავლობდნენ და სწავლობენ სამყაროს რევოლუციური განახლებისათვის ბრძოლის ხელოვნებას.

ლენინური კომუნისტური პარტიის ტიტანური მოღვაწეობის ერთ-ერთი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მისი მაგალითით, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მაგალითით ჩვენი პლანეტის ხალხები დღითი დღე სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ მუშათა კლასს, მშრომელთა მასებს შე-

---

8 გაზ. „კომუნისტი“, 1983 წ. 16 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლიათ დაამსხვრიონ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის უღელი, მოიპოვონ ნამდვილი თავისუფლება და შექმნან ბედნიერი ცხოვრება მხოლოდ მაშინ, მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული, ორგანიზებულად შეკავშირებული, მონოლითური პარტია, ახალი ტიპის პროლეტარული პარტია. და რამდენიც უნდა ეცადონ ბურჟუაზიული იდეოლოგები, ყველა სახის რევიზიონისტები, ისტორიის ფალსიფიკატორები, ამ ჭეშმარიტების მიჩქმალვას ვერასდროს ვერ შეძლებენ. მათი ყველა ცდა — გაყალბონ ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხალხის მიღწევებს, კომუნისტური პარტიის საქმეებს, მის ისტორიულ გამოცდილებას — ყოველთვის სასტიკ მარცხს განიცდიდა და მომავალშიც კრახით დამთავრდება.

კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი უღრმესი მადლიერებისა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავს, ყრილობისას, რომელზეც წარმოიშვა რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების პარტია, ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ, დიდი ოქტომბრის სამშობლომ, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა. ახლა კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის, სოციალიზმის აშენების შემდეგ მუშათა კლასის პარტიიდან მთელი ხალხის პარტიად გადაიქცა, სათავეში უდგას და წარმატებით ხელმძღვანელობს კომუნისტური საზოგადოების — ყველაზე სამართლიანი და ყველაზე საუკეთესო საზოგადოების აშენებისათვის საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას.

ქ. მარქსის სახ. სკკ. სსრ. სახელმწიფო ბ. საჯულ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო მსაჯული

ა. შუშანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

საბჭოთა მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად გაიმართა სახალხო მსაჯულთა რესპუბლიკური კრება. მოწვინავე სახალხო მსაჯულებთან ერთად კრებას ესწრებოდნენ სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოთა მუშაკები, საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული კომიტეტების მდივნები, საბჭოთა მუშაკები.

სახალხო მსაჯულთა კრებისათვის იუსტიციის სამინისტრო საგანგებოდ მოემზადა. ოცზე მეტ რაიონსა და ქალაქში შემოწმდა სახალხო მსაჯულთა და მათი საბჭოების მუშაობა, მოეწყო გასაუბრება სახალხო მსაჯულებთან, მოსამართლეებთან, პროკურორებთან, ადვოკატებთან, პროცესის სხვა მონაწილეებთან, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები დაესწრნენ სასამართლო პროცესებს, შეხვდნენ შრომითს კოლექტივებს და მოისმინეს მათი აზრი სახალხო მსაჯულთა საქმიანობის შესახებ.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლება რესპუბლიკაში მინიჭებული აქვს 13.768 კაცს, აქედან 13.493 ანუ 98,2 პროცენტი სახალხო მსაჯულია, ხოლო დანარჩენი 275 — პროფესიონალი მოსამართლე. ყველა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმე ყველა სასამართლოში იხილება და წყდება პირველი ინსტანციით, ე. ი. არსებითად. განაჩენი და გადაწყვეტილება დგინდება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. საქმეს განიხილავს კოლეგია ერთი მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით, ე. ი. კოლეგიაში, სადაც თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს, მსაჯულები უმრავლესობას წარმოადგენენ. საქმის განხილვისას წამოჭრილი ყველა საკითხი და მთლიანად საქმე წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. ერთი სიტყვით, ფაქტობრივად სახალხო მსაჯულები ახორციელებენ მართლმსაჯულებას, წყვეტენ ყველა საკითხს და მთლიანად საქმის ბედს. ამიტომ ზრუნვა სახალხო მსაჯულთა შემადგენლობის გაუმჯობესების, მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის — ეს არის მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ზრუნვა.

ანკეტებისა და პირადი საქმეების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, სახალხო მსაჯულების შემადგენლობა არავითარ შენიშვნას არ იწვევს. სახალხო მსაჯულთა 73 პროცენტი პარტიის წევრია, 15 პროცენტი კომკავშირელია, 42 პროცენტი მუშაა, 50 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და ა. შ. სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც ხალხის სიყვარულით და ავტორიტეტით სარ-

გებლობენ, აქვთ დიდი ცხოვრებისეული ალღო და გამოცდილება. თავიანთ ძირითად საქმიანობას სახალხო მსაჯულის საპატიო მოვალეობას წარმატებით უთავსებენ აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, მწერალი გიორგი ნატროშვილი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი იაკობ ტრიპოლსკი და სხვა მრავალი. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია შემუშავდეს სახალხო მსაჯულის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი და ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა წარედგინოს მსაჯულად ასარჩევ პირს. მართლმსაჯულების განხორციელების სპეციფიკა და სირთულე მსაჯულებს მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს. კანონიერი განაჩენისა და გადაწყვეტილების დასადგენად მარტოოდენ კეთილსინდისიერი შრომა და ცხოვრება არ კმარა.

სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებს, გარდა პროფესიული ცოდნისა, უნდა ახასიათებდეთ მოქალაქეობრივი მამაცობა, მოუსყიდველობა და სამართლიანობა. ეს მოთხოვნა სავსებით ეხება სახალხო მსაჯულს.

მართალია, სახალხო მსაჯული პროფესიონალი იურისტი ვერ გახდება და არც არის ეს საჭირო, მაგრამ სამართლებრივი ცოდნის რაღაც მინიმუმი მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს. მართლმსაჯულება კანონიერების განხორციელებაა და, ბუნებრივია, თუ სახალხო მსაჯულმა კანონი არ იცის, მარტო ცხოვრებისეული გამოცდილებით და ალღოთი შორს ვერ წავა. სახალხო მსაჯული უნდა ერკვეოდეს საბჭოთა სამართლის საფუძვლებში, სამართლის ამა თუ იმ დარგის ძირითად ცნებასა და ინსტიტუტებში, ესმოდეს მათი არსი და აზრი. რაც მთავარია, სახალხო მსაჯული პატივს უნდა სცემდეს კანონს, ყველაზე წმინდად და ხელშეუხებლად უნდა მიაჩნდეს კანონის მოთხოვნა, მხოლოდ კანონს უნდა ოვლიდეს თავის ერთადერთ უფროსად და დამრიგებლად.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს პრინციპული, არ ეშინოდეს თავისი ფუნქციების სწორად განხორციელება, არ ერიდებოდეს საშიშ დამნაშავეთა მკაცრად დასჯას, არ აწვალებდეს აზრი იმის შესახებ, თუ ვინ როგორ გაიგებს, ვის მოეწონება და ვის არ მოეწონება მისი მონაწილეობით დადგენილი განაჩენი თუ გადაწყვეტილება და ხომ არ მოჰყვება ამას რაიმე ცუდი შედეგი და უსიამოვნება.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს ობიექტური და სამართლიანი ყველას მიმართ. მას უნდა შეეძლოს, რომ არ აჰყვეს ემოციებს და განცდებს, პირადი განწყობის, ნაცნობობისა და სიმპათიების საფუძველზე არ მიიღოს გადაწყვეტილება. თუ სახალხო მსაჯულს თუნდაც შინაგანად პროცესის რომელიმე მონაწილის მხარე უკავია, იგი ვერ იქნება პირუთვნელი მოსამართლე და უნდა განერიდოს საქმეს.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს ჰუმანური, ლმობიერი და მკაცრიც, როცა ეს საჭიროა. მას უნდა უყვარდეს ადამიანი, შეეძლოს სხვისი ჭირისა თუ ლხინის გაზიარება, გულთან მიტანა, გათავისება. უნდა ახსოვდეს, რომ რა საშიში დამნაშავეც უნდა იჯდეს განსასჯელის სკამზე, იგი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანია და მართლმსაჯულება ადამიანს კი არ ებრძვის, არამედ სიმახინჯეს ადამიანში.

სახალხო მსაჯული უნდა იყოს დინჯი, თავშეკავებული, უნდა შეეძლოს მოსმენა, საკითხის ბოლომდე გარკვევა, უნდა ახსოვდეს, რომ მართლმსაჯუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მახვილი მეტად ბასრია და მას დიდი მოზომვით, სიფრთხილითა და სიმშვიდით უნდა გამოყენება.

რასაკვირველია, ჩვენი მსაჯულების უდიდეს უმრავლესობას უხვად აქვს მომადლებული აღნიშნული თვისებები. ათობით და ასობით სახალხო მსაჯული აქტიურად, პრინციპულად, სახელმწიფოებრივი ინტერესების მაღალი შეგნებით მონაწილეობს სასამართლოს საქმიანობაში. საუკეთესო სახალხო მსაჯულს ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი, მაგალითად, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულს, ექიმ ელენე ვაჩეიშვილს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულს, ზეინკალ ბორის არსაკიას, ბათუმის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულს ინჟინერ ნაზი კეჭაღმაძეს, ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულს, პენსიონერ ჯემალ მაჭახელიძეს, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულს, მედდა ელენე ხეთაგუროვას, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულს, პროფესორ ოთარ ბაქანიძეს და ა. შ. მაგრამ, ალბათ, არც ის იქნებოდა სწორი, არ დაგვენახა, რომ სახალხო მსაჯულთა ერთი ნაწილი გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მაქსიმალურად ვერ ავლენს თავის პოზიტიურ თვისებებს, მთლიანად დამოკიდებულია პროფესიონალ მოსამართლეზე, არსებითს გავლენას ვერ ახდენს მართლმსაჯულების განხორციელების მდგომარეობაზე.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სახალხო მსაჯულთა დაახლოებით 60 პროცენტი საერთოდ არ მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებასა და სასამართლოს საქმიანობაში. მაგალითად, რუსთავის სახალხო სასამართლოში 280 სახალხო მსაჯულია არჩეული, საიდანაც შარშან მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობდა მხოლოდ 82, ხოლო მიმდინარე წლის ხუთ თვეში — 46. ქალაქ გორის სახალხო სასამართლოში 140 სახალხო მსაჯულიდან შარშან კონკრეტული საქმეების განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 35-მა. ანალოგიური მდგომარეობაა ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ზოგიერთი მოსამართლე არ იცავს თუ ვერ იცავს კანონის მოთხოვნას სახალხო მსაჯულთა მორიგეობით გამოძახების შესახებ, სახალხო მსაჯულებს იბარებს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით, თანაც იბარებს პირველ შემხვედრს. ამის შედეგად ერთი და იგივე სახალხო მსაჯული წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს რამდენჯერმე არის მიწვეული სასამართლოში. სახალხო სასამართლოებს შედგენილი აქვთ მსაჯულთა გამოძახების გრაფიკი, მაგრამ რატომღაც ვერ ახერხებენ მის დაცვას. ზოგი მოსამართლე ამას იმით ხსნის, რომ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები არ ათავისუფლებენ სახალხო მსაჯულს. ეს თუ ასეა, ძალიან ცუდია. მსაჯულის სასამართლოს საქმიანობაში მონაწილეობა კონსტიტუციური პრინციპია, რომლის დარღვევაც არავის არ უნდა ეპატიოს. სახალხო მსაჯული წლის განმავლობაში ორ კვირას უნდა იყოს სასამართლოში. მიუხედავად იმისა, განიხილება კონკრეტული საქმე თუ არა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ საქმის განხილვაში მონაწილე მსაჯულების გარკვეული ნაწილი სინამდვილეში არავითარ მონაწილეობას არ იღებს სამსჯავრო განხილვაში. სამსჯავრო სხდომის ოქმებში ძალზე იშვიათად არის ცნიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირეგული სახალხო მსაჯულის შეკითხვა. ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება უშუალოდ პროცესებზე დასწრებითა და პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობით. ყველა რატომღაც მიეჩვია და ნორმალურად თვლის იმ გარემოებას, რომ სახალხო მსაჯული შეიძლება გაუნძრეველად იჯდეს მთელი პროცესის მანძილზე.

რასაკვირველია, მსაჯულის მონაწილეობა საქმის განხილვაში მარტო შეკითხვებით არ შეიზღება შეფასდეს. შესაძლოა მსაჯულმა შეკითხვები არ დასვას, მაგრამ ყურადღებით მოისმინოს, ნახოს და შეაფასოს ის, რაც პროცესზე ხდება. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ სახალხო მსაჯული, რომელიც პროცესის მსვლელობისას ერთ სიტყვას არ იტყვის, არავითარ რეაგირებას არ მოახდენს მტკიცებათა გამოკვლევაზე, სათათბირო ოთახში განაჩენისა და ვადაწყვეტილების დადგენისას აქტიური და პრინციპული იქნება.

მსაჯულთა ასეთი პასიურობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი ხშირად წინდაწინ არ ეცნობიან განსახილველი საქმის მასალებს, ვერ ერკვევიან ან ცუდად ერკვევიან სამართლებრივ საკითხებში, შებოჭილად გრძნობენ თავს სასამართლო აუდიტორიის წინაშე. პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასამართლო პროცესში უფრო აქტიურად მონაწილეობს ის სახალხო მსაჯული, რომელსაც საქმის განხილვაში მონაწილეობის დიდი სტაჟი აქვს, რომელიც მეორედ, მესამედ და მეტად არის არჩეული მსაჯულად. სახალხო მსაჯული აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე იმ საქმის განხილვაში, რომელიც თავისი ხასიათითა და შინაარსით ახლო დგას მის პროფესიასთან თუ სამსახურებრივ საქმიანობასთან. მაგალითად, მსაჯული, რომელსაც პედაგოგიური განათლება აქვს, აქტიურად მონაწილეობს არასრულწლოვანი განსასჯელის დაკითხვაში, ავტოავარიის საქმის განხილვაში უფრო აქტიურია ის მსაჯული, რომელმაც იცის ავტომანქანის მართვა და ა. შ. რასაკვირველია, სტაჟისა და პროფესიის მიხედვით მსაჯულთა შერჩევა ყოველთვის ვერ ხერხდება. მსაჯულისათვის დიდი სამოსამართლეო გამოცდილების მიღება, მათი რამდენჯერმე არჩევა ხელს შეუშლიდა ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა. მსაჯულთა ყოველ არჩევნებზე თითქმის სანახევროდ ხდება მათი შემადგენლობის განახლება და მომავალშიც ასევე მოხდება. პროფესიის მიხედვით მსაჯულთა შერჩევა კი დაარღვევდა რიგითობის მიხედვით მათს გამოძახებას სასამართლოში. მსაჯულთა აქტიურობის ასამაღლებლად ყველაზე რეალური გზაა მათი სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლება.

ერსებითად უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი მომზადების მდგომარეობა. სახალხო მსაჯულთა იურიდიული მომზადება ძირითადად ხდება სასამართლოში. თვეში ერთხელ სამინისტროს მიერ რეკომენდებული თემატიკით სახალხო მოსამართლე მსაჯულებს უტარებს ლექცია-საუბარს და ამ კურსის გავლას დაახლოებით წელიწად-ნახევარი სჭირდება. მოსამართლეებს არ გააჩნიათ პედაგოგიური გამოცდილება და ვინც როგორ ახერხებს, ისე ატარებს მეცადინეობას. არ ტარდება სემინარული მეცადინეობები, არ ხდება სასამართლო პროცესზე მსაჯულთა დასწრება და მისი შემდგომი განხილვა. სახალხო მსაჯულებს არ გააჩნიათ მეთოდიკური სახელმძღვანელოები. მოკლე სამახსოვროები, პოპულარული ენით დაწერილი კანონის კომენტარები მათი უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებამოსილების გამომხატველი ნორმატიული აქტების კრებულები. იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კურსებზე ეწყობა სახალხო მსაჯულთა საბჭოების თავმჯდომარეთა სწავლება, მომზადდნენ აგრეთვე ის მსაჯულები, რომლებიც შეცვლიან მოსამართლეს მისი არყოფნის პერიოდში. მაგრამ, ბუნებრივია, სწავლების ეს ფორმა არ არის ყოვლისმომცველი და საკმარისი. ამჟამად სამინისტრო ამუშავებს ღონისძიებას სახალხო მსაჯულთა სწავლების გასაუმჯობესებლად. ალბათ, უფრო სწორი იქნება სახალხო მსაჯულების არჩევისთანავე მოეწყოს მათი მოკლევადიანი სწავლება, ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა. კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მოამზადებს ლიტერატურას სახალხო მსაჯულებისათვის, შეიმუშავებს მათი სწავლებისა და პროფილაქტიკური საქმიანობის მეთოდიკას.

სახალხო მსაჯულთა აქტიურობა, საქმის განხილვაში მათი მონაწილეობისა და პროფილაქტიკური საქმიანობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული მოსამართლეზე. სამწუხაროდ, ზოგი მოსამართლე ამ საკითხს მეტად უპასუხისმგებლოდ ეკიდება, მსაჯულებთან არ ატარებს მეცადინეობას, არ ეხმარება მათ ამომრჩევლებთან ანგარიშის ჩაბარების ორგანიზაციაში, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სახალხო მსაჯულთა საბჭოს საქმიანობას, საქმის განხილვაში მონაწილე მსაჯულებს წინდაწინ არ აცნობს საქმის მასალებს, არ უხსნის შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს, არ იყენებს კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს მსაჯულთა გააქტიურებისათვის. მაგალითად, კანონის თანახმად, საბრალდებო დასკვნა, განაჩენი და გადაწყვეტილება პროცესზე შეიძლება სახალხო მსაჯულმაც გამოაქვეყნოს, მაგრამ თითქმის არც ერთი მოსამართლე არ იყენებს ამ შესაძლებლობას.

ალბათ, სახალხო მსაჯულებმაც უნდა იგრძნონ მეტი პასუხისმგებლობა და იზრუნონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ვერავითარი ლექცია და მეცადინეობა ვერ უშველის, თუ სახალხო მსაჯული თვითონ არ არის დაინტერესებული სამართლებრივი ცოდნის მიღებით, არ გრძნობს პირად პასუხისმგებლობას კონკრეტული საქმეების სწორად განხილვისა და გადაწყვეტისათვის. რა იქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი, მოგვეთხოვა, რომ მსაჯულმა ისეთივე ფორმითა და ზომით აგოს პასუხი უკანონო განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენისათვის, როგორც მოსამართლემ, მაგრამ არც ის არის სწორი, რომ მსაჯული ყერც იგებს, რატომ გაუქმდა მისი მონაწილეობით დადგენილი განაჩენი თუ გადაწყვეტილება. შარშან 700-ზე მეტი განაჩენი გაუქმდა და შეიცვალა. 30 მოსამართლეს არ გაეწია რეკომენდაცია ხელახალი არჩევისათვის. ხოლო წინა საარჩევნო პერიოდში 24 სახალხო მოსამართლე ვადამდე იქნა გამოწვეული კონკრეტული საქმეების უსწოროდ გადაწყვეტისათვის და სახალხო მსაჯულებისათვის ეს ამბავი არც გაგვიგებინებია.

თითქმის არავითარი რეაგირება არ ხდება სახალხო მსაჯულის უსაფუძვლო კერძო აზრის გამო. არის შემთხვევები, როცა სახალხო მსაჯული განაჩენისა თუ გადაწყვეტილების დადგენისას აშკარად უსწორო პოზიციას ადგება, მოითხოვს საშინაო დამნაშავის გამართლებას, უკანონო სარჩელის დაკმაყოფილებას და ა. შ. კარგია, რომ განსახილველ საქმეზე მსაჯულს თავისი აზრი აქვს. მაგრამ ეს მაშინ არის კარგი, როცა ეს აზრი სწორი, კანონიერი და სამართლიანია.

სხვა შემთხვევაში მსაჯულის განსაკუთრებული აზრი მართლმსაჯულების, განაჩენისა და გადაწყვეტილების ავტორიტეტს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

მეტი ზრუნვა და მუშაობაა საჭირო მოწინავე სახალხო მსაჯულთა წახალისებისათვის, მათი საქმიანობის პროპაგანდისათვის. სამწუხაროდ, ამ საკითხების გახსენება ხდება მხოლოდ მსაჯულთა არჩევნების პერიოდში.

სახალხო მსაჯულებთან არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, ამ დიდი რეზერვის უმოძრაობის შედეგიც გახლავთ ის გარემოება, რომ სასამართლოების საქმიანობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. მართალია, ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა სასამართლოების საქმიანობა, მართლმსაჯულების ხარისხი, გაიზარდა სასამართლო პროცესების ალმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა, შემცირდა უკანონოდ მსჯავრდადების შემთხვევები, მაგრამ სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია, რომელთა გამოსასწორებლად უნდა იზრუნონ და იმუშაონ მოსამართლეებმაც და სახალხო მსაჯულებმაც.

ჯერ კიდევ ხშირია უკანონო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის შემთხვევები. რესპუბლიკის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის პროცენტი თითქმის ორჯერ მეტია საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე. განსაკუთრებით ხშირად უქმდება და იცვლება ბორჯომის, ბოგდანოვკის, თიანეთის, წალკის, დმანისის, თბილისის კიროვის და ოქტომბრის რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები და გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმება და შეცვლა ხშირად ხდება ისეთი მიზეზით, რომელიც მხოლოდ სასამართლოს უპასუხისმგებლობით და უყურადღებობით შეიძლება აიხსნას.

სასამართლოები ყოველთვის სწორად ვერ ახორციელებენ დასჯით პოლიტიკას, საშიშ დამნაშავეთა მიმართ იჩენენ ლმობიერებას ან ზედმეტად მკაცრად სჯიან ისეთ დამნაშავეებს, რომელთა მიერ ჩადენილი ქმედობა არ შეიცავს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სასამართლო თანაბარ პირობებში ჩადენილი ერთგვაროვანი დანაშაულისათვის იყენებს სხვადასხვა სახისა და ზომის სასჯელს, რაც, ბუნებრივია, სერიოზულ ეჭვს ბადებს სასამართლოს ობიექტურობასა და სამართლიანობაში.

აღმოფხვრილი არ არის უკანონო მსჯავრდადების ფაქტები, რაც სასამართლოს საქმიანობაში ყველაზე უფრო უხეშ შეცდომასა და მიუტევებელ ბოროტებას წარმოადგენს. მართალია, ასეთი შემთხვევები ბოლო დროს შემცირდა, მაგრამ აქ პროცენტებითა და სტატისტიკით ლაპარაკი დაუშვებელია. ასეთი შემთხვევები საერთოდ არ უნდა იყოს.

სასამართლოებში ჯერ კიდევ ხშირად ირღვევა საქმის განხილვის ვადები. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ ტყიბულის, თბილისის პირველი მაისის რაიონის, ახმეტის, ახალქალაქის, საგარეჯოს, საჩხერის რაიონების სახალხო სასამართლოები.

სახალხო მსაჯულები თითქმის არ მონაწილეობენ პროცესის მომზადებაში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სახალხო მსაჯულთა საბჭოებთან სპეციალური სექციაც კი არსებობს.

ზოგიერთ სასამართლოში სახალხო მსაჯულები ნაკლებად ან თითქმის არ მონაწილეობენ განაჩენისა და გადაწყვეტილების აღსრულების საქმეში პროფილაქტიკური და პროპაგანდისტული ღონისძიებების განხორციელებაში. ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის, გორის, კასპის, ახალქალაქის, მარნეულის, საჩხერის, ყაზბეგის, თიანეთის, და მთელი რიგი სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებში იშვიათად განიხილავენ საქმეებს გამსვლელ სესიაზე, ყველა საჭირო შემთვევაში არ გამოაქვთ კერძო განჩინება, არ აბორციელებენ ღონისძიებებს საქმის განხილვაში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახალხო მსაჯულები იშვიათად აბარებენ ამომრჩევლებს ანგარიშებს, არ გამოდიან მშრომელთა წინაშე ლექცია-მოხსენებებით.

ბევრი ნაკლია სახალხო მსაჯულთა საბჭოების საქმიანობაშიც. ზოგან ეს საბჭოები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, არავითარ დახმარებას არ უწევენ სახალხო სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლისა და პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებაში. ზოგი საბჭო ჯეროვნად ვერ გეგმავს თავის საქმიანობას, იშვიათად მართავს სხდომებს, ეფექტიანად ვერ წარმართავს საბჭოს სექციების მუშაობას, ვერ ამყარებს კონტაქტსა და კოორდინაციას არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ამ ბოლო დროს კიდევ უფრო განმტკიცდა სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი სტატუსი. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში პირდაპირ ჩაიწერა, რომ სახალხო მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ამომრჩეველთა წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და მათ მიერვე შეიძლება იქნენ გაწვეულნი კანონით დადგენილი წესით. სასამართლო წყობილების შესახებ ახალმა კანონმდებლობამ სახალხო მსაჯულს უფლება მიანიჭა შეასრულოს სახალხო მოსამართლის მოვალეობა მისი არყოფნის პერიოდში. მიღებულია სპეციალური საკანონმდებლო აქტი სახალხო მსაჯულთა საბჭოების შესახებ.

ასეთმა ფართო საკანონმდებლო რეგლამენტაციამ მეტი სტიმული მისცა დისკუსიას სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ[1]. წინამდებარე სტატიაში მოკლედ შევეხებით ზოგიერთ წინადადებას.

ერთ-ერთი სადისკუსიო საკითხია სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევის წესი. ამჟამად სახალხო მოსამართლის, სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა და ზემდგომი სასამართლოს არჩევა ხდება სხვადასხვა წესით. სახალხო მოსამართლეს ირჩევს რაიონის მოსახლეობა ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით, ხოლო სასამართლოს მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე ღია კენჭისყრით ორწელიწად-ნახევრის ვადით. ზემდგომი სასამართლოებისა და მათი სახალხო მსაჯულების არჩევა ხდება შესაბამისი საბჭოს სესიაზე ხუთი წლის ვადით. ამასთან დაკავშირებით აყენებენ წინადადებას, რომ ყველა სასამართლო და ყველა სახალხო მსაჯული ერთნაირი წესითა და ვადით იყოს არჩეული, ე. ი. სახალხო სასამართლო და მისი შემადგენლობაც საბჭოს სესიაზე ავირჩიოთ, როგორც ზემდგომ სასამართლოს ვირჩევთ.

ზოგი ავტორი სასამართლოს არჩევითობას უკავშირებს მის კლასობრივ

---

[1] იხ. მაგალითად Конституционные основы правосудия в СССР, М., 1981, стр.161-163 „საბჭოთა სამართალი" 1982 წ. [illegible]

ბუნებას, დემოკრატიულობას, ჰუმანურობას და ა. შ. საკითხის ასე დაყენება არ მიგვაჩნია სწორად. უნგრეთში 1972 წლამდე, ხოლო პოლონეთში 1976 წლიდან მოსამართლეები ინიშნებიან, მაგრამ ამით ამ სასამართლოების სოციალისტური ბუნება არ იცვლება, ამერიკის შეერთებულ შტატებში შტატის მოსამართლეებს მოსახლეობა ირჩევს, მაგრამ ამით არც ამ სასამართლოს კლასობრივი ხასიათი იცვლება. ერთი რამ კი უფრო ლოგიკურია. რაკი სასამართლო არჩევითობის პრინციპზეა მოწყობილი, ეს არჩევნები ერთნაირი უნდა იყოს ამ სასამართლოს მთელი შემადგენლობისათვის, პროფესიონალი მოსამართლეებისათვისაც და მსაჯულებისათვისაც. ამიტომ, სწორად მიგვაჩნია მოთხოვნა სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მაჯულების ერთნაირი წესითა და ვადით არჩევის შესახებ: უფრო კარგი და მოსახერხებელი იქნებოდა, თუ ეს არჩევნები მოეწყობა ზემდგომი სასამართლოების არჩევნების ანალოგიურად. არჩევნების ერთნაირი წესი კიდევ უფრო აამაღლებს მსაჯულთა ავტორიტეტს, ხაზს გაუსვამს მათს სამოსამართლეო თანასწორობასა და სრულუფლებიანობას.

მოქმედი კანონმდებლობით სახალხო მსაჯულები მონაწილეობენ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. ლიტერატურაში დიდი ხანია აყენებენ წინადადებას, რომ სახალხო მსაჯულები შეიყვანონ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შემადგენლობაში. ამ წინადადების მიღება არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში არ ეწყობა სამსჯავრო გამოძიება, არ დგინდება განაჩენი და გადაწყვეტილება, საქმეზე არსებული განაჩენისა და გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება უკვე გამოკვლეული მტკიცებულებების, საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით. ეს კი დიდ პროფესიონალურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს და უფრო ხელმისაწვდომია მოსამართლისათვის.

ლიტერატურაში დასმულია აგრეთვე საკითხი პირველი ინსტანციის საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში სახალხო მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. ამასთან გვთავაზობენ სხვადასხვა ვარიანტს. მოითხოვენ, მაგალითად, რომ სახალხო მსაჯულთა რაოდენობა გაიზარდოს განსაკუთრებით რთული, საშიში დანაშაულის ან დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობის მქონე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, აგრეთვე იმ საქმეებზე, რომლებზეც სამართალში მიცემულებს ემუქრებათ სასჯელის უმაღლესი ზომა. ეს მოსაზრებაც არ არის დამაჯერებელი. თუ საქმის განხილვაში სახალხო მსაჯულთა რიცხვის გაზრდა მართლმსაჯულების სწორად განხორციელების გარანტიაა, გაუგებარია, რატომ უნდა იყვნენ მოკლებულნი ამ გარანტიას სამართალში მიცემული ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული.

დიდ ინტერესს იწვევს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას პროფესიონალ მოსამართლესა და სახალხო მსაჯულებს შორის ფუნქციების განაწილების საკითხი. ზოგი ავტორის აზრით, საქმის განხილვა-გადაწყვეტის მოქმედი წესი, რომლის თანახმად მოსამართლე და სახალხო მსაჯულები ერთად წყვეტენ ყველა საკითხს, ხელს უშლის სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობას, რადგან მოსამართლე თავისი ავტორიტეტით, სამართლებრივი საკითხების ცოდნით ზეგავლენას ახდენს მსაჯულებზეო. ამასთან დაკავშირებით აყენებენ წინადადებას იმის შესახებ, რომ სახალხო მსაჯულებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლად გადაწყვიტონ სამართალში მიცემულის ბრალეულობის საკითხი, ხოლო სასჯელი — მოსამართლესთან ერთად. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შორის ფუნქციების ასეთი გაყოფა პრინციპულად მიუღებელია საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის, ეწინააღმდეგება სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს.

საქმე ის არის, რომ დანაშაულის შემადგენლობა, სოციალისტური სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები განსაზღვრულია კანონით. ამიტომ ამ საკითხის დადგენაში შეუძლებელია არ მონაწილეობდეს პროფესიონალი მოსამართლე. ფუნქციების ასეთი განაწილება გასაგებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, სადაც დანაშაულებრივი ფაქტი კანონის საფუძველზე კი არა, სამართლიანობის საფუძველზე დგინდება. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აღნიშნული წინადადება ეწინააღმდეგება სასამართლოს კოლეგიურობის პრინციპს.

ასეთია, მოკლედ, სახალხო მსაჯულთა საქმიანობის გაუმჯობესების ზოგიერთი პრაქტიკული და თეორიული ასპექტი. სკკპ 1983 წლის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა საგანგებოდ აღნიშნა სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვის, თანამდებობრივი და ანგარებითი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხი[2]. სასამართლოების უპირველესი მოვალეობაა თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ბრძოლაში, კანონის მთელი სიმკაცრით იბრძოლონ სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, უყაირათობისა და ყველა იმ მაქინაციის წინააღმდეგ, რომლებიც დიდ მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, ქვეყნის ეკონომიკას. ეჭვი არ არის, რომ სახალხო მსაჯულთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება ხელს შეუწყობს სასამართლოების მიერ აღნიშნული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

---

[2] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1983 წლის 16 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური საერთო-სახალხო დემოკრატიის არსი და ფუნქციონალური დანიშნულება

ელ. ახვლედიანი

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, რომლებიც დასახულია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, მოითხოვს ამაღლდეს მშრომელთა შემოქმედებითი, შრომითი, პოლიტიკური და სოციალური აქტიურობა, რათა მომზადდეს პირობები სოციალისტურ ურთიერთობათა კომუნისტურ ურთიერთობებად გარდაქმნისათვის. ამის აუცილებელი პირობაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება და გაფართოება. ამით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის მასალებში დათმობილი აქვს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

ყრილობაზე ითქვა, რომ სოციალისტური დემოკრატია არის „დემოკრატია მომუშავე, მოქმედი"[1], რომლის არსია თითოეული მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლება, საერთო საქმით, წარმოების განვითარებით ყველას დაინტერესება, გულახდილობის, პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნა. „ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში მდიდრდება სოციალისტური დემოკრატიის შინაარსი, უფრო მრავალფეროვანი ხდება სახალხო ხელისუფლების განხორციელების ფორმები. ამ პროცესის მიმდინარეობა განუყრელად არის დაკავშირებული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან, რომელიც თავად განიცდის თვისებრივ ცვლილებებს"[2], — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა.

მარქსისტ-ლენინელები და ბურჟუაზიული იდეოლოგები სხვადასხვაგვარად უდგებიან დემოკრატიის გაგებას და მის დანიშნულებას, რაც განაპირობებს მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლას. ეს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის დემოკრატიის ზოგადი, კერძოდ კი სოციალისტური საერთო-სახალხო დემოკრატიის არსის გარკვევას.

დემოკრატიის ცნებას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამონათქვამები, რომელთა საფუძველზე, პრინციპულად, გადაწყვეტილია დემოკრატიის თეორიის მნიშვნელოვანი პრობლემები.

ვ. ი. ლენინი მუდამ ხაზს უსვამდა, რომ სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის საკითხებს შორის მჭიდრო კავშირია. იგი აღნიშნავდა, რომ „დემოკრა-

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, წ., გვ. 100.

[2] ი. ვ. ანდროპოვი — კ. მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი", 1983 წ., № 3, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტია არის სახელმწიფოს ფორმა"[3]. აკონკრეტებს რა ამ აზრს, ვ .ი. ლენინი დემოკრატიას ახასიათებს როგორც ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც აღიარებულია „უმცირესობის დამორჩილება უმრავლესობისადმი"[4]. დემოკრატია განუყოფლად არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ერთი და იგივე კლასობრივი არსის მქონე ექსპლოატატორული ტიპის სახელმწიფოს შესაძლებელია ჰქონდეს ხელისუფლების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმა — დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული (ავტორიტარული). პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოსათვის კი ყოველთვის დამახასიათებელია დემოკრატია ხალხის უმრავლესობისათვის — მშრომელი მასებისათვის, ისევე როგორც საერთო-სახალხო სახელმწიფოში — დემოკრატია მთელი ხალხისათვის. აქ ხალხის ხელისუფლება შეადგენს სახელმწიფოს არსს, ხოლო დემოკრატია მის ფორმას.

ვ. ი. ლენინის დებულებებიდან გამომდინარე, სოციალისტური საერთო-სახალხო დემოკრატიის ცნება განსაზღვრულია როგორც ხალხის ხელისუფლების განხორციელების ფორმა, რომელიც ეფუძნება მოქალაქეთა რეალურ თანასწორუფლებიანობას, მათს ქმედითს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვასა და მოწყობაში, მათთვის მინიჭებულ უფლებათა და თავისუფლებათა ფართოდ გამოყენებას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის შესაბამისი მოვალეობების შესრულებას.

დემოკრატია წარმოადგენს გარდაუვალ საერთო ისტორიულ ღირებულებას. ამგვარ ღირებულებას, მიუხედავად მთელი მისი შეზღუდულობისა, უეჭველია შეიცავდა ანტიკური და ბურჟუაზიული დემოკრატია, თითოეული მათგანი მოასწავებდა განსაზღვრულ საზოგადოებრივ პროგრესს სახელმწიფო ფორმების განვითარებაში. ამავე დროს ყოველი ასეთი დემოკრატია წარმოადგენდა იარაღს, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ისე საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაზე.

რაც შეეხება სოციალისტური დემოკრატიის ფუნქციონალურ დანიშნულებას, იგი გამომდინარეობს მისი კლასობრივი ბუნებიდან. კომუნისტები, რომლებიც ბურჟუაზიული და ფსევდო-სოციალისტური იდეოლოგებისაგან განსხვავებით არ ნიღბავენ თავიანთ კლასობრივ მიზნებს, აშკარად აღიარებენ სოციალისტური დემოკრატიის სამსახურებრივ ხასიათს, უარყოფენ „წმინდა", უკლასო დემოკრატიის არსებობის შესაძლებლობას[5]. ლენინური დებულებებიდან გამომდინარე, სკკ პარტიის XXV ყრილობის მასალებში ჩამოყალიბებულია საერთო-სახალხო სოციალისტური დემოკრატიის კლასობრიობის ზუსტი კრიტერიუმები, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ჩვენთვის დემოკრატიულია ის, რაც ემსახურება ხალხის ინტერესებს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს[6].

სოციალისტური დემოკრატიის ნორმალური და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საბჭოთა სამართალი და კანონიერება. საბჭოთა იურისტები სავსებით სწორად მიაქცევენ ყურადღებას იმას, რომ სამართალი წარმოადგენს თავისუფლების განსაზღვ-

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., თბ.,1952 წ. ტ. 25. გვ. 588.
[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., თბ., 1952 წ. ტ. 25, გვ. 566.
[5] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ჯბ., 1952 წ. ტ. 22, გვ. 290.
[6] იხ. სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976. გვ. 116-117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ზომას, სამართალი და კანონიერება ადამიანებისათვის ადგენენ ნებადართულის და აკრძალულის საზღვრებს, აღმოფხვრიან თვითნებობას საზოგადოების ცხოვრებაში და უზრუნველყოფენ დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოების ფუნქციონირებას. საბჭოთა დემოკრატიის ინსტიტუტების შესაბამისად სამართალი, ერთის მხრივ, ადგენს და კანონმდებლობით განამტკიცებს პოლიტიკურ სისტემას, საზოგადოებაში ცალკეულ მოქალაქეთა ჭეშმარიტი თავისუფლების განხორციელების ფართო შესაძლებლობებს, როგორც მათ მიერ შემეცნებული საზოგადოებრივი აუცილებლობის გამოვლინებას. მეორე მხრივ, სამართალი ადგენს ნებადართულის საზღვრებს, რაც იმის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით უფლებები ბოროტად არ იქნეს გამოყენებული მთელი საზოგადოებისა და ცალკეული პირების საზიანოდ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 39-ე მუხლი).

სამართლის, კანონიერების და დემოკრატიის ურთიერთობათა ასეთი გაგება მოწმობს მათს კლასობრიობას. შემთხვევითი არ არის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-9 მუხლი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებას მიიჩნევს დემოკრატიის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ პირობად. კანონიერება წარმოადგენს დემოკრატიის წანამძღვარსაც, მის საფუძველს, მისი განვითარების ძირითად მიმართულებათა განმსაზღვრელსაც, დემოკრატიის პრინციპებისა და ინსტიტუტების მოქმედების ფარგლების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელსაც.

უკანასკნელ პერიოდში სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების პრობლემების დამუშავებასთან დაკავშირებით საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში სპეციალური შესწავლის საგნად იქცა სოციალისტური დემოკრატიის ფუნქციების საკითხი[7].

სოციალისტური დემოკრატიის კლასობრივი ხასიათიდან გამომდინარე, მის ფუნქციონალურ დანიშნულებას, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედებას რამდენიმე ძირითადი მიმართულება აქვს. ჯერ ერთი, რამდენადაც დემოკრატია, როგორც სახელმწიფოს ფორმა, ექვემდებარება სახელმწიფოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას, იგი წარმოადგენს ყველა მის ძირითად ფუნქციათა განხორციელების მნიშვნელოვან საშუალებას. ამასთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ XXVI ყრილობის მასალებში მასების შემოქმედების, ინიციატივისა და თაოსნობის გამოყენებას, წარმოების რეზერვების გამოვლენას, წარმოების განვითარებით დაინტერესების ამაღლებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, შემხვედრი გეგმების შედგენას და იმ პრობლემათა მთელი კომპლექსის გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია საერთო-სახალხო სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქციის განხორციელებასთან[8].

სკკპ XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებასა და სხვა დოკუმენტებში წამოყენებულია მოთხოვნა, რომ გაიზარდოს ყველა მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, ამაღლდეს საბჭოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა განათლების დარგში, რაშიც უპირველესი როლი

---

[7] См. Шахназаров Г. Х. Социалистическая демократия. Некоторые вопросы теории. М., 1974; Керимов Д. А. Демократия развитого социализма. М., 1980; Ковешников Е. М. Совершенствования советской государственности и демократии.

[8] იხ. სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981 წ., გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ-აღმზრდელობითს ფუნქციას. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელსაც ასრულებს საზოგადოებრიობის მონაწილეობა სოციალისტური საკუთრების დაცვაში და დანაშაულის პროფილაქტიკაში, ე. ი. სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქციის განხორციელებაში. არანაკლებ როლს ასრულებს სოციალისტური დემოკრატიის განვითარება სოციალისტური სახელმწიფოს სხვა ძირითადი ფუნქციების, მათ შორის საგარეო ფუნქციის განხორციელებაში.

ამავე დროს ყოველ დემოკრატიას გააჩნია თავისი საკუთარი ფუნქციები, რომლებიც ახასიათებს მის სპეციფიკურ შესაძლებლობებს სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების მთელი კომპლექსის განხორციელების სფეროში.

დემოკრატიის ყოველ ისტორიულ ტიპს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია. მათ შორის პირველია ანტიპოდ კლასზე აშკარა ან შენიღბული პოლიტიკური ბატონობის ორგანიზაციის ფუნქცია. იგი ძირითადია და თანამიმდევრულად ხორციელდება ყველა ექსპლოატატორული ტიპის სახელმწიფოში, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში — ექსპლოატატორულ უმცირესობაზე ბატონობით გამოიხატება. დემოკრატიის მეორე ძირითადი ფუნქციაა წარმოების ძირითადი საშუალებების მესაკუთრეთა თვითორგანიზაციის ფუნქცია. საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში პოლიტიკური ბატონობის ხელშემწყობი ფუნქცია კვდება, ხოლო თვითორგანიზაციის ფუნქცია არა მარტო შენარჩუნებულია, არამედ გადამწყვეტ მნიშვნელობასაც იძენს და უპირველეს ყოველისა, მიზნად ისახავს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტის უმეტესი ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

დემოკრატიული ინსტიტუტების ფართო სისტემის მეშვეობით მშრომელთა მასების კომუნისტურ მშენებლობაში ჩაბმა ის საშუალებაა, რომელიც მინიმალურ ვადებში და უმნიშვნელო დანაკარგებით უზრუნველყოფს მაღალ ეფექტიანობას კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა სფეროში. ეს კი სავსებით შეესაბამება ისტორიული მატერიალიზმის ძირეულ დებულებებს საზოგადოების განვითარებაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის შესახებ. სწორედ ამიტომ არის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუცია დემოკრატიის გაფართოებას, რაც სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვან კანონზომიერებად იქცა, ახასიათებს როგორც სოციალიზმის მთელი პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებას.

სოციალისტური დემოკრატიის საკუთარ ფუნქციას წარმოადგენს აგრეთვე პიროვნების აყვავების უზრუნველყოფის ფუნქცია. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მუშაობა წარმოებს სხვადასხვა არხით და მიზნების მიღწევა ხდება პიროვნების ზოგადი განათლების, კულტურული, მატერიალური კეთილდღეობის დონის საერთო ამაღლების გზით, მოქალაქეთა ინტერესების წრის გაფართოებით, მათი უნარის განვითარების სტიმულირებით და ა. შ. თუმცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობაც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების პროცესში. სწორედ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის დემოკრატიული უფლებების აქტიური გამოყენება იწვევს პიროვნების გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას, მის მიერ პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების ურთიერთდამოკიდებულების სწორ გაგებას, მისი საერთო და სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ პრობლემათა

საკითხებში კომპეტენტურობას, მისთვის ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვას, მისი სულიერი სფეროს გამდიდრებას პიროვნებათა შორის ურთიერთობის ბაზაზე და ა. შ. თავის მხრივ მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება, თავისუფალი დროის ბალანსის გაფართოება ქმნის დამატებითს შესაძლებლობებს მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებისათვის. ამ ბაზაზე თანდათანობით იქმნება წანამძღვრები „სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა საყოველთაო მიზიდვის შესახებ"[9] ლენინის ანდერძის განსახორციელებლად.

საერთო-სახალხო დემოკრატიის ფუნქციათა რიცხვს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ თვით სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე (მათ შეიძლება პირობითად ეწოდოს შიდასახელმწიფოებრივი), მიეკუთვნება სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების ფუნქცია, და მისი კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაში გადაზრდის პირობათა მომზადების ფუნქცია.

დემოკრატიის განვითარება სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობაა იმის გამო, რომ სწორედ მასებზე დაყრდნობა წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს.

ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ახალი ფენების ჩაბმა და მზარდ შეგნებულობაზე დამყარებული მათი აქტიურობის დონის ამაღლება სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეობის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას იწვევს. იმავე ფუნქციის განხორციელების მეორე მხარეა სახელმწიფო აპარატის საქმიანობისა და ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპების უფრო სრული რეალიზაცია. ეჭვს არ იწვევს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერება და მისი ფუნქციების განხორციელებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა შესაძლებელია ისეთი პრინციპების სრულყოფისა და განხორციელების შედეგად, როგორიც არის, მაგალითად, კოლეგიურობა სახელმწიფო გადაწყვეტილებათა განხილვასა და მიღებაში, სახელმწიფო ორგანოების მთელი სისტემის ანგარიშგება საბჭოებისა და ამომრჩევლების წინაშე, მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო აპარატის მუშაობის შესახებ, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება და სხვ.

რაც შეეხება სოციალისტური სახელმწიფოს თანდათანობით კვდომისა და კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად მისი გადაზრდის უზრუნველყოფის ფუნქციას, იგი გამოხატავს ჩვენი სახელმწიფოს განვითარების დიალექტიკას, სადაც ერთი და იგივე საშუალება — დემოკრატიის გაფართოება ემსახურება სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასაც და მომავალში მისი კვდომის საქმესაც. ასეთი ვითარება სავსებით შეესაბამება ლენინურ დებულებას, რომ „რაც უფრო სრულყოფილია დემოკრატია, მით უფრო ახლოსაა ის მომენტი, როდესაც იგი ზედმეტი გახდება, რაც უფრო დემოკრატიულია „სახელმწიფო", რომელიც შეიარაღებული მუშებისაგან შედგება და უკვე წარმოადგენს „არა სახელმწიფოს ამ სიტყვის საკუთარი აზრით", მით უფრო სწრაფად იწყებს კვდომას ყოველი სახელმწიფო"[10].

---

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 205.
[10] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 591.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური სახელმწიფოებრიობის გარდაქმნის პროცესი კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად, რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, მშრომელთა პროფესიული, კოოპერაციული და სხვა მასობრივი ორგანიზაციები „მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში"[11].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საერთო-სახალხო დემოკრატიის იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად საგარეო-პოლიტიკური ხასიათისაა. უკვე თავისი წარმოშობის მომენტიდან სოციალისტური დემოკრატია როგორც რეალური დემოკრატია მშრომელთა ფართო მასებისათვის თვით თავისი არსებობის ფაქტით ახდენს მძლავრ მარევოლუციონირებელ ზემოქმედებას კაპიტალის ქვეყნების მშრომელებზე.

მმართველობაში მასების ფართოდ მიზიდვა, „წარმომადგენლობითი დაწესებულებების გადაქცევა სალაყბოებიდან „მომუშავე" დაწესებულებებად"[12]; ტრადიციული პოლიტიკური უფლებების შერწყმა ფუძემდებლურ სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ უფლებებთან, დემოკრატიული უფლებების რეალობა და ყოველმხრივი გარანტირება, დემოკრატიის გავრცელება არა მარტო პოლიტიკის, არამედ ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სფეროში და ა. შ., — ყოველივე ეს ცხადყოფს სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობას ბურჟუაზიულის წინაშე და სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს არა მარტო საბჭოთა მოქალაქეების მსოფლმხედველობაზე, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელების მსოფლმხედველობაზეც. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სკკპ XXVI ყრილობის მიერ ხაზგასმული დებულება, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფოს ღრმა დემოკრატიზმმა თავისი კონცენტრირებული გამოხატვა პოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომელმაც „დასაბამი მისცა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების უფრო დიდ ეტაპს"[13].

ამრიგად, სოციალისტური დემოკრატიის ფუნქციების ღრმა შესწავლა და მათი როლის განსაზღვრა კომუნისტურ მშენებლობაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფას, როგორც სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას და მისი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

---

[11] სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, წ., გვ. 498.

[12] ვ. ი. ლენინი, თხზ., თბ., ტ. 25, გვ. 521.

[13] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, გამ. „საბჭოთა საქართველო", 1981 წ. გვ. 3.

თანამდებობრივი დანაშაულის გამიჯვნა სოციალისტური საკუთრების დატაცებისაგან, რომელიც ჩადენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენებით

ზ. კუკულაძე

სასამართლოები ზოგჯერ ვერ ახერხებენ გამიჯნონ თანამდებობრივი დანაშაული ისეთი მძიმე დანაშაულისაგან, როგორიც არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება, რომელიც ჩადენილია თანამდებობის ბოროტად გამოყენებით.

თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სოციალისტური საკუთრების დატაცების დროს თანამდებობის პირი ანგარების მიზნით ბოროტად იყენებს დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის კუთვნილი ქონების ოპერატიულ-სამეურნეო განკარგვის უფლებას. ვინაიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენება არის მხოლოდ სოციალისტური საკუთრების დატაცების ხერხი, დანაშაულებრივი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით და დამატებითი კვალიფიკაციის წარდგენა საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით საჭირო აღარ არის[1].

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომელიც თუმცა ანგარებით იყო ჩადენილი და მატერიალური ზიანიც მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანოებს, მაგრამ, რომლის მიზანი არ იყო სოციალისტური ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლოდ გადაქცევა თავის ან სხვა პირთა საკუთრებად, შეადგენს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ზოგჯერ არასწორად აკვალიფიცირებენ, როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ჩადენილს ანგარების მოტივით.

ეს ორი დანაშაული ერთმანეთისაგან რომ გავმიჯნოთ, საჭიროა შევადაროთ ერთმანეთს ამ ორი დანაშაულის ნიშნები. ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების ობიექტია სოციალისტური ქონება, რომელსაც აქვს სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და სა-

---

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 2 ოქტომბრის № 4 დადგენილება „თანამდებობრივი დანაშაულის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1977 წ. № 4, გვ. 20).

3. „საბჭოთა სამართალი", № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების ფორმა. მათვე განეკუთვნება აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონება.

სოციალისტური ქონების დატაცებად ჩაითვლება მოქალაქეთა კუთვნილი პირადი ქონებაც, რომელიც შესანახად ან სხვა მიზნით მიბარებული აქვს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგალითად, რკინიგზას, ფოსტას, საკომისიო მაღაზიას, ლომბარდს და სხვ.

ხელყოფის ობიექტის დადგენა დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის საფუძველია. მაგალითად, წინასწარმა გამოძიებამ სოციალისტური ქონების დატაცებისათვის რსფსრ სსკ 92-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება წარუდგინა ლომბარდის მოლარესა და მოანგარიშეს. ისინი ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას, ატყუებდნენ ლომბარდში ქონების დამგირავებლებს და ახდევინებდნენ მათ ზედმეტ თანხას, ვიდრე ნიხრით იყო გათვალისწინებული. ლენინგრადის ოლქის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ ლომბარდის მოლარისა და მოანგარიშის მიერ ჩადენილი დანაშაული რსფსრ სსკ 92-ე მუხლის ნაცვლად გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 170-ე მუხლით (ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენება), ამასთან მიუთითა, რომ ზარალი მიადგა არა ლომბარდის ქონებას, არამედ კერძო პირებს, რომლებმაც ლომბარდში ქონება დააგირავეს[2].

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილებაში „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ" მითითებულია ანგარების მოტივსა და სოციალისტური ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლოდ დაუფლების მიზანზე.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების შემადგენლობას ახასიათებს აუცილებელი ობიექტური ნიშნები: დანაშაულის ჩადენის მომენტში ქონება უნდა იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მფლობელობაში, ე. ი. განეკუთვნებოდეს სოციალისტური საკუთრების ფონდს, უნდა მოხდეს ამ ქონების კანონსაწინააღმდეგო, უსასყიდლო, უნაცვალგებო ამოღება სოციალისტური საკუთრების ფონდიდან; დაბოლოს, ქონების ამოღება უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული ფორმით და მატერიალური ზარალი განიცადოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

ცხადია რომ დატაცება არ გვექნება თუ პირი უკანონოდ ამოიღებს ქონებას სოციალისტური საკუთრების ფონდიდან და გადაიხდის ამ ქონების ღირებულებას, რადგან ამ დროს ორგანიზაციას ზარალი არ ადგება.

თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის (დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს) გამართული მუშაობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან ცალკეული მოქალაქეების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ობიექტური მხრივ თანამდებობრივი დანაშაული გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას სამსახურებრივ მოთხოვნათა

[2] Ю. Ляпунов. Разграничение хищений социалистического имущества и злоупотреблений служебным положением; «Социалистическая законность». 1976 г., № 2, стр. 41—44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწინააღმდეგოდ. პირი არსებითს ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი კანონსაწინააღმდეგოდ იღებს სოციალისტური საკუთრების ფონდიდან ქონებას, ამცირებს სახელმწიფო ფონდს, მაგრამ მიზნად არ ისახავს სახელმწიფო ქონება, ამოღებული სოციალისტური საკუთრების ფონდიდან, უსასყიდლოდ მიისაკუთროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 1 ოქტომბრის № 14 დადგენილებით „თანამდებობრივი დანაშაულის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ", ანგარების მოტივით ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტურ მხარეს შეადგენს: მატერიალური სარგებლობის მიღება (ფულის, ქონების ან მასზე უფლების მოპოვება) სხვადასხვა გადასახადისგან განთავისუფლება (ფულის, ზარალის ანაზღაურების და სხვა) სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ხარჯზე[3]. მაგალითად, ფინგანის ინსპექტორი ამცირებს დასაბეგრი ქონების ღირებულებას, ამით ეხმარება ნათესავს თუ ნაცნობს თავი დააღწიოს ფულის გადახდას, სახელმწიფო კი კარგავს შემოსავალს. საქონლის ნისიად გაცემის დროს ხდება სოციალისტური ფონდის შემცირება არა მუდმივად, არამედ დროებით. ხშირად ქონების დატაცება შენიღბულია დასესხებით და ზარალის ანაზღაურება ხდება რევიზიის ჩატარების ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ.

საჭიროა გავარკვიოთ დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი. თუ თანხა გატანილია კანონსაწინააღმდეგოდ, უსასყიდლოდ და მისაკუთრების მიზნით, დანაშაული დაკვალიფიცირდება დატაცებად.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. გ.-ი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის III ნაწილით, 188-ე მუხლის II ნაწილით. ს. გ-მ, რომელიც მუშაობდა საწყობის გამგედ, თითქოს მიითვისა 41 ტონა დიზელის საწვავი, 4 ტონა ბენზინი, ამავე მიზნით არ გაატარა შემოსავალში 57 ტონა დიზელის საწვავი და 19 ტონა ბენზინი. წარდგენილ ბრალდებაში გ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ როდესაც დანაკლისი შეამჩნია, ზედდებულებით საწვავის შემოსავალში გაუტარებლობით ცდილობდა მიეჩქმალა წარმოშობილი დანაკლისი. ის კატეგორიულად უარყოფდა დიზელის საწვავისა და ბენზინის მითვისებას ან გაფლანგვას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განაჩენი ს. გ.-ს მიმართ გააუქმა და საქმე დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. ამასთან სხვა გარემოებასთან ერთად მიუთითა: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივნისის და 1977 წლის 21 სექტემბრის № 12 დადგენილებით დოკუმენტალური აღრიცხვიანობის საქმეში არევ-დარევის შეტანა არსებული დანაკლისის მისაჩქმალავად არ განიხილება სოციალისტური საკუთრების დატაცებად. სახელმწიფო ქონება დატაცებულად და მითვისებულად ჩაითვლება მაშინ, თუ პიროვნებამ ქონება თავის ან სხვა პირის საკუთრებად გადააქცია უსასყიდლოდ ან კანონსაწინააღმდე-

---

[3] „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი", 1977 წ., № 4, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდ. გამოძიებით უნდა დადგინდეს, გამოვლენილი საწვავ-საპოხი მასალის დანაკლისი იყო, თუ იგი მიითვისა ს. გ.-მ.

ქონების აუნაზღაურებლად, უნაცვალგებოდ და უსასყიდლოდ მითვისება იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე ეუფლება სოციალისტურ საკუთრებას უსაზღაუროდ, მისი ღირებულების დაუფარავად, მისი ტოლფასოვანი საქონლის გაუცვლელად. მაგალითად, ინდბინათმშენებლობის სამმართველოს სამშენებლო უბანმა შეასრულა ხუთასი მანეთის ღირებულების სამუშაო. ამ თანხიდან, შრომის ანაზღაურების მიზნით, 300 მანეთი გადაუხადეს სამუშაოს შემსრულებელ პირებს, ხოლო 200 მანეთი გამოწერეს მკვდარ სულებზე. ეს მოქმედება არ დაკვალიფიცირდება სოციალისტური საკუთრების დატაცებად, რადგან სამუშაო ფაქტობრივად შესრულებული იყო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 27 ნოემბრის № 6 დადგენილებით „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილება და დამატება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილებაში. მე-2 პუნქტის მე-2 აბზაცს დაემატა სიტყვები: „დამნაშავისათვის მინდობილი ქონების ამოღება მისი უფრო ნაკლებფასიანი ქონებით შეცვლის გზით, რაც ჩადენილია მითვისების ან სხვა პირებისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გატაცება ამოღებული ქონების ღირებულების ოდენობით“[4].

მაგალითად, მაღაზიის ნოქარმა სავაჭრო მაღაზიიდან მითვისების მიზნით წაიღო ახალი ტელევიზორი „ჰორიზონტი“, სანაცვლოდ გასაყიდად შეიტანა ნახმარი ტელევიზორი; ნოქარის მოქმედება განიხილება სოციალისტური საკუთრების დატაცებად.

სოციალისტური საკუთრების დატაცების დროს მოტივი და მიზანი ანგარებითია. დამნაშავის ქცევა, მოტივი (სწრაფვა გამდიდრებისადმი) შეესაბამება მიზანს (პარაზიტული გამდიდრება სოციალისტური საკუთრების ხარჯზე). ეს მიზანი ნათლად ვლინდება სოციალისტური საკუთრების თავის სასარგებლოდ დანაშაულებრივი გზით დაუფლებისას. პირი განკარგავს სახელმწიფო ქონებას როგორც თავის საკუთრებას იმ განზრახვით, რომ არ აუნაზღაუროს სახელმწიფოს ზარალი. ეს მიზანი განასხვავებს დატაცებას სახელმწიფო ქონების ნისიად გაცემისაგან, გასესხებისაგან, განათხოვრებისაგან და სხვა[5].

ყირგიზეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენით ხეგაის, ხვანს და პაკს მსჯავრი დაედოთ დიდი ოდენობით სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის. მათ ხელშეკრულებით იმუშავეს ბელოგორსკის რაიონის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშებად. გაპიროვნებულ სამ ჰექტარ მიწის ფართობზე აიღეს 107 ტონა ხახვის მოსავალი. საბჭოთა მეურნეობას ჩააბარეს

---

[4] სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1981 წლის 27 ნოემბრის № 6 დადგენილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ. „საკ. უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1982 წ., № 2, გვ. 7.

[5] ზ. წულაია. სოციალისტური საკუთრების გატაცების ცნების საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1976 წელი, № 11, გვ. 59-60.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული 40 ტონაზე მეტი ხახვი, დანარჩენი — ბოსტნეულის დამზადების კანტორას. შრომის ანაზღაურების სახით აიღეს 13 447 მანეთი და ურთიერთშორის გაინაწილეს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გააუქმა ეს განაჩენი, საქმე წარმოებით შეწყვიტა და ამასთანავე განმარტა: ხეგაი და მისი ბრიგადა საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდნენ ხელშეკრულებით. მათ დათესეს ხახვი და აიღეს დიდი მოსავალი, მეურნეობას გაუსწორეს ანგარიში და დანარჩენი ხახვის ჩაბარებით აღებული თანხა ურთიერთშორის გაინაწილეს. ხეგაის ბრიგადასა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას შორის დადებული ხელშეკრულება ბათილია, როგორც კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი ვცნოთ დამნაშავეებად სახელმწიფო ქონების მითვისებაში[6].

მ. წ-ი და ნ. ნ.-ი შეუთანხმდნენ ლანჩხუთის რაიონის ს. აცანის კოლმეურნეობას — დათესეს ბაღჩეული და ბოსტნეული, კოლმეურნეობას ჩააბარეს 30 ტონაზე მეტი საზამთრო. კოლმეურნეობა ვალდებული იყო მიეცა მათთვის ორ ტონამდე საზამთრო ნატურით შრომის ანაზღაურების მიზნით, მაგრამ კოლმეურნეობამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ამიტომ მოსავლის აღების ბოლოს ფართობში დარჩენილი 800 კგ საზამთრო ბრალდებულებმა გასაყიდად გაიტანეს საკოლმეურნეო ბაზარში. გზაში ისინი მილიციის მუშაკებმა დაიკავეს. ორივე პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით. ლანჩხუთის რაიონის პროკურატურამ საქმე მათ მიმართ წარმოებით შეწყვიტა იმ საბაბით, რომ მათი მოქმედება არ შეიცავდა საკოლმეურნეო ქონების კანონსაწინააღმდეგოდ და უსასყიდლო მითვისებას[7].

ქონებრივ ზარალს თავისი ხასიათით ორი ფორმა აქვს. 1) რეალური ზარალი, როცა შემცირებულია სოციალისტური საკუთრების ფონდი უნაცვალგებოდ (მაგალითად, სოციალისტური საკუთრების ფონდიდან ამოიღებენ მატერიალურ ფასეულობას ან ფულად სახსრებს). 2) როდესაც საწარმო ზარალობს, კარგავს შემოსავალს, რომელსაც მიიღებდა, თუ გეგმას შეასრულებდა (მაგალითად, გეგმის შეუსრულებლობით მუშა-მოსამსახურეებმა დაკარგეს პრემია). ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირის უკანონო გამდიდრება არ განიხილება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებად. ეს დანაშაული დაკვალიფიცირდება ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, ე. ი. საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მიხედვით[8].

„პ“ მუშაობდა „მთავარლენინგრადმშენის“ № 105 ტრესტის სამშენებლო უბნის უფროსად, ხოლო „ხ“ მუშაობდა იგივე ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს უბნის უფროსად. ისინი მებაღეობა „ნევის“ ამხანაგობის გამგეობას შეუთანხმდნენ, რომ ამხანაგობის ნაკვეთზე შეასრულებდნენ მიწის სამუშაოს, ხოლო მებაღეობა „ნევის“ ამხანაგობის გამგეობამ იკისრა ვალდებულება — შესრულებული სამუშაოსათვის გადაეხადა 6 000 მანეთი.

---

[6] Постановление Верховного Суда СССР по делу Хегай и других, Бюллетень Верховного Суда СССР, 1974 г., стр. 15—17, № 4.

[7] ლანჩხუთის რაიპროკურატურის არქივი

[8] Ляпунов Ю. «Разграничение социалистического имущества и злоупотреблений служебным положением. «Социалистическая законность», 1976 г., № 2, стр. 41—44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობის ბოროტად გამოყენებით „პ“ და „ხ“-მ ექსკავატორი მომუშავე პერსონალით მოხსნეს თავისი სამუშაო ობიექტიდან და გაგზავნეს მებაღეობა „ნევის“ ამხანაგობის გამგეობის განკარგულებაში. სამუშაო ობიექტიდან ექსკავატორის მოხსნამ და არადანიშნულებისამებრ გაგზავნამ ტრესტს მიაყენა 919 მანეთი ზარალი სამუშაოს არასრულყოფილად შესრულების თუ გეგმის ჩაშლის გამო. მებაღეობა „ნევის“ ამხანაგობის გამგეობამ „პ“ და „ხ“-ს გადაუხადა შესრულებული სამუშაოს მიხედვით 4300 მანეთი, მათ ამ თანხიდან 300 მანეთი დატოვეს ამხანაგობის გამგეობის სალაროში გამგეობის თავმჯდომარისათვის გადასაცემად როგორც შრომის კომპენსაცია, ხოლო 200 მანეთი გადასცეს ექსკავატორის მომსახურე ბრიგადას საზეგანაკვეთო სამუშაოს შესრულებისათვის. დანარჩენი 3800 მანეთი „პ“ და „ხ“-მ გაინაწილეს ურთიერთშორის. ქ. ლენინგრადის ტერნენსკის რაიონის სახალხო სასამართლომ და ლენინგრადის ოლქის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ „პ“ და „ხ“ დამნაშავედ ცნო რსფსრ სსკ 92-ე მუხლის III ნაწილით, სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით გატაცებისათვის, მაგრამ ლენინგრადის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა სოციალისტური საკუთრების დატაცება არ სცნო დადასტურებულად და მიუთითა: პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, თუ უკანონოდ, უსასყიდლოდ არის ამოღებული სოციალისტური საკუთრების ფონდიდან თანამდებობის პირის მიერ მინდობილი ან მის გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ქონება მითვისების ანდა სხვის საკუთრებად გადაქცევის მიზნით, „პ“ და „ხ“-ს მიზანდასახული მოქმედება მიმართული იყო არა იმ ფულადი სახსრების დატაცებაზე, რაც ეკუთვნოდა „მთავარლენინგრადმშენის“ № 105 ტრესტს, არამედ მათი მიზანი იყო მიეღოთ სარგებელი ტექნიკის უკანონო გამოყენებით. ხელშეკრულება არც ტრესტსა და არც „ნევის“ ამხანაგობის გამგეობას არ დაუდია: — ასეთი ხელშეკრულება დაუდეს „პ“-ს, როგორც კერძო პირს, მათი დანაშაული მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულეს სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ანგარების მოტივით და სახელმიწფოს მიაყენეს ზარალი, ე. ი. ჩაიდინეს რსფსრ სსკ 170-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

როგორც ვხედავთ, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები მცდარად კვალიფიცირებენ დანაშაულს მაშინ, როცა დამნაშავეებმა უკანონო მოქმედებით ორგანიზაციებს მიაყენეს არარეალური ზარალი, ე. ი. ორგანიზაციამ დაკარგა სარგებელი, თუ, ექსკავატორს დანიშნულების მიხედვით გამოიყენებდნენ — ტრესტი მიიღებდა მოგებას და არ დაკარგავდა 919 მანეთს. ხოლო 4300 მანეთი არ შეიძლება დატაცებად ჩაითვალოს, რადგან ამ თანხის სამუშაო ფაქტობრივად შესრულდა[9].

სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების დროს მოქმედების მოტივი და მიზანი ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში დამნაშავე ცდილობს მიიღოს მატერიალური გამორჩენა სოციალისტური ქონების ხარჯზე, რის გამოც სახელმწიფოს ადგება მატერიალური ზარალი. მცირდება სოციალისტური საკუთრების ფონდი. ორივე

---

[9] იქვე, გვ. 41-44.

შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტია თანამდებობის პირი, დანაშაულის ჩადენა ხდება თანამდებობის ბოროტად გამოყენებით.

მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ამ დანაშაულთა გასამიჯნავად არის ის, რომ გამოვავლინოთ ანგარების მოტივით მიღებული სარგებელის ხერხი. სახელმწიფო ქონების უკანონოდ, უსასყიდლოდ მითვისება წარმოქმნის დატაცებას. მისი მიღება, თუნდაც ისეთივე მოქმედებით, უკანონოდ, უნაცვალგებოდ, მაგრამ მითვისების მიზნის გარეშე, წარმოქმნის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ჩადენილს ანგარების მოტივით. მაშასადამე, მარტოოდენ ანგარების მოტივისა და მიზნის შედარება არის ორივე დანაშაულის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი.

ამრიგად, ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ანგარების მოტივით არ ჩაითვლება სოციალისტური საკუთრების დატაცებად, თუ არის ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი:

— როდესაც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დროს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიყენებული აქვს არარეალური ზარალი სარგებელის დაკარგვით, ე. ი. ორგანიზაციამ დაკარგა ის შემოსავალი, რასაც მიიღებდა, რომ არ დაერღვიათ სამართლით დაცული ინტერესები;

— როდესაც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებამ, რაც ანგარების მოტივით არის ჩადენილი, ზარალი მიაყენა მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

— როდესაც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ჩადენილს ანგარების მოტივით თუმცა შედეგად მოჰყვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის რეალური პირდაპირი ზარალი, მაგრამ დამნაშავის მიზანი არ იყო გადაეფცია სოციალისტური საკუთრება პირად საკუთრებად, უკანონოდ და უსასყიდლოდ;

— როცა პირის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების განზრახვა მიმართულია სოციალისტური საკუთრების ხარჯზე გამდიდრებისაკენ, მაგრამ მის მიზანს არ შეადგენს სოციალისტური საკუთრების უსასყიდლოდ, უკანონოდ მითვისება[10].

---

[10] იქვე, გვ. 41-44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთის მსგავს გაუფრთხილებელ დანაშაულთა შემადგენლობების გამიჯვნა

ე. დაუთაშვილი

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-4 მუხლი ადგენს, რომ „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას". კანონიერების განუხრელი დაცვის პრინციპი უდევს საფუძვლად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს საქმიანობას. იგი ფუძემდებელია მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობაში. კანონიერების დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია სისხლის სამართლის კანონის ნორმების გამოყენებისას, რადგან საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაცვისა და სამართლებრივი რეგულირების სხვა ღონისძიებებს შორის სისხლისსამართლებრივი სანქციები ყველაზე მკაცრია. დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს დაშვებულ შეცდომებს უარყოფითი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები მოსდევს. ასეთი შეცდომები არ ამოიწურება ცალკეულ პირთა უფლებების დარღვევით, ისინი ძირს უთხრიან აგრეთვე კანონის სტაბილურობას, მართლმსაჯულების პრინციპებისადმი რწმენას.

დანაშაულის კვალიფიკაცია როგორც საქმის ფაქტობრივი ვითარების სამართლებრივი შეფასება გულისხმობს კონკრეტული პირის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენას[1]. კვალიფიკაციის პროცესი გულისხმობს სისხლის სამართლის კანონის ნორმით გათვალისწინებული კონკრეტული შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებსა და ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ნიშნებს შორის ზუსტი შესაბამისობის დადგენას.

მსგავს შემადგენლობების გამიჯვნის სიძნელე ის არის, რომ მათი სუბიექტური ნიშნები და ობიექტური მხარე შეიძლება სავსებით დაემთხვეს ერთმანეთს, განსხვავება კი გამოიხატებოდეს მხოლოდ დანაშაულის ობიექტის ნიშნებით. მაგრამ დანაშაულის ობიექტის ნიშნები, როგორც წესი, არ არის მითითებული სისხლის სამართლის ნორმებში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. ნ. კუდრიავცევი, უფრო რთულია დანაშაულთა გამიჯვნა, როცა მათი ობიექტები ნაწილობრივ ემთხვევა (გადაკვეთს) ერთმანეთს[2].

---

[1] Кудрявцев В. Н. Общая теория квалификации преступлений. М., 1972, с. 7—8; Куринов Б. А. Научные основы квалификации преступлений. М., 1976, с. 7.

[2] Кудрявцев В. Н. Цит. соч., с. 156.

ობიექტის მსგავსება შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთ დანაშაულთა შემადგენლობაში, როგორიც არის გაუფრთხილებელი მკვლელობა, შრომის დაცვის წესების დარღვევები, რომლებსაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების და სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დარღვევები, რომლებსაც მოჰყვა იგივე შედეგები, ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევები და სხვა შემადგენლობებში.

ამგვარი მსგავსი შემადგენლობების გამიჯვნის საფუძველია ნორმების მთელი წრის დადგენა, რომლებიც იცავენ ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ამ ნორმებს შორის განსხვავებისა და აგრეთვე ნორმებით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკის გამოვლენა[3].

სისხლის სამართლის კოდექსებში სისხლისსამართლებრივი ნორმების სისტემატიზაციას საფუძვლად უდევს ხელყოფის ობიექტი. სწორედ მისი თავისებურებანი უნდა დაედოს საფუძვლად ერთგვაროვან დანაშაულთა შემადგენლობების გამიჯვნას.

აქ ლაპარაკია გაუფრთხილებელ დანაშაულებზე, რადგან განზრახ ხელყოფაში უშუალო ობიექტის დადგენა არ არის ძნელი — მასზე მიუთითებს დამნაშავის განზრახვის მიმართულება. ამოცანა ის არის, რომ განისაზღვროს მაგავს გაუფრთხილებელ დანაშაულთა შემადგენლობების გამიჯვნის პრინციპები.

სსიხლისსამართლებრივ მეცნიერებაში ობიექტის შინაარსი გაანალიზებული აქვთ ბ. ს. ნიკიფოროვს, ნ. ი. კორჟანსკის, ნ. ა. ბელიაევს[4] და სხვა ავტორებს. ამ ავტორთა პოზიციების ერთგვარი განსხვავების მიუხედავად, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ისინი განიხილავენ როგორც სუბიექტების ურთიერთკავშირს, ურთიერთსაქმიანობას. საზოგადოებრივი ურთიერთობის სტრუქტურაში გარდა ამისა, გამოყოფენ მის საგანს, როგორც ისეთ სიკეთეს, ფასეულობას თუ ინტერესებს, რომელთა გამო წარმოიშობა და არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობანი[5]. დანაშაულის ობიექტის ასეთი სტრუქტურიდან გამომდინარე, შევეცდებით განვსაზღვროთ ის კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გავმიჯნოთ მსგავს დანაშაულთა შემადგენლობანი.

მივმართოთ უწინარესად შემადგენლობებს, რომლებსაც ყველაზე მეტი მსგავსება აქვთ კანონმდებლის მიერ დანაშაულებრივ ხელყოფათა აღწერაში.

შრომის დაცვის წესების დარღვევა (საქ. სსრ სსკ-ის 146-ე მუხ.). ერთგვაროვანია ისეთი შემადგენლობებისა, როგორიც არის სამთო (სსკ 245-ე მუხ.), სამშენებლო სამუშაოთა (სსკ 244-ე მუხ.) და აფეთქების მხრივ საშიშ საამქროებსა თუ საწარმოებში (სსკ 247-ე მუხ) სამუშაოთა წარმოების წესების

---

[3] Куринов Б. А. Цит. соч., с. 82.

[4] Никифоров Б. С. Объект преступления. М., 1960; Коржанский Н. И. Объект посягательства и квалификация преступлений. Волгоград, 1976, Беляев Н. А. Объект преступления. В кн.: Курс советского уголовного права, т. I, Л., 1968.

[5] Брайнин Я. М. Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве. М., 1963, с. 165; Алексеев С. С. Общие теоретические проблемы системы советского права. М., 1961, с. 17—18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევანი. ერთგვაროვნება აქ ის არის, რომ ამ შემადგენლობებში დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყვნენ თანამდებობის პირნი, ობიექტური მხარე გამოიხატება სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესების დარღვევით, სუბიექტურ მხარეს ახასიათებს ბრალის გაუფრთხილებელი ფორმა. დანაშაულის ობიექტები ამ შემადგენლობებში ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს.

ნ. პ. იაბლოკოვის აზრით, რუსეთის სფსრ სსკ 140-ე და 214-217-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საერთო ობიექტია საწარმოო პროცესების უსაფრთხოება, ამასთან, „სსკ 140-ე მუხლისათვის ძირითად უშუალო ობიექტს წარმოადგენს შრომის უსაფრთხო პირობები, ხოლო მეორე (როგორც ჩანს, დამატებითი), უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება". 214-217 მუხლებისათვის, პირიქით, „ძირითადი უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და მეორე — შრომის უსაფრთხო პირობები". მისი საბოლოო დასკვნა ის არის, რომ სამთო, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს წესების დარღვევებისაგან შრომის დაცვის წესების დარღვევათა გამიჯვნა უნდა ხდებოდეს დარღვეული წესების ხასიათის მიხედვით[6].

ამ დასკვნის უსაფუძვლობა აღნიშნული იყო შ. ვახიდოვისა და მ. მახმუდოვის[7] სტატიაში. ისინი ამტკიცებენ, რომ განხილული შემადგენლობანი ერთგვაროვანი არ არის, საზოგადოებრივი უშიშროება არ არის უშუალო ობიექტი შრომის დაცვის წესების დარღვევის შემადგენლობისათვის. მაგრამ ეს სწორი დასკვნა არ იყო საფუძველი მათი მეორე დასკვნისათვის იმის შესახებ, რომ სამთო, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევების, აფეთქებასაშიშ წარმოებებში წესების დარღვევების შემადგენლობის უშუალო ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. ავტორები არ აანალიზებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსს, რომლებიც მათ მიაჩნიათ დანაშაულის უშუალო ობიექტად. გადაუჭრელი დარჩა ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი: იცავენ თუ არა შრომის უსაფრთხო პირობებს რუსეთის სფსრ სსკ-ის 214-217 მუხლები? სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1967 წლის 30 მაისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ დანაშაულთა გამო დაზარალებულნი შეიძლება იყვნენ ნებისმიერი პირნი — როგორც წარმოებასთან შრომითი ურთიერთობებით დაკავშირებულნი, ისე გარეშენიც. მაშასადამე, ამ შემადგენლობებში დანაშაულის ობიექტი მოცულობით უფრო ფართოა და შეიცავს შრომის დაცვის წესების დარღვევებს. ეს მიგვაჩნია მოცემულ შემადგენლობებში ობიექტების მსგავსებად და ურთიერთგადაკვეთად.

მ. ი. ფეოდოროვმა სცადა მეთოდოლოგიურად სწორად მოეხდინა გამიჯვნა მუშაობის პირობების უსაფრთხოების დასაცავად საქმიანობის არსის გამოვლენის გზით, მაგრამ მან არ მოგვცა დასკვნა სადავო საკითხებზე, დასჯერდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 30 მაისის პლენუმის დადგენილების კრიტიკას და რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მოქმედების სფეროს მიაკუთვნა „მოცემულ დროს

---

[6] Яблоков М. П. Квалификация преступных нарушений правил охраны труда и техники безопасности. Советская Юстиция, 1968, № 3, с. 4—5.

[7] Вахидов Ш., Махмудов М. Объект преступных нарушений правил охраны труда. Советская юстиция, 1968, № 18, с. 11—13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოცემულ გარემოებებში შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად ყოველდღიური ღონისძიებების"[8] დარღვევა. ამ მუხლებით დაცულ ობიექტებს იგი მიაკუთვნებს საზოგადოებრივ უშიშროებას, ესე იგი ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც უზრუნველყოფს წარმოების უსაფრთხოებას გარშემო მყოფთათვის. თუ ამ დასკვნით ვიხელმძღვანელებთ, ერთი და იგივე შემთხვევა წარმოებაში (მაგალითად, ჩამონგრევა, აფეთქება, რამაც ტრავმა მიაყენა როგორც მომუშავეებს, ისე გარშემო მყოფთ) უნდა დაკვალიფიცირდეს იდეალურ ერთობლიობად შრომის დაცვის წესების დარღვევის შესახებ მუხლით და იმ მუხლით, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას უსაფრთხოების წესების დარღვევებისათვის მოცემულ წარმოებაში გარშემო მყოფთა ზიანის მიყენების ნაწილში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა უმართებულოა, რადგან სპეციალურ ნორმებში ლაპარაკია სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოებაზე და, მაშასადამე, მხედველობაშია მიღებული როგორც მომუშავეთა, ისე წარმოებასთან კავშირის არმქონე სხვა პირთა უშიშროების დაცვა. ამ დასკვნას მხარს უჭერენ პ. ს. რომაშკინი[9], ვ. კ. გლისტინი[10], კ. პავლიშჩევი, ი. შირიაევი[11] და სხვა ავტორები.

ს. კელინა და ვ. კუზნეცოვი ცდილობენ გადაჭრან სადავო საკითხი დარღვეული წესების სახეობების საფუძველზე. შრომის დაცვის ზოგადი წესების დარღვევანი უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 146-ე მუხლით, ხოლო სამშენებლო, სამთო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების სპეციალური წესების დარღვევანი — 244-ე და 245-ე მუხლებით, ამასთან შესრულებულ სამუშაოთა სახეობას ისინი უგულებელყოფენ.

ხსენებული ერთგვაროვანი ქმედობების გამიჯვნა შესაძლებელია თითოეულ ამ შემადგენლობაში ხელყოფის ობიექტის შინაარსის გარკვევით. მაგალითად, სსკ-ის 146-ე მუხლით დაცულია პიროვნების უშიშროება და ქონება ნებისმიერ შრომითს საქმიანობაში. სხვაგვარად დაცულია საზოგადოებრივი ურთიერთობანი მომუშავეთა და ადმინისტრაციას შორის შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის სფეროში. ამ ურთიერთობის სუბიექტები არიან თანამდებობის პირნი, ერთი მხრივ, და შრომითი ან სხვა საქმიანობით წარმოებასთან დაკავშირებული პირნი, მეორე მხრივ. ეს მუხლი არ ვრცელდება გარეშე პირებზე, რადგან სსკ-ის 146-ე მუხლში ლაპარაკია შრომის დაცვის წესების დარღვევებზე. აქ სოციალური ურთიერთობის არსია იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გამორიცხავს საწარმოო ტრავმატიზმს და პროფესიულ დაავადებებს შრომის გამოყენების ნებისმიერ სფეროში.

სსკ-ის 244-ე, 245-ე მუხლებით დაცული საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსი ის არის, რომ ის პირნი, რომლებიც ასრულებენ აღნიშნულ სპეციალურ სამუშაოებს, მოვალენი არიან უზრუნველყონ როგორც წარმოებასთან დაკავ-

---

[8] Курс Советского уголовного права, т. 3, Л., 1973, с. 701—702.

[9] Курс Советского уголовного права, т. 5 изд. «Наука», М., 1971, с. 257.

[10] Глистин В. К. Квалификация преступных нарушений правил охраны труда. ««Вестник» ЛГУ, 1974, № 11, с. 129.

[11] Павлищев К., Ширяев И., решительно пресекать нарушения законов об охране труда. «социалистическая законность», 1966, № 10, с. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებული, ისე მოცემული საწარმოო საქმიანობის სფეროში შემთხვევით მოხვედრილი პირების უშიშროება.

სსკ-ის 146-ე და სსკ-ის 244-ე, 245-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებების ობიექტების შინაარსს რომ ვადარებთ, ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ მათთვის საერთოა მომუშავეთა უშიშროების დაცვა. მაგრამ დაცვის ობიექტი სსკ-ის 244-ე და 245-ე მუხლებში უფრო ფართოა მოცულობით — აქ მხედველობაშია მიღებული სოციალურ ურთიერთობათა უფრო დიდი ჯგუფი. სსკ-ის 146-ე მუხლი მოიცავს მხოლოდ მომუშავეთა უშიშროების დაცვას, მაგრამ გულისხმობს სამუშაოთა სახეობების მეტ რიცხვს, მაშასადამე, თუ საქმე ეხება წარმოებასთან დაკავშირებულ პირთა უშიშროების დაცვას, სსკ-ის 146-ე მუხლი წარმოადგენს ზოგად ნორმას, ხოლო სსკ-ის 244-ე და 245-ე მუხლები — სპეციალურ ნორმებს.

ეს სპეციალური ნორმები განეკუთვნება საწარმოო საქმიანობის უფრო ვიწრო სფეროებს—სამთო, სამშენებლო სამუშაოებს, აფეთქებასაშიშ საამქროებსა და საწარმოებში სამუშაოებს. ზოგადი ნორმა მოიცავს საწარმოო საქმიანობის ყველა სფეროს. კუდრიავცევს სწორად აქვს წარმოდგენილი სისხლის სამართლის კანონის ნორმების გამოყენების წესი ასეთ შემთხვევაში: „ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა"[12]. ამ სპეციალური ნორმების დაწესებისას, კანონმდებელი მიზნად ისახავდა გაეძლიერებინა შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა. ამ დასკვნას უნივერსალური მნიშვნელობა აქვს, იგი ვრცელდება სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის ყველა შემთხვევაზე.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სსკ-ის 244-ე და 245-ე მუხლებს იყენებენ შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების დარღვევათა შემთხვევებში სამთო, სამშენებლო სამუშაოთა და აფეთქებასაშიშ საამქროებსა და საწარმოებში სამუშაოთა შესრულებისას. სსკ-ის 146-ე მუხლი ამ სახეობათა სამუშაოებზე არ ვრცელდება.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი სსკ-ის 146-ე მუხლისა და 241-ე მუხლის თანაფარდობის შესახებ. პირველ ნორმას მხედველობაში აქვს პიროვნების დაცვა შრომითი საქმიანობის პროცესში; მეორე ნორმას — ავტომოტორანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის პროცესში. სავსებით სწორია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის მითითება მოცემულ საკითხზე: პირი, რომელიც თვითმავალ მანქანას მართავს, პასუხს აგებს სსკ-ის 241-ე მუხლით, როცა სატრანსპორტო შემთხვევა დაკავშირებულია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან. მაგრამ თუ აღნიშნულმა პირმა დაარღვია გარკვეულ სამუშაოთა წარმოების, უსაფრთხოების ტექნიკის წესები ან შრომის დაცვის სხვა წესები, თუნდაც ეს დარღვევანი მანქანის მოძრაობის დროს მოხდა, ბრალეულის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ წესების დარღვევისათვის, ხოლო შესა-

[12] Кудрявцев В. Н. Теоретические основы квалификации преступлений. М., 1963. с. 253.

ბამის შემთხვევებში — მოქალაქეთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულისათვის[13]. ასეთ შემადგენლობათა გამიჯვნას აქ საფუძვლად უდევს საწარმოო საქმიანობის გარკვეული სფერო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ ამოსავალია იმ სხვადასხვა სახის სოციალურ ურთიერთობათა (როგორც ობიექტის ელემენტის) არსი, რომლებსაც იცავს სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა ნორმა და რომლებიც ერთგვაროვან ხელყოფათა გამიჯვნის საფუძველია.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნაც, რომ პიროვნებისათვის (სიცოცხლის, ჯანმრთელობისათვის) ზიანის გაუფრთხილებელი მიყენება კვალიფიცირდება სპეციალური ნორმებით, რომლებითაც დაცულია ადამიანის საქმიანობის მოცემული სფერო (78, 79, 137, 160, 208, 212 და სხვა მუხლები), ხოლო პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთა შესახებ ნორმები გამოიყენება გაუფრთხილებელ ხელყოფათა ყველა სხვა შემთხვევაში.

ამრიგად, ერთგვაროვან გაუფრთხილებელ ხელყოფათა შესახებ ნორმების გამიჯვნა ხდება დანაშულის უშუალო ობიექტის შინაარსის მიხედვით. აქ გადამწყვეტია ადამიანთა შორის სოციალურ ურთიერთობათა არსი, რომელსაც იცავს კანონმდებელი და რომლის სფეროში ბრალეული პირი იწვევს მავნე ცვლილებებს.

---

[13] См. «Сб. пост. ПЛ ВС СССР», 22, М., 1981, с. 262.

სპარსეთის ყურე პენტაგონის აგრესიულ გეგმებში

გ. ფარვიზფური

პენტაგონის სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებში სპარსეთის ყურეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში სპარსეთის ყურეს დღეს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც წარსულში ჰორმუზისა და გიბრალტარსა და პანამის არხს[1]. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების ძთავრობები იცვლებიან, მაგრამ, განურჩევლად იმისა თუ რა მეთოდებით ახორციელებენ ისინი თავის პოლიტიკას ამ ყურეში, იგი უპირველეს ყოვლისა იმპერიალისტური მონოპოლიების გრძელვადიანი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ყურე იმით ფასობს, რომ აქ არის ნავთობი და მის შეუფერხებელ მიწოდებაზე დამოკიდებული არიან. საქმე ის არის, რომ სწორედ აქ, სპარსეთის ყურის ფსკერქვეშ და მის ნაპირებზეა მსოფლიოში უმდიდრესი ნავთობის საბადოები[2]. 80-იანი წლების დასაწყისის მონაცემებით, კაპიტალისტური სამყაროს ნავთობის მარაგი 70 მილიარდ ტონას აღწევს. ამათგან სპარსეთის ყურის წილი დაახლოებით 49 მილიარდ ტონას, ანუ ორ მესამედს შეადგენს. დღეისათვის ამ ყურის სახელმწიფოები აკმაყოფილებენ ამერიკის შეერთებული შტატების „შავ ოქროზე" მოთხოვნილების 12 პროცენტს, ევროპის 60 პროცენტს, იაპონიის 75 პროცენტს[3]. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, კაპიტალისტური სამყაროს სიდიდით მეორე სამრეწველო სახელმწიფო იაპონია თითქმის მთლიანად დამოკიდებულია თხევად საწვავზე, რომელსაც სპარსეთის ყურის ჭაბურღილები იძლევიან.

ყოველ 15 წუთში ერთხელ, ორმუზის სრუტიდან გამოდის ერთი ტანკერი. მათ გეზი აღებული აქვთ დასავლეთ ევროპის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის, იაპონიის, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიისაკენ. ამ ტანკერების მარშრუტებს თვალყურს ადევნებენ ამერიკული თვითმფრინავები, რომლებიც ბაზებად იყენებენ კუნძულ მასირას არაბეთის ზღვაში, ატოლ დიეგო-გარსიას ინ-

---

[1] იხ. „ეტელაატ", 5. 7. 76 წ. (სპარსულ ენაზე)

[2] ყურეს გარსერტყმის 14 სანაპირო სახელმწიფო, ამათგან 13 არაბულია. ესენია: საუდის არაბეთი, ერაყი, კუვეიტი, ბაჰრეინი, კატარი, ომანი და შვიდი სახელმწიფო, რომლებმაც შექმნეს არაბეთის გაერთიანებული ემირატები (აბუ-დაბი, დუბაი, შარჯა, აჯმანი, რას-ელ ჰაიმა ელ-ფუჯაირო, უმ-ელ-კაივანი). ყურის მე-14 სახელმწიფოა ირანი. მოსახლეობის რაოდენობით ამათგან ყველაზე დიდია ირანი. აქ 37 მილიონი მცხოვრებია. ყველაზე პატარაა უმ-ელ-კაივანი — დაახლოებით ოთხი ათასი.

[3] იხ. «Зарубежное военное обозрение», 1982 წ., № 9, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოეთის ოკეანეში და მთელ რიგ სხვა ბაზებს, რომლებიც განლაგებულია მათ გზაზე იაპონიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაპირებამდე. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ პოლიტიკაში ამ რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიკური ფაქტორის გამო. სპარსეთის ყურე სამი კონტინენტის — ევროპის, აზიის და აფრიკის შესაყარზეა, უმნიშვნელოვანეს სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო კომუნიკაციების გზაჯვარედინზეა. ამიტომ ყურის სანაპირო ქვეყნებს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. საქმე ის არის, რომ ეს რეგიონი არა მარტო ნატოს სამხრეთ ფლანგს ეკვრის, არამედ (და რაც მთავარია) უშუალოდ ესაზღვრება საბჭოთა კავშირს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ პენტაგონი მწვავედ არის დაინტერესებული გააფართოოს ამ რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების განლაგება.

იმისათვის, რომ გაამართლოს ეს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, 1979 წლიდან მოყოლებული, ცდილობს თავისი აშკარად იმპერიალისტური და ნეოკოლონიალისტური პოლიტიკა დაასაბუთოს მსჯელობით იმის შესახებ, რომ ამ რეგიონში არ არის სტაბილურობა, შეიქმნა რაღაც „ვაკუუმი", რომ არსებობს „საბჭოთა საფრთხე", რომელიც თითქოს მომდინარეობს საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტიდან, რომლებიც ავღანეთში გაიგზავნენ ამ ქვეყნის კანონიერი მთავრობის თხოვნის თანახმად და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ, ხმაური იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჯარები მიუახლოვდნენ სპარსეთის ყურის ნაპირებს, ანდა იმის შესახებ, რომ ირანის რევოლუციის „ნეოისლამიზმი" „დამღუპველი" შედეგებით ემუქრება ყურის სანაპირო სახელმწიფოებს, ვაშინგტონს მხოლოდ იმისათვის ესაჭიროება, რომ ხან „საბჭოთა საფრთხის" საბაბით, ხან თეირანში ამერიკელი მძევლების გათავისუფლების ლოზუნგით, ხან კი ოთქოსდა დასავლეთისათვის განკუთვნილი ნავთობის გადაზიდვის უშიშროების უზრუნველსაყოფად იყოლიოს სპარსეთის ყურის რაიონში თავისი სამხედრო საზღვაო არმადა. ვაშინგტონი აცხადებს, რომ სპარსეთის ყურის ზონა „ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისათვის საარსებო მნიშვნელობის რაიონია" და, მაშასადამე, მას უფლება აქვს „დაიცვას" იგი შეიარაღებული ძალების უშუალო გამოყენების გზით, ასე განსაჯეთ, „ტაქტიკური პირთვული იარაღის" გამოყენების გზითაც კი.

ვაშინგტონის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ყურის ქვეყნების მიერ ნავთობის მიწოდების შეწყვეტა საფრთხეს შეუქმნიდა ამერიკის უშიშროებას და გამოიწვევდა გაცილებით უფრო სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს, ვიდრე დიდი დეპრესია 50 წლის წინათ. ამასთანავე ეს გამოიწვევდა ამერიკის ცხოვრების წესის რადიკალურ შეცვლას. შარუან ამერიკამ დაიწყო თავისი შეიარაღებული ძალების გადასროლის შესაძლებლობის გაფართოება. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, რომ უფრო აქტიურად გამოიყენოს ამ რაიონში სამხედრო ობიექტები. ამერიკამ გაზარდა ინდოეთის ოკეანეში სამხედრო-საზღვაო ძალების ყოლის მასშტაბები. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის სპარსეთის ყურის რაიონში, სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და სხვა რაიონებში მეგობარი მთავრობების მხარდასაჭერად გამოიყენოს სწრაფი განლაგების ძალები[4].

ამ ცინიკური ტირადიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ ამერიკული დიპლომატიის მესვეურები არა მარტო უგულებელყოფენ ნავთობის მომმპოვებელი ქვეყნების სუვერენულ უფლებას თვითონ განკარგონ, თუ როგორ გამოიყენონ საკუთარი ბუნებრივი რესურსები, არამედ აცხადებენ, რომ მათ ინტერესებს სასიკვდილო საშიშროება ექმნება და რომ საჭიროა ეს ინტერესები დაიცვან, თუნდაც ომის რისკით.

ვაშ ასე, 80-იანი წლების ზღურბლზე სპარსეთის ყურის ზონა საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახიფათო კერად იქცა, რაშიც დამნაშავენი არიან ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეები. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც ხელოვნურად აზვიადებენ მილიტარისტულ ისტერიას, ამჟამად არავითარ მეთოდს არ თაკილობენ, მათ შორის შანტაჟსა და მუქარას „ჯარბაზნებისა და ცივი ომის დიპლომატიის" არსენალიდან, ოღონდ კი შეინარჩუნონ თავისი ნეოკოლონიალისტური პრივილეგიები და სტრატეგიული პოზიციები შუა აღმოსავლეთის რეგიონის მერყევ ნიადაგზე. ამასთანავე, თეთრი სახლის პრაქტიკაში ძალის გამოყენების მუქარას ჩვეულებრივ ენაცვლება **მშვიდობისმოყვარე დეკლარაციები.**

თუ ამერიკის პროპაგანდას დავუჯერებთ,

[4] იხ. «За рубежом». 1980 წ., № 6, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სპარსეთის ყურის რაიონში მშვიდობას არღვევს მხოლოდ და მხოლოდ ირანის რევოლუცია და ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის დროებითი შეყვანა. მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების ანალიზი შუა აღმოსავლეთის პრობლემებისა, მათი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, თვალნათლივ ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულმა წრეებმა კურსი მსოფლიოს ამ რეგიონში საკუთარი ჰეგემონიის დასამყარებლად აიღეს ავღანეთის და ირანის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე.

ისტორიული ფაქტები მოწმობს, რომ სპარსეთის ყურისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა 60-იანი წლების დამდეგს, როდესაც ინგლისის ლეიბორისტულმა პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა განაცხადა, რომ მის მთავრობას განზრახული აქვს 1971 წლის ბოლომდე გაიყვანოს ინგლისის ჯარები სპარსეთის ყურის რაიონიდან. მას შემდეგ ავანსცენაზე ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა. მან შეავსო ამ რეგიონში „წარმოშობილი ვაკუუმი". საჩქაროდ გაიხსნა ამერიკის წარმომადგენლობანი ბაჰრეინში, ომანში და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში. იწყება ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა ოფიციალური ვიზიტები სპარსეთის ყურის სახელმწიფოებში. ამ ვიზიტებს წინ უძღოდა ვიცეპრეზიდენტ აგნიუსა და სახელმწიფო მდივნის როჯერსის სტუმრობა. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ყოველმხრივ ცდილობს გააღვივოს ამერიკის მმართველი წრეების ექსპანსიონისტური მისწრაფებანი. პენტაგონმა იმით დაიწყო, რომ ხელთ ჩაიგდო ბაჰრეინის არქიპელაგის მოჰადეკისა და მონამის კუნძულებზე სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები, რომლებიც წინათ ინგლისს ეკუთვნოდა. და გააფართოვა ისინი. სამხედრო ბაზები ამერიკის შეერთებული შტატების ალმით მოქმედებას იწყებენ დოჰაში (კატარი), დაჰრანში (საუდის არბეთი), აბუ-დაბიში, დუბაისა და შარჯაში (არაბთა გაერთიანებული საემიროები). ამ რაიონში ამერიკის სამხედრო ბაზებს შორის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ამუამად მოქმედ მსხვილ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზას მოსირის კუნძულზე, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად ხელსაყრელად არის განლაგებული სპარსეთის ყურის შესასვლელთან.

როდესაც სპარსეთის ყურის ქვეყნების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ გეგმებს განვიხილავთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის დიპლომატიამ რომელმაც გაითვალისწინა არაბულ აღმოსავლეთში ინგლისის კოლონიური პოლიტიკის მწარე გამოცდილება, თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟის დაცემა, განსაკუთრებით — ვიეტნამის ავანტიურის შედეგად, გადაწყვიტა აქაც გამოეყენებინა გუამის დოქტრინის ფორმულა. ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელი სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯ. სისკოს თქმით, ეს პრაქტიკულად ნიშნავდა შემდეგს: „ჩვენ წინასწარ განვჭვრიტეთ დიდი ბრიტანეთის წასვლა და ამიტომ ვკითხეთ საკუთარ თავს — რა შეუძლია გააკეთოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რათა მთავარი წვლილი შეიტანოს ამ რაიონში სტაბილურობის დამყარებისათვის საკითხში ჩვენი უშუალო მონაწილეობის მიუღებლად. ვინაიდან აშკარაა, რომ ჩვენ აქ გვამოძრავებს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, გადავწყვიტეთ თანამშრომლობის სტიმულირების მეოხებით დახმარება აღმოვუჩინოთ რეგიონის ორ უმნიშვნელოვანეს ქვეყანას — ირანსა და საუდის არაბეთს და მათი შესაძლებლობანი მივიყვანოთ ისეთ დონემდე, რომ მათ ძალა შესწევდეთ გადაიქცნენ სტაბილურობის მთავარ ელემენტებად[5]. ამერიკული ჟურნალი „ჰარპერს მეგეზინი", ნათელყოფდა რა ჭეშმარიტ მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები შუა აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ, დაუფარავად წერდა: „სახელმწიფო დეპარტამენტის თანამდებობის პირები დარწმუნებულნი არიან, რომ ირანი დაიცავს ამერიკის ინტერესებს და რომ მისი შეიარაღებული ძალები იმოქმედებენ ნაცვლად ამერიკის ჯარებისა, რომლებსაც ვიეტნამში ომის დროიდან მოყოლებული შეერთებული შტატები ვეღარ გზავნიან პატარა და შორეულ ქვეყნებში"[6]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს სურდათ მსოფლიოში უდიდეს ნავთობმომპოვებელ ისეთ რაიონში, როგორიც სპარსეთის ყურეა, მოჰამედ რეზა შაჰის სახით ჰყოლოდათ სა-

[5] იხ. «Известия», 1975 წ., 11 მარტი.

[6] იხ. „დონია", 1975 წ., 9 აგვისტო (სპარსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი კოლონიური პოზიციების ერთგული გუშაგი და პოტენციური დამცველი. ამასთანავე შაჰის დიპლომატიამაც მოახერხა დაერწმუნებინა ამერიკის შეერთებული შტატები იმაში, რომ ირანის პოლიტიკა არა მარტო არ ეწინააღმდეგება ამ რეგიონში მათ ძირეულ ინტერესებს, არამედ წარმოადგენს ამ ინტერესების, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო საიმედო გარანტიას. ამგვარად, საბოლოო ანგარიშით, შაჰის ირანმა მიაღწია იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარა რეგიონალურ საქმეებში მისი წამყვანი როლი. იმისათვის, რომ საქმით დაემტკიცებინათ ეს, 1973 წლის გაზაფხულზე შაჰის ჯარები გადასხდნენ ომანში, რათა ჩაეხშოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დოფარის პროვინციაში.

ამრიგად, 70-იან წლებში ვაშინგტონის კურთხევითა და ხელმძღვანელობით შაჰის ირანი თანდათანობით გადაიქცა რეგიონის წამყვან სახელმწიფოდ. პენტაგონმა გაუხსნა შაჰს თავისი ყველა არსენალი, მათ შორის ყველაზე საიდუმლოც კი. ირანმა მიიღო ნებისმიერი რაოდენობის ყოველგვარი იარაღი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოუყო ირანს „ფანტომის“ ტიპის 261 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი, 141 ავიაგამანადგურებელი „ტაიგერი“, 80 ცვალებადი გეომეტრიის ფრთოსანი ავიაგამანადგურებელი F-14“. „ტომ კეტი“, რომლებიც შეიარაღებულნი არიან „ფენიქსის“ მართული რაკეტებით, 160 F-16“, თვითმფრინავი, საჰაერო თავდაცვის სისტემა „ჰოკი“, 50 სატრანსპორტო რეაქტიული თვითმფრინავი „ჰერკულესი“, ათასობით საავიაციო რაკეტა, ასობით ტანკი და სხვა სახეობათა თანამედროვე იარაღი[7] ამასთანავე ირანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპარსეთის ყურეში თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერებას. გაზეთ „ინტერნეიშნელ ჰერალდ ტრიბუნის“ მოწმობით, 70-იანი წლების შუა ხანებში ირანის სამხედრო-საზღვაო ძალებს ჰქონდათ მსოფლიოში უდიდესი საჰაერო ბალიშიანი ხომალდების ფლოტი, სპარსეთის ყურეში ყველაზე მსხვილი სამხედრო-საზღვაო ბაზა და „მეხამე სამყაროში“ ყველაზე რთული საარაკეტო სისტემა. სპარსეთის ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქ. ბენდერ აბასის მიდამოებში შენდებოდა შუა აღმოსავლეთში უდიდესი სამხედრო-საჰაერო ბაზა. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, განაგრძობდა გაზეთი, ათწლეულის მიწურულში ირანის სამხედრო-საჰაერო ძალებს ექნება უფრო მეტი ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი, ვიდრე ნატოს ნებისმიერ წევრს, ამერიკის შეერთებული შტატების გამოკლებით[8]. ამასობაში მოჰამედ რეზა ფეჰლევი ყიდულობდა და ყიდულობდა ამერიკულ იარაღს. 1947 წლიდან მოყოლებული, ანუ ირანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პირველი სამხედრო ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მონარქიული რეჟიმის არსებობის უკანასკნელ დღეებამდე, შეიარაღების შესაძენად და ამერიკის სამხედრო მრჩეველთა „მომსახურების“ ასანაზღაურებლად დაიხარჯა ჭეშმარიტად ასტრონომიული თანხა — 37 მილიარდი დოლარი[9]. 70-იანი წლების მანძილზე ირანი ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი კლიენტი იყო სამხედრო შეიარაღების მყიდველთა შორის. ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო ტექნიკის ექსპორტში ამ ქვეყნის წილი 40 პროცენტს შეადგენდა[10], როგორც ამერიკის პრესა თეირანში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის ყოფნისას (1976 წ. 6-8 აგვისტო) იტყობინებოდა, შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის დაიდო ხელშეკრულება ირანში ამერიკის შეიარაღების დამატებით მიწოდების შესახებ[11].

სრულიად აშკარაა, რომ ირანში გაგზავნილი იარაღის მოცულობა ბევრად აღემატებოდა ამ ქვეყნის თავდაცვის რეალურ საჭიროებებს. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ჟურნალი „ნეიშნი“, როცა ირანს სამხედრო ტექნიკას აწვდიდა, შეერთებული შტატები მიზნად ისახავდა „გადაექცია ირანი ამ რეგიონის პოლიციურ სახელმწიფოდ“[12].

ჩვენ ესოდენ დაწვრილებით იმიტომ შევეხეთ შაჰის ირანის სამხედრო პოტენციალს, რომ ცხადყოფილ, რაოდენ უძლური აღმოჩნდა

---

[7] 1974 წლის 7 ნოემბრის ჟურნალი „ჰარპერს მეგეზინი“ ამტკიცებს, რომ ირანმა ინგლისს შეუკვეთა 800 საშუალო ტანკი „ჩიფტენი“ და 250 მსუბუქი ტანკი „სკორპიონი“ (სიტყვებ მოიტანა და ეს უფრო მეტია, ვიდრე მაშინ გააჩნდა თვით ინგლისის არმიას).

[8] იხ. А. Васильев. Факелы Персидского залива, М., 1976 г., стр. 41.

[9] იხ. США: Экономика, политика, идеология, 1980 г., № 2, стр. 53.

[10] იხ. «Правда», 1980 წ., 28 იანვარი.

[11] იხ. „დონია“, 1976 წ., № 7, გვ 13 (სპარსულ ენაზე).

[12] იხ. «Красная звезда», 1976 წ., 10 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად მისი სამხედრო „ძლიერებისა“, ხალხის რისხვისა და გაფთრების წინაშე შაჰის არმია, რომელიც წარმოადგენდა ტახტის ძირითად დასაყრდენსა და ვაშინგტონის „იმედს“. მოხდა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო გამოსვლა. მილიონობით ირანელი აღდგა მონარქიისა და უცხოელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

1979 წელს მონარქიის დაცემასთან ერთად ხუხულასავით დაიშალა ამერიკული იმპერიალიზმის მრავალი გეგმა სპარსეთის ყურის რაიონში. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც შაჰის რეჟიმის სამხედრო-პოლიტიკურ ქომაგად გამოდიოდა, ვერაფერი გააწყო, რადგან მოვლენათა ლოგიკა სამხედრო ხელშეკრულებებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გაიფანტა ილუზიები. თავდაჯერებულობა შეცვალა თვითგვემამ. მოხდა ის, რასაც ცოტა ხნის წინათ შეუძლებლად თვლიდნენ. ირანის რევოლუციამ სერიოზული დარტყმა აგემა ამერიკული იმპერიალიზმის ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ პოზიციებს არა მარტო ირანში, არამედ მთლიანად სპარსეთის ყურის რაიონში. სტრატეგიულ ბალანსში მოხდა ცვლილება, რომელმაც იმპერიალიზმს სარგებლობა არ მოუტანა.

ირანის ახალმა ხელმძღვანელებმა დატოვეს სენტოს სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, თავის ტერიტორიაზე მოსპეს ბაზები, რომლებსაც პენტაგონი იყენებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშობისათვის, გააუქმეს ირანისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1959 წლის სამხედრო ხელშეკრულება და დაითხოვეს ამერიკელი სამხედრო მრჩევლები, რომელთა რიცხვი რევოლუციამდე რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენდა. სულ მალე კი ირანმა საერთოდ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

საერთაშორისო სარბიელზე ისლამურმა რესპუბლიკამ მხარი დაუჭირა პალესტინის არაბ ხალხს, სასტიკად დაგმო კემპ-დევიდის ხელშეკრულება და გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან და ყოველგვარი კავშირი ისრაელთან. ამ ცვლილებებს თითქოსდა სიმბოლურად გამოხატავს ის ფაქტი, რომ თეირანში ისრაელის სავაჭრო მისიის შენობაში ახლა მოთავსებულია პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობა.

ამგვარად, რეგიონში კარდინალური ძვრები მოხდა. იმისათვის, რომ საბოლოოდ არ გამოეცალოთ ფეხქვეშ ნიადაგი, დაიბრუნონ ერთხელ უკვე დაკარგული პოზიციები და კვლავ განამტკიცონ ამ რეგიონში თავისი გავლენა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები ერეები მომავლის მთელ გეგმებს უკავშირებენ საუდის არაბეთს და სპარსეთის ყურის ქვეყნების დანარჩენ მონარქიულ რეჟიმებს და კონსერვატიულ მთავრობებს.

საუდის არაბეთი (მისი მოსახლეობა 10 მილიონს აღწევს, სამაგიეროდ ნავთობი მას ყოველწლიურად 30 მილიარდ დოლარ შემოსავალს აძლევს) ამჟამად არაბეთის აღმოსავლეთში ყველაზე მეტად განიცდის ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ზეგავლენას. ამ ქვეყნის მძლავრი ენერგეტიკული და ფინანსური შესაძლებლობანი, მნიშვნელოვანი დახმარება, რომელსაც იგი არაბულ ქვეყნებსა და მათ შორის პალესტინელ მებრძოლებს უწევს, და, ბოლოს, ისლამურ სამყაროში მისი დიდი გავლენა განაპირობებს იმას, რომ ერ-რიადის სამეფო ხდება დასავლეთის „ფასდაუდებელი მოკავშირე“. ამიტომ არის, რომ საუდის არაბეთში ამერიკული შეიარაღების ხულ უფრო მძლავრი ნაკადი მიედინება. საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალების სისტემის რეორგანიზაციის ათწლიანი პროგრამის შესაბამისად, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები ამ ქვეყანას მილიარდობით დოლარის თანამედროვე შეიარაღებას აწვდის. ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების იარაღის მიწოდების კონტრაქტების საერთო ღირებულებამ 1971 წლიდან 1980 წლამდე 34 მილიარდი დოლარი შეადგინა[13]. სამეფო შეიარაღებულ ძალებს ვაშინგტონი ძირითადად აწვდის F—15 და F-16 ტიპის თვითმფრინავს, M60A3 ტანკებს, M—113 ჯავშანტრანსპორტიორებს, „ჰოკის“ ხიხტემის საზენიტო მართულ რაკეტებსა და სხვა სახის თანამედროვე შეიარაღებას. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო ინფრასტრუქტურის (გზები, აეროდრომები, პორტები, საწყობები, ყაზარმები და ა. შ.) განვითარებას. 1981 წლის ბოლოს საუდის არაბეთმა ახალი ხელშეკრულება დაუდო ამერიკის შეერთებულ შტატებს ამერიკული სამხედრო ტექნიკის შეძენის შესახებ. კერძოდ, ამ ხელშეკრულების თანახმად, საუდის არაბეთი შეიძენს 8.5 მილიარდი დოლარის სამხედრო ტექნიკას, მათ

[13] იხ. «Зарубежное военное обозрение», № 9, 1982 წელი, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის E—3A ტიპის „ავაქსის“ სისტემის ხუთ თვითმფრინავს, რომელსაც ხშირად „მფრინავ რადარს“ უწოდებენ და რომელიც ფაქტობრივად ფრთოსანი ჯაშუშია[14]. 1982 წლის მარტში პენტაგონმა გვაუწყა, რომ ერ-რიადმა შეიძინა შეიარაღების ახალი პარტია, მათ შორის RF—5E და F—5E თვითმფრინავები — სათადარიგო ნაწილებითურთ. პენტაგონმა აგრეთვე იკისრა ამ თვითმფრინავების ეკიპაჟების გაწვრთნა (კონტრაქტის საერთო ღირებულება 350 მილიონი დოლარია)[15]. ამგვარად, ამერიკული შეიარაღების შეძენის მიხედვით ამ ქვეყანას ამჟამად უკვე მეორე ადგილი უჭირავს (ისრაელის შემდეგ).

ყურის დანარჩენი პატარა ქვეყნებიც, როგორიც არის კუვეიტი, ბაჰრეინი, კატარი და არაბთა გაერთიანებული საემიროები გამალებით იძენენ შეიარაღებას.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატია „ირანისა და საბჭოთა აგრესიის საფრთხის“ სპეკულაციის ეწევა და ცდილობს მიაღწიოს ამ რეგიონში ეგრეთ წოდებული „უშიშროების პაქტის“ დადებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, ომანი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. თუმცა ამგვარი პაქტის შეკოწიწების ინიციატივა საუდის არბეთმა იკისრა, მაინც ეჭვს არ იწვევს, თუ ვინ არის სინამდვილეში რეგიონის მილიტარიზაციის პროცესის ქომაგი. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები (განსაკუთრებით — ირან-ერაყის ომის დაწყების შემდეგ) ცდილობს „დაარწმუნოს“ ყურის სახელმწიფოები საკუთარი უშიშროების უზრუველყოფის აუცილებლობაში დასავლეთის დახმარების საფუძველზე რეგიონალური თავდაცვითი სტრუქტურის ჩამოყალიბების გზით.

ამასობაში ამერიკის შეერთებული შტატები ორმხრივი ხელშეკრულებების დადების საშუალებით ცდილობს დაეპატრონოს სპარსეთის ყურის ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო აეროდრომებსა და საზღვაო ნავსადგურებს, რასაც ადასტურებს 1980 წლის 4 ივნისს ომანთან დადებული ხელშეკრულება.

როდესაც ვამბობთ საუდის არბეთისა და ყურის სხვა ქვეყნების მიერ ამერიკული შეიარაღების შესყიდვის უპრეცედენტო ზრდას, რომელიც ამკარად ჰარბობს მათი ეროვნული თავდაცვის აუცილებლობას, განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ ამგვარი პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეების საერთო გლობალური სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. საქმე ის არის, რომ პენტაგონის სტრატეგიკა გეგმების შესაბამისად შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის ამგვარი მარაგი განკუთვნილია „სწრაფი განლაგების ძალთა“ აღჭურვისათვის, რათა საჭირო აღარ გახდეს ოკეანის გაღმიდან მათი შემოზიდვა.

როგორც ცნობილია „სწრაფი განლაგების კორპუსი“ (რომელსაც უფრო სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის იარაღი შეიძლება ვუწოდთ) განკუთვნილია სპარსეთის ყურის რაიონში და სხვა „ცხელ წერტილებში“ საგანგებო ვითარებისა და კრიზისული სიტუაციის წარმოშობის შემთხვევაში სადამსჯელო ფუნქციების შესასრულებლად.

ირანის რევოლუციამ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისათვის მკაცრი გაფრთხილებაა. კონკრეტული სინამდვილის მაგალითზე მან ცხადყო, რომ ადგილობრივ მარიონეტებსა და რეგიონალურ ყანდარმებზე იმედის დამყარება (განურჩევლად იმისა, თუ როგორი შეიარაღება აქვთ მათ) სახიფათო საქმეა და შეიძლება მარცხით დამთავრდეს. სწორედ ამიტომ არის, რომ 80-იანი წლების ზღურბლზე ოკეანიდან ადმა სტრატეგებმა დაიწყეს საკუთარი საყანდარმო „სწრაფი განლაგების ძალების“ შექმნა. ამ ძალების მიზანია „უზრუნველყოს ამერიკული სამხედრო ძლიერების დემონსტრაცია“ და „ნავთობის საბადოების დაცვა“, უპირველესად — „შინაგანი და რეგიონალური საშიშროებისაგან“. თეთრი სახლის თავკაცი რ. რეიგანი ცინიკური გულახდილობით აცხადებს, რომ მისი ქვეყანა „ნებას არავის მისცემს“, რომ საუდის არაბეთი კიდევ ერთ ირანად გადაიქცეს“[16].

ამჟამად ეს ძალები, მშვიდობის დაცვის მრავალეროვანი ძალების აბრით, უკვე განლაგებულია ეგვიპტესა და ლიბანში. მაგრამ ეს მხოლოდ აისბერგის ხილული ნაწილია; ხაინტერვენციო ძალების ძირითადი კონტინგენტი ამერიკის უდაბნოშია, რომლის კლიმატური პირობები ემსგავსება სპარსეთის ყურის

---

14 იხ. იქვე, გვ. 17.

15 იხ. «Зарубежное военное обозрение», № 9, 1982 წელი, გვ. 17.

16 იხ. «Правда», 1983 წ., 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონას. აქ ინტენსიურად ამუშავებენ ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდებისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ოკუპაციისათვის ბრძოლის ტაქტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატები, განამტკიცებს რა თავის პოზიციებს ბეირუთსა და ხიანში, ეყრდნობა რა თავის ბაზებს თურქეთში, პაკისტანში,, ომანში, ხომალიში, კენიაში, თავს უყრის სამხედრო გემებსა და ავიამზიდებს ინდოეთის ოკეანეში, მარწუხებივით გარს ერტყმის სპარსეთის ყურის ზონას და ემზადება იმისათვის, რომ წინააღმეერ დღისა და საათს ამერიკის საარსებო ინტერესების დაცვის საბაბით შეიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი — სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

საუურნალო სტატიის მოცულობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მთლიანად გადმოვცეთ, თუ რამდენად უაზრო და უგუნურია ამდაგვარი სამხედრო კონცეფცია. მაგრამ, საგნებით აშკარაა, რომ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად სამხედრო ძალების გამოყენება, განსაკუთრებით — თანამედროვე პირობებში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

დავუბრუნდეთ საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში ამერიკული შეიარაღების მიწოდების საკითხს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შეიარაღების კვალდაკვალ პენტაგონი ამ ქვეყნებში გზავნის თავის მრავალრიცხოვან სპეციალისტებსა და ექსპერტებს, რომლებმაც არაბებს უნდა ასწავლონ ამ შეიარაღების გამოყენება. მათი რიცხვი წლითიწლობით იზრდება. თუ 1975 წელს ერ-რიადში იმყოფებოდა 2,5 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, ამუამად მათი რიცხვი 10 ათასს აღემატება[17]. ამასთან ერთად ათასზე მეტი ხაუდელი სამხედრო მოხამსახურე წვრთნას გადის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყურის დანარჩენ პატარა არაბულ ქვეყნებშიც პენტაგონის წარმომადგენლები ასევე ასწავლიან ადგილობრივ ჯარისკაცებს, როგორ იხმარონ თანამედროვე იარაღი. კერძოდ, ფრანგული ყურნალი „მონდ დიპლომატიკი", რომელიც განმარტავდა ყურეში სამხედრო ტექნიკის მოცულობისა და ამერიკელი ინსტრუქტორების რაოდენობის ზრდას, წერდა: „ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები უკვე შეიჭრნენ ახლო აღმოსავლეთში, დღეს ამერიკელი სპეციალისტები პრაქტიკულად კონტროლს უწევენ სპარსეთის ყურის რაიონში შეიარაღებული ძალების უდიდეს ნაწილს"[18].

გზავნის რა ყურის ქვეყნებში შეიარაღებასა და სპეციალისტებს, შეერთებული შტატები ამდენად მათ აყენებს დამოკიდებულ მდგომარეობაში. საქმე ის არის, რომ სამხედრო ტექნიკის სირთულე და ამ ქვეყნებში თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, ისევე როგორც სამხედრო მრეწველობის ზოგიერთი დარგისა, მოითხოვენ მრავალი წლის განმავლობაში ათიათასობით ამერიკელი სამხედრო მრჩევლის ყოფნას იმისათვის, რომ ისინი ეოემსახურონ შეძენილ სამხედრო ტექნიკას და მოამზადონ ადგილობრივი პერსონალი.

უხეში შეცდომა იქნება, არაფერი გვეთქვა იმის შესახებ, რომ შეიარაღება, რომელსაც ყურის ქვეყნები ამერიკისგან ყიდულობენ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის ჭეშმარიტად ოქროს მადნად არის გადაქცეული. საუდის არაბეთი და ყურის დანარჩენი ქვეყნები უკან უბრუნებენ ამერიკულ კონცერნებს მილიარდობით დოლარს, რომლებსაც ისინი ნავთობის საფასურის სახით ევროპის სახელმწიფოებისაგან, იაპონიისაგან და მესამე სამყაროს ქვეყნებისაგან ღებულობენ. ხაგულისხმოა, რომ, მაგალითად, თითოეული F-14 ტიპის ავია გამანადგურებელი 20 მილიონი დოლარი ღირს, რომ არაფერი ვთქვათ F-15 და F-16 ტიპის კიდევ უფრო ძვირად ღირებულ თვითმფრინავებზე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პენტაგონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სპარსეთის ყურის ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სასწავლებლებში. ჯერ კიდევ 70-იანი წლების შუა ხანებში ყურნალმა „იუეს ნიუზ ენდ უორლდ რიპორტმა" გამოაქვეყნა ამერიკის ერთ-ერთი თანამდებობის პირის განცხადება: „ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ახალგაზრდა ოფიცერი, რომელსაც დღეს ვამზადებთ, ხვალ თავისი ქვეყნის ხელმძღვანელი ხდება". ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის იმდროინდელმა თანაშემწემ გენერალმა გ. ფიშმა კი დასძინა, რომ ამ ხიხტემის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ უპირატესობად წარმოადგენს „შესაძლებლობა გავლენა იქონიო უცხოეთის ქვეყნების მომავალ ხელმძღვანელებზე". იმ მიზნით, რომ

17 იხ. «Зарубежное военное обозрение», 1982 წელი, № 9, გვ. 16.

18 იხ. «Красная звезда», 1976 წელი, 4 მაისი.

შეინარჩუნოს თავისი პოზიციები სპარსეთის ყურის ზონაში. ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიამ მიმართა პოლიტიკას, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ „გათიზე და იბატონე". ამ პოლიტიკის მაგალითს წარმოადგენს ომი ერაყსა და ირანს შორის. თუმცა ერაყსა და ირანს შორის კონფლიქტის დასაწყისში ვაშინგტონის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ იგი ნეიტრალიტეტს იცავს, მაგრამ ამ ომის მონაწილეთა პოლიტიკური ბიოგრაფია მაინც აშკარად გვიჩვენებს, თუ ვისთვის არის იგი ხელსაყრელი და რომელი ძალები არიან დაინტერესებული იმით, რომ გაგრძელდეს ეს უაზრო და ორივე მეომარი მხარისათვის დამღუპველი ომი.

როგორც ცნობილია, ირანი და ერაყი მიუმხრობლობის მოძრაობის აქტიური მონაწილენი არიან. ორივე ქვეყანა ანტიიმპერიალისტურ პოზიციებზე დგას. ერაყი ისრაელსა და ეგვიპტეს შორის კემპ-დევიდის გარიგების საწინააღმდეგოდ არაბთა საერთო პოზიციის გამომუშავების ერთ-ერთი ინიციატორთაგანია. თავის მხრივ, ირანმაც დაგმო ეს სეპარატული ხელშეკრულება და მტკიცედ განაცხადა, რომ იგი ისწრაფვის იბრძოლოს ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, განურჩევლად იმისა, თუ რა ფორმებს მიიღებს ან როგორ გამოვლინდება იგი. ყოველივე ამან ობიექტურად ხელსაყრელი წანამძღვრები შექმნა ამ რეგიონში მსოფლიო იმპერიალიზმის პოზიციებზე შეტევის გასაგრძელებლად. საკუთარი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ორივე სახელმწიფომ კარგად იცის, რომ მათი საერთო მტერია იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს ნებისმიერი საშუალებებით აღადგინოს სპარსეთის ყურის რაიონში დაკარგული პოზიციები.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარა ხდება, თუ ვისთვის არის ხელსაყრელი ეს ომი, ან ვინ არის დაინტერესებული იმით, რომ შეესუსტდეს როგორც ირანის, ისე ერაყის პოლიტიკის ანტიიმპერიალისტური მიმართულება.

ძმათამკვლელი ომი, რომელიც უკვე ორ წელიწადზე მეტია გრძელდება, ხელსაყრელია მხოლოდ და მხოლოდ იმ ძალებისათვის, რომლებიც ყოველთვის შულლის გაღვივებასა და საპირისპირო ძალების გათიშვაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს და რომლებიც ცდილობენ ერთმანეთს წაჰკიდონ მეზობელი ქვეყნები, რათა არ დაუშვან პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნებისათვის ბრძოლაში მათი რიგების შეკავშირება.

ისარგებლა რა ერაყსა და ირანს შორის ომით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ დააყოვნა, რათა გაეძლიერებინა მათ ნაპირებთან საკუთარი სამხედრო ძალები. მდგომარეობა ამ რეგიონში მკვეთრად გამწვავდა, რაც ხელსაყრელია მხოლოდ და მხოლოდ იმათთვის ვინც ისწრაფვის კიდევ უფრო სერიოზული ხასიათი მიანიჭოს კონფლიქტს. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ბოლოს და ბოლოს, თავშეკავება და კეთილგონიერება გაიმარჯვებს და ორივე მხარე შეწყვეტს საომარ მოქმედებას და სადაო პრობლემების გადასაწყვეტად მშვიდობიან მეთოდებს მიმართავს. რაც უფრო მალე ჩაქრება ომის ხანძარი, მით უკეთესია ორივე მხარისათვის.

საბჭოთა კავშირი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებთან მეგობრობისათვის გამიზნული თავისი საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგულია, გადაჭრით ილაშქრებს იმპერიალისტური რეაქციის ნებისმიერი ხრიკების წინააღმდეგ.

სპარსეთის ყურის რაიონში პენტაგონის საშიში, ავანტიურისტული გეგმები არა მარტო ეწინააღმდეგება ამ ყურის ნაპირებზე განლაგებული ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, არამედ საშიშროებას უქმნის კიდეც მშვიდობის ბედ-ილბალს ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე უფრო აფეთქებასაშიშ რეგიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულმა წრეებმა სპარსეთის ყურის რაიონში საკუთარი ეკონომიკური და სტრატეგიული გეგმების ინტერესებიდან გამომდინარე, ეს რეგიონი მეტად საშიშ კერად გადააქციეს და სულ მცირე ნაპერწკალსაც კი შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. ერთადერთი ალტერნატივა ის არის, რომ ყურეში შეწყდეს გამალებული შეიარაღება, მოისპოს უცხოეთის სამხედრო ბაზები და სპარსეთის ყურის აუზის ქვეყნების შინაგან საქმეებში **არ ჩაერიოს ამერიკის შეერთებული შტატები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილად აყვანის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა

დ. მელიქიშვილი

ბავშვის ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო და არის საბჭოთა საოჯახო სამართლის სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. კიდევ უფრო აქტუალური გახდა ამ სფეროში სამართლებრივი გამოკვლევის მნიშვნელობა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში აისახა დებულებები დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვის, მატერიალური და მორალური მხარდაჭერის, სახელმწიფოს მიერ ოჯახის დაცვის და განმტკიცების შესახებ.

საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობაში დიდი ყურადღება ეთმობა მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ინტერესების დაცვას. რამდენადაც ბავშვის კეთილდღეობის საუკეთესო ფორმა საოჯახო და საზოგადოებრივი აღზრდის შერწყმაა, ამდენად კანონმდებლობა ასეთ ბავშვებს ცხოვრების იმავე პირობებს უქმნის, რაც მათ ექნებოდათ მშობლიურ გარემოში, ოჯახში. ყოველივე ეს კი ხორციელდება შვილად აყვანის ინსტიტუტის დახმარებით.

შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნება ბ. მ. სვერდლოვის, ვ. ი. ბოშკოს, ვ. ა. რიასენცევის, ა. ი. პერგამენტის, ტ. ბ. მალცმანის, ე. ვ. ანანიევას, ვ. პ. ნიკიტინას, ე. ნ. ევდოკიმოვას, ი. რ. ვებერსის, ე. მ. ვოროჟეიკინის, ლ. პ. კოროტკოვას და სხვა სწავლულ იურისტთა შრომები. ამ პრობლემას ეძღვნება აგრეთვე ა. ი. კოეტკინას (1959 წ.) და ლ. ა. კუზმიჩოვას (1976 წ.) საკანდიდატო დისერტაციები.

ამ ავტორთა ნაშრომების მეცნიერული ღირებულება უდაოა, მაგრამ შვილად აყვანის მრავალი საკითხი მათ კომპლექსურად არა აქვთ დამუშავებული. ამასთანავე ზოგიერთი ნაშრომი დაწერილია ძველი საოჯახო კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ამისა, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე შვილად აყვანის ინსტიტუტი ხასიათდება მთელი რიგი ახალი მომენტით, რომლებიც მოითხოვს შვილად აყვანასთან დაკავშირებულ პრობლემათა ყოველმხრივ და ღრმად შესწავლას.

საბჭოთა სამართალში შვილად აყვანის ინსტიტუტმა განვლო განვითარების რთული გზა[1]. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებში და

---

[1] უფრო დაწვრილებით შვილად აყვანის ინსტიტუტის განვითარების შესახებ: Г. М. Свердлов. Советское законодательство о браке и семье, «Госюриздат», М., 1961 г., И. М. Кузнецова. Развитие института усыновления, В. кн.: Развитие законодательства о браке и семье, М., 1978 г., Е. М. Ворожейкин. Семейные правоотношения в СССР», «Юриздат», М., 1972 г., Я. Р. Веберс. Сущность и правовые последствия усыновления, В кн.: Правовые вопросы семьи и воспитания детей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსებში მითითებულია, რომ შვილად აყვანა თავისი შედეგებით უთანაბრდება სისხლით ნათესაობას. ერთი მხრივ, შვილად აყვანილსა და მის შთამომავლობას და, მეორე მხრივ, შვილად ამყვანსა და მის ნათესავებს შორის შვილად აყვანის მომენტიდან მყარდება ისეთივე სამართლებრივი ურთიერთობა, როგორიც სისხლით ნათესავებს შორის არსებობს. ამასთანავე, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებში მითითებულია, რომ შვილად აყვანილი კარგავს ყოველგვარ პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება იმ მოვალეობებისაგან, რომლებიც მას გააჩნდა თავისი მშობლების მიმართ[2].

ასეთ პოზიციას მხარს უჭერს ავტორთა დიდი უმრავლესობა, თუმცა ლიტერატურაში არის სხვა მოსაზრებანიც. მაგალითად, ი. მ. კუზნეცოვა წერს: „იმ გარემოებამ, რომ შვილად აყვანა სამართლებრივად სავსებით უთანაბრდება მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ სამართალურთიერთობას, ზოგიერთი ავტორი მიიყვანა დასკვნამდე, რომ შვილად აყვანასა და სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებული ურთიერთობანი იგივეობრივია და რომ მშობლის უფლებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველია არა მარტო ბავშვთა დაბადება, არამედ მათი შვილად აყვანაც"[3].

მთლიანად უნდა გავიზიაროთ ის შეხედულება, რომ შვილად აყვანა მშობლიურ სამართალურთიერთობათა წარმოშობის საფუძველია[4]. ჩვენი აზრით, სწორედ შვილად აყვანის ინსტიტუტის და მშობლიურ სამართალურთიერთობათა დაახლოების პოზიციიდან, კრიტიკულად შეფასებას იმსახურებს შვილად აყვანის ამჟამინდელი ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება. ამ ფუძემდებლური პრინციპის საფუძველზე, ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ შვილად აყვანა ჭეშმარიტ მიზანს აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა შვილად აყვანილს ღრმად სწამს, რომ შვილად ამყვანნი არიან მისი ღვიძლი მშობლები. შვილად აყვანის დღევანდელი პრაქტიკა სწორედ ასეთი გზით წარიმართა. შვილად უფრო ხშირად იყვანენ მცირეწლოვანებს, რადგან ამ ასაკში შვილად ამყვანს მეტი შესაძლებლობა აქვს ნაყოფიერი გავლენა მოახდინოს აყვანილი ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, მცირე ასაკში შვილად აყვანა ამ აქტის საიდუმლოდ შენახვის მეტ გარანტიასაც იძლევა.

ამის მიუხედავად პრაქტიკაში ხშირად ხდება 15, 16, 17 წლის მოზარდების შვილად აყვანაც, ასეთი „შვილად აყვანის" მიზანია ამ ბავშვთა უზრუნველყოფა სხვადასხვა მატერიალური სიკეთით — პენსიით, მემკვიდრეობით და ა. შ. მაგალითად, ქ. გაგრის პროკურორმა გააპროტესტა ქალაქის აღმასკომის გადაწყვეტილება მოქ. კ-ს შვილად აყვანის შესახებ. პროტესტში გადაწყვეტილების გასაუქმებელ სხვა გარემოებებთან ერთად მითითებული იყო, რომ გაგრის საქალაქო აღმასკომის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს მოქ. კ.

---

[2] ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება დედის სურვილით იმ შემთხვევაში, როცა შვილად ამყვანი მამაკაცია და მამის სურვილით, როცა შვილად ამყვანი ქალია.

[3] И. М. Кузнецова. Развитие института усыновления. В кн.: Развитие законодательства о браке и семье, М., 1978 г., стр. 129.

[4] Л. А. Кузьмичева. Усыновление по советскому семейному праву. Автореферат канд. дисс., Харьков, 1976 г., стр. 6—7; Ю. А. Королев. Конституция СССР — правовая основа построения брачно-семейных отношений МГУ. М., 1981 г., стр. 174—175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე 17 წლის და 2 თვის იყო. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში შვილად ასაყვანის ასაკი არ შეესაბამებოდა შვილად აყვანის მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ არც კანონს ეწინააღმდეგება, რადგან საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის 114-ე მუხლით დაშვებულია არასრულწლოვანთა შვილად აყვანა მათი ინტერესების შესაბამისად. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხს სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ნ. მ. ერშოვას ვარაუდით, კანონი მხოლოდ 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანების შვილად აყვანას უნდა ითვალისწინებდეს[5]. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არსებითად ვერ წყვეტს პრობლემას, ვინაიდან ამ ასაკში შვილად აყვანა არ შეესაბამება ამ ინსტიტუტის მიზნებსა და დანიშნულებას, აქვე არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ნ. მ. ერშოვას იმაში, რომ შვილად აყვანა არ არის მშობლის ზრუნვამოკლებული ბავშვების აღზრდის ერთადერთი საშუალება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ბავშვისათვის სწორედ საბავშვო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა უკეთესი.

სწორია აგრეთვე ი. ა. კოროლიოვის აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებათა თანამედროვე სისტემა (ბავშვთა სახლები, ინტერნატები და ა. შ.) კარგ პირობებს ქმნის იმ ბავშვთა აღზრდისათვის, რომლებსაც არა ჰყავთ მშობლები[6].

ამრიგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მცირეწლოვან არასრულწლოვან ბავშვთა შვილად აყვანა იყოს დაშვებული, რაც უნდა აღინიშნოს შვილად აყვანის ინსტრუქციაში.

ლიტერატურაში ყურადღებას ამახვილებენ შვილად ამყვანის ასაკზეც[7]. ჩვენი აზრით, კანონის მითითება მის სრულწლოვანებზე არ არის საკმარისი.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომს თხოვნით მიმართა მოქ. ც.-მ თავისი ცოლის 15 წლის ქალიშვილის შვილად აყვანის თაობაზე. განცხადების შეტანის დროს ც. 25 წლისა იყო, მისი ცოლი კი 34-ის. მშვილებელის და შვილად ასაყვანის სხვაობა ასაკში 10 წელს შეადგენდა. მართალია, კანონი არ კრძალავს ასეთ გარემოებაში შვილად აყვანას, მაგრამ მშობლიურ სამართალურთიერთობათა წარმოშობა ასეთი მცირე ასაკობრივი სხვაობის დროს არაბუნებრივად გამოიყურება. მოქ. ც.-ს შვილად აყვანაზე უარი ეთქვა.

მეორე მაგალითი: მეუღლეებს ტრაგიკულად დაეღუპათ 12 წლის ერთადერთი ვაჟიშვილი, შვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მათ უკვე აღარ შეეძლოთ ჰყოლოდათ. უბედურების გადატანის ერთადერთ გზად შვილის აყვანა მიიჩნიეს და მიმართეს კიროვის რაიაღმასკომს № 1 ბავშვთა სახლიდან ერთი წლის გოგონას შვილად აყვანის თაობაზე. ამ დროს მეუღლეები შესაბამისად 48 და 50 წლისანი იყვნენ. რაიაღმასკომი დიდი დაყოვნების შემდეგ დათანხმდა შვილად აყვანას, თუმცა შვილად ამყვანთა ხანდაზმულობა არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ისინი შეძლებდნენ ბავშვის აღზრდას. ამ შემთხვევაში, უეჭველია, რომ შვილად ამყვანთა სახით გოგონამ შეიძინა კეთილსინდისიერი, მოსიყვარულე მშობლები, თუმცა შვილად აყვანის ეს აქტი ობიექ-

---

5 Н. М. Ершова, Правовые вопросы воспитания детей в семье, «Наука», М., 1971 г., стр. 75.

6 Ю. А. Королев. Конституция СССР — правовая основа построения брачно-семейных отношений, МГУ, 1981 г., стр. 175.

7 Ю. Юрбургский. Усыновление по советскому семейному праву, «Советская юстиция», 1963 г., № 12, стр. 8.

ტურად შვილად ამყვანთა ინტერესებს უფრო ითვალისწინებდა, ვიდრე ბავშვისას.

ჩვენი აზრით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მშვილებელთა და შვილად აყვანილის წლოვანებათა შეფარდება უნდა გადაწყდეს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს წლოვანებათა შორის სხვაობას. მაგალითად, იუგოსლავიის საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით, შვილად ამყვანნი შვილად აყვანილებზე სულ მცირე 18 წლით უფროსნი უნდა იყვნენ, ბულგარეთის კანონმდებლობით კი — 15 წლით.

აღმასკომს თხოვნით შვილად აყვანის შესახებ ზოგჯერ ისეთი პირებიც მიმართავენ, რომელთა ჯანმრთელობა სამედიცინო თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აქვთ რაიმე ფიზიკური ნაკლი. მაგალითად, სამშობიარო სახლიდან ბავშვის აყვანის მსურველი ერთ-ერთი მეუღლის მხედველობა 0,5 პროცენტს შეადგენდა, მეორე კი საერთოდ ვერ ხედავდა. შვილად აყვანის მსურველი მეორე წყვილიდან ქმარს ჰქონდა ფიზიკური ნაკლი — დიდი კუზი. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ყოყმანობდნენ, დაეკმაყოფილებინათ თუ არა მათი თხოვნა შვილად აყვანის თაობაზე.

ვფიქრობთ, ამგვარი საკითხების გადაწყვეტა უფრო მორალურ-ეთიკურ სფეროს განეკუთვნება, ვიდრე სამართლისა. თუმცა, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ასეთი საკითხებიც აისახოს ინსტრუქციაში.

შვილად აყვანა გულისხმობს სამართლებრივ ნორმათა მთელი კომპლექსის განხორციელებას. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ შვილად აყვანის ფაქტის საიდუმლოების დაცვას, ვინაიდან შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტის პროცესში ეს ფაქტი ცნობილი ხდება პირთა ფართო წრისათვის, კერძოდ, შვილად აყვანის აქტის მომზადების არსებული წესი, დაწყებული მოქალაქეთა მიღებიდან (სადაც არც თუ იშვიათად გარეშე პირებიც ესწრებიან), დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით, ობიექტურად ქმნის შვილად აყვანის საიდუმლოების გათქმის პირობებს. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რომ შვილად აყვანის საკითხი აღმასკომის სხდომის სხვა საკითხებთან ერთად დგება, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება ერთვის სხდომის ოქმს. ამის გამოსწორება სავსებით შესაძლებელია, თუ შვილად აყვანის აქტის მთელი პროცესი მკაცრად იქნება განსაზღვრული შესაბამის ინსტრუქციაში და რომელიც გაითვალისწინებს ამ აქტის საიდუმლოების დაცვას.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა შვილად აყვანის გაუქმების და მშობლის უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი შედეგების შესახებ. ავტორთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ შვილად აყვანის გაუქმება სამართლებრივ ურთიერთობათა დამოუკიდებელი სახეა, რომ იგი განსხვავდება მშობლის უფლების ჩამორთმევისაგან ამ სამართალ-ურთიერთობათა წარმოშობის და შეწყვეტის საფუძვლებით.

ასე, მაგალითად, ლ. გ. კუზნეცოვა ამტკიცებს, რომ მშობლის უფლების ჩამორთმევა მხოლოდ ბავშვთა მშობლებს ეხება. ასეთი უფლების წარმოშობის საფუძველი არის ბავშვების სისხლნათესაური კავშირი მშობლებთან. ამ აზრით, მშობლებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ შვილად ამყვანნი, რადგან უფლება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალეობათა წარმოშობის საფუძველი ამ შემთხვევაში შვილად აყვანის აქტია[8].

საინტერესო აზრს გამოთქვამს ამ საკითხზე ა. ი. პერგამენტი, რომელიც წერს, რომ ხელოვნურად წარმოშობილი ურთიერთობა არ შეიძლება გაგუთანაბროთ ბუნებრივს. ეს იქნებოდა საკითხისადმი ფორმალური მიდგომა. ყოველგვარი ფორმალიზმი კი ბავშვთა აღზრდის დროს დაუშვებელია[9]. რამდენადმე საწინააღმდეგოა ს. ა. ივანოვას პოზიცია. კერძოდ, იგი წერს, რომ შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობისას არსებითად ხდება შვილად ამყვანის მშობლის უფლების ჩამორთმევა, თუმცა მშობლის უფლების ჩამორთმევისა და შვილად აყვანის გაუქმების ან ბათილად ცნობის საფუძვლები განსხვავდებიან[10].

ამ შეხედულებათა გაზიარება უმართებულოდ მიგვაჩნია. როგორც აღვნიშნეთ, შვილად აყვანა წარმოშობს იმავე სახის ურთიერთობას, როგორც ბავშვის დაბადება. ამიტომაც საკითხი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ მშობლის უფლების ჩამორთმევას უთანაბრდება.

მშობლის უფლების ჩამორთმევის და შვილად აყვანის გაუქმების გაიგივების მოწინააღმდეგეთა მსჯელობები არც თუ ისე იშვიათად წინააღმდეგობრივია. მაგალითად, ვ. პ. შახმატოვი აღნიშნავს, რომ შვილად აყვანას თან ახლავს იგივე შედეგები, რაც ბავშვის დაბადებას, ე. ი. იურიდიულად შვილად აყვანილი უთანაბრდება ღვიძლ შვილებს[11].

თუ აყვანილი ბავშვი იურიდიულად უთანაბრდება შვილად ამყვანის ღვიძლ შვილებს, რაც, ცხადია, სწორი დებულებაა, მაშინ შვილად აყვანილის იურიდიული უფლება-მოვალეობანი რატომღა უნდა განსხვავდებოდეს შვილად აყვანის გაუქმების შემთხვევაში ღვიძლი შვილების უფლებებისა და მოვალეობებისაგან?

აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ლიტერატურაში შვილად აყვანის ინსტიტუტის არსისა და დანიშნულების ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოტანილია მთელი რიგი დასაბუთებული და საყურადღებო დასკვნა. მაგალითად, სწორად სვამს ლ. პ. კოროტკოვა საკითხს იმის შესახებ, რომ „თუ შვილად აყვანა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, მაშინ უნდა დადგეს ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც მშობლიური ურთიერთობის დროს... შვილად ამყვანის მშობლის უფლების ჩამორთმევის ინსტიტუტი წარმოადგენს

---

[8] Л. Г. Кузнецова. Некоторые вопросы лишения родительских прав в судебной практике, Свердловск, 1977 г., стр. 21.

[9] А. И. Пергамент. Опека и попечительство, «Юридическая литература», М., 1966 г., стр. 129—130.

[10] С. А. Иванова. Судебные споры о праве на воспитание детей, М., «Юридическая литература», 1974 г., стр. 40.

[11] В. П. Шахматов. Усыновление, опека и попечительство, Красноярск, 1979 г., стр. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილად აყვანის საიდუმლოდ შენახვის გარანტიასაც[12]. მაგრამ ლ. პ. კოროტკოვა უფრო შორს მიდის, როდესაც აღნიშნავს, რომ შვილად აყვანის და მშობლიურ ურთიერთობათა გაიგივების პრინციპიდან გამომდინარე, შვილად აყვანის გაუქმების დროს უნდა დაშვებულ იქნას შესაძლებლობა მშობლის უფლების აღდგენისა[13].

ზემოთ უკვე ითქვა, რომ შვილად აყვანილი შვილად ამყვანის ოჯახში სარგებლობს ღვიძლი შვილის უფლებებით, რომ შვილად აყვანის აქტის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობა უნდა განვიხილოთ როგორც მშობლიური სამართალურთიერთობანი.

შვილად აყვანის აქტის იურიდიული შედეგები, ჩვენი აზრით, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სწორად გამოიყენება სამართლის სხვა დარგებში შვილად ამყვანის ღვიძლი შვილებისა და შვილად აყვანილთა უფლებებისა და მოვალეობების გაიგივების პრინციპი. მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსების მთელ რიგ მუხლებში „ბავშვებთან“ და „მშობლებთან“ ერთად მოიხსენიებენ ასევე „შვილად ამყვანს“ და „შვილად აყვანილს“.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მივუთითოთ მხოლოდ „მშობლებსა“ და „შვილებზე, ფრჩხილებში „შვილად ამყვანის“ და შვილად აყვანილის“ მიუთითებლად, რადგან ყველა შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებში და სამართლის სხვა დარგების კანონმდებლობაში „მშობლებსა“ და „ბავშვებში“ იგულისხმებიან „შვილად ამყვანიც“ და „შვილად აყვანილიც“.

---

12 Л. П. Короткова. Ответственность родителей (усыновителей) за ненадлежащее воспитание детей, Автореф. канд. дисс., Харьков, 1980 г., стр. 13.

13 Л. П. Короткова. Указ. автореф., стр. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომა, დაუდევრობა, თუ...?

რედაქციაში სასამართლო ორგანოებზე განაწყენებული მოქალაქე მოვიდა არცთუ თავაზიანი ტონით დაწერილი განცხადებით. მოყვანილი ფაქტები ყურადღებას იმსახურებდა და ჩვენც უმალ გავყევით კვალს. პირველი განწყობილება ისეთი იყო, როგორიც არცთუ იშვიათად დაგვეუფლება ხოლმე. მოვა კაცი რიხითა და ზარით, ქვეყანა ინგრევა და მომეშველეთო, მოსამართლე მჩაგრავს, პროკურორი მემუქრება, აღმასრულებელი აბუჩად მიგდებს და, საერთოდ, რა ხდება თქვენს სისტემაში, გაუგებარიაო, გაგვლანძღავს კიდეც, კანონის დამცველები თვითონ რატომ არღვევთ კანონსო. მიხვალ ადგილზე, ნახავ, გაერკვევი და, ნურას უკაცრავად. საქმე არც ისე ყოფილა, როგორც მომჩივანი ბრძანებს.

დიახ, არის ასეთი მაგალითები და რატომღაც ამჯერადაც ამ განწყობილებით დავიწყეთ სამოქალაქო საქმის გაცნობა, რომელიც თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოშია განსახილველი.

სურათი კი სულ სხვა დაგვხვდა.

ქ. თბილისში, პეროვსკაიას ქ. № 5-ში, ორ ოთახიან ბინაში ცხოვრობდა სამოცდაათ წელს გადაცილებული, მარტოხელა ავადმყოფი, პენსიონერი ანისია კონსტანტინეს ასული ბადრიაშვილი მთელი ცხოვრება მან მეზობლებთან ტკბილ ურთიერთობაში გაატარა და ალბათ უმადურიც არავინ ეყოლებოდა, სიცოცხლის ბოლო წლებში მოულოდნელად ერთ საეჭვო ოპერაციაში რომ არ ჩაეთრთიათ ახლობლებს. ეს „ოპერაცია" თავისთავად არ იყო ისეთი რთული, სხვათა მზერას რომ გამოჰპარვოდა, ხოლო შესრულებით მართლაც გულუბრყვილოდ იყო შესრულებული და ამიტომაც ბოლომდე არ დაიმალა.

1970 წელს ამ მოხუცმა, ავადმყოფმა ქალმა „იშვილა" თავისი ძმის შვილიშვილი, 1968 წელს დაბადებული სალომე ბედიკის ასული კალაძე. და რაც ყველაზე საოცარია, ეს ფაქტი იურიდიულად დაადასტურა კალინინის რაიონულმა აღმასკომმა.

სამოცდაათი წლის მოხუცისაგან წლინახევრის ბავშვის შვილად აყვანა ფიქციურ ხასიათს რომ ატარებდა, შემდგომ წლებშიც დადასტურდა. ს. კალაძეს დედობილთან თუ ბებიასთან ერთი დღეც არ უცხოვრია, არც საბავშვო ბაღში და არც სკოლაში არ უვლია პეროვსკაიას ქუჩიდან და, საერთოდ, მეზობლებს არასოდეს უნახავთ ა. ბადრიაშვილთან საცხოვრებლად გადმოყვანილი ბავშვი. უფრო მეტიც, ერთხანს პატარა სალომე პეროვსკაიას 5 ნომერშიც იყო ჩაწერილი ბადრიაშვილთან და თავის ღვიძლ მშობლებთანაც ლენინის ქუჩაზე, ოცდაექვს ნომერში. ისიც დადგენილია, რომ 1976-1977 წლებში, როცა კალაძეებმა ბინა მიიღეს გლდანის მასივში და შემდეგ იგი ლენინის ქუჩაზე გადაცვალეს, სალომე, როგორც მათი კანონიერი შვილი, ორდერში ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იყო გაფორმებული.

ასე გადიოდა წლები და როდესაც ეს ფაქტი პროკურატურისათვის ცნობილი გახდა, სალომე კალაძე უკვე 12-13 წლისა იყო.

1981 წლის 6 ივნისს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში ქ. თბილისის პროკურორმა შეიტანა სარჩელი, რომელშიც დასაბუთებული იყო ს. კალაძის შვილად აყვანის ფიქციურობა. პროკურორი მოითხოვდა სასამართლოს ბათილად ეცნო ს. კალაძის შვილად აყვანა.

და დაიწყო საქმის სასამართლო წარმოება.

მოსამართლე გ. ხაბეიშვილმა პირველი სხდომა 1981 წლის 23 ივნისისათვის დანიშნა, მაგრამ იმ დღეს მხარეები არ გამოცხადდნენ და იგი ხელახლა იმავე წლის 29 ივნისისათვის დანიშნა.

ამ საპატიო თუ არასაპატიო მიზეზებით 1981 წლის 23 ივნისიდან 1982 წლის 21 მაისამდე ათჯერ დაინიშნა და ათჯერვე გადაიდო პროცესი მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

1982 წლის 30 მაისს კალინინის სახალხო სასამართლომ მიიღო რაიონის პროკურორის წერილი (წერილი № 123. ს. ფ. 106). პროკურორი კატეგორიულად მოითხოვდა ამ საქმის დროულ განხილვას და გადაწყვეტას.

მხოლოდ ამის შემდეგ, 1982 წლის 4 აგვისტოს, მოსამართლე გ. ხაბეიშვილმა კამოიტანა გადაწყვეტილება და დაკმაყოფილა პროკურორის სარჩელი. საკასაციო წესით ა. ბადრიაშვილმა საქმე ქალაქის სასამართლოში გასაჩივრა, მაგრამ რატომღაც აქაც არ იქნა დაცული გასაჩივრების ვადა და წესი, რომელსაც კანონი აღგენს.

საქმეში არის ბადრიაშვილის საკასაციო საჩივარი (ს. ფ. 123), რომელსაც თან ერთვის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადება-თხოვნა, რომ კოლეგიაში საქმის განხილვა გაითვალისწინონ სექტემბერში. მიზეზად დასახელებულია ქალაქიდან გასვლის აუცილებლობა.

საკასაციო საჩივარს კი მოსამართლე გ. ხაბეიშვილი ადებს რეზოლუციას „დაინიშნოს 1982 წლის 14 დეკემბერს", ე. ი. სასამართლოში საქმის განხილვის თითქმის ოთხ თვენახევრის შემდეგ.

გაურკვეველია, რით ხელმძღვანელობდა მოსამართლე ამ გადაწყვეტილების გამოტანისას?! ის კი, რომ საქმის კასაციაში განხილვის დროისათვის ა. ბადრიაშვილი უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი გარდაიცვალა 1982 წლის 25 ნოემბერს.

ამ გარემოებებს არც ქალაქის სასამართლოში მიაქციეს ყურადღება, 1982 წლის 21 დეკემბერს კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმეს და ხელახალი განხილვისათვის სახალხო სასამართლოში დააბრუნეს. გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი გახდა ის, რომ სასამართლომ:

„ა) არ ჰკითხა სალომე კალაძეს, თანახმა იყო თუ არა შვილად აყვანის გაუქმებაზე;

ბ) მართალია, საქმეში ჩაება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, მიიღეს კიდეც მათ მონაწილეობა განხილვაში, მაგრამ გამოთხოვილი არ არის მათი წერილობითი დასკვნა".

დიახ, ქალაქის სასამართლომ გადაწყვეტილება 1982 წლის 21 დეკემბერს გააუქმა, მაგრამ საქმე რატომღაც ორი თვე, 1983 წლის 21 თებერვლამდე უმოქმედოდ იდო ქალაქის სასამართლოში და არავინ იცის, რა არის ამის მიზეზი.

1983 წლის 9 მარტს საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე ი. ხურციძეს და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

1983 წლის 9 მარტიდან დღემდე მოსამართლე ი. ხურციძემ ექვსჯერ დანიშნა საქმე მაგრამ ექვსჯერვე გადაიდო მისი განხილვა მხარეთა გამოუცხადებლობის, ბავშვის ავადმყოფობისა და სხვა მიზეზით, სულ საქმე კი ოცდაერთჯერ გადაიდო. ქალაქ თბილისის პროკურორის ს. ნანიტაშვილის სარჩელი კი ელის გადაწყვეტას და არავინ იცის, სადამდე გაგრძელდება ეს.

რა შეიძლება დაერქვას ამას? შეცდომა, დაუდევრობა, ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი თუ ყველა ერთად.

ბიუროკრატიზმი, — თქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ე. ა. შევარდნაძემ. — არათუ აძნელებს ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ. არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანს აყენებს საზოგადოებას.

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სასამართლო ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებასთან ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

და ბოლოს, გაკვირვებას იწვევს ქალაქის პროკურატურის ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელმაც ორი წლის მანძილზე ვერ შეძლო უზრუნველეყო სარჩელის განხილვა სახალხო სასამართლოში.

ა. არსენაშვილი.

რედაქციისაგან: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა ჟურნალის მთავარი რედაქტორის ო. კაციტაძის ინფორმაცია ამ საქმის გამო და მიიღო გადაწყვეტილება.

ქალაქ თბილისის პროკურორის სარჩელის განხილვისას დაშვებული ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის, საქმის განხილვის დაუშვებლად გაჭიანურებისათვის თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ხაბეიშვილი და სახალხო მოსამართლე ს. ხურციძე მკაცრად იქნენ გაფრთხილებული.

სასამართლოს თავმჯდომარეს გ. ხაბეიშვილს დაევალა განუხრელად იხელმძღვანელოს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის 1976 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით „სამოქალაქო და სისხლის სამართლის ხაქმეთა განხილვის კანონით დადგენილი პროცესუალური ვადების დაცვის შესახებ".

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს შ. მახარაძეს დაევალა გამოარკვიოს თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ საქმის 3 თვის მანძილზე უმოძრაოდ დატოვების მიზეზები და მიიღოს ზომები დამნაშავე პირთა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთ - საქართველოს ურთიერთობის სახელმწიფოებრივი ისტორიიდან

1. ბორის გოდუნოვის ელჩები ქართლის სამეფოში

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბორის გოდუნოვმა რუსეთის მეფედ კურთხევისთანავე კავკასიას და, კერძოდ, საქართველოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

მეფემ 1605 წელს ჩვენს ქვეყანაში მოავლინა თავისი ელჩები მიხეილ ტატიშჩევი და ანდრია ივანოვი. მათ დავალებული ჰქონდათ დაეთანხმებინათ ქართლისა და კახეთის მეფეები მიეღოთ რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცი, აგრეთვე ეთხოვნათ რუსეთის მეფისათვის დამოყვრებოდა სამეფო კარს შეერჩიათ მეფისწულებიდან ქსენიასათვის საქმრო და თევდორესათვის საცოლე.

1605 წლის 15 აპრილს მ. ტატიშჩევი და ა. ივანოვი დარიალის ხეობაში ჩამოხდნენ და კაცი გაუგზავნეს ირაგვის ერისთავს სიონში (ნუგზარ ერისთავს სიონშიც ჰქონდა რეზიდენცია). ერისთავმა თავისი უფროსი შვილი ბაინდური შეაგება რუსთა ელჩებს, რომლებმაც მას წარუდგინეს რწმუნების ხიგელი და გადასცეს მეფის წერილი და ხაჩუქრები. ბაინდურმა ელჩებს მოახსენა, მთელი ხაერისთავო და მამამისი ნუგზარი თავს მეფის ქვეშევრდომად თვლიან და თავისი ხიტყვებიდან გადახვევა არა ხრვეციათო.

რუსთა ელჩები ირაგვის ხაერისთაოზე გავლით ჯერ კახეთის სამეფოში გადავიდნენ, იქიდან კი ქართლში და ქსნის საერისთავოში დაივანეს, სანამ ქართლის მეფეს ეახლებოდნენ.

ქართლის მეფე გიორგი მეათეს, რომელიც იმ დროს დაბა მეჯვრიხევში იყო თავის ოჯახობით და ამალით, დროზე გაეგო რუსთა ელჩების კახეთიდან ქართლში გამომგზავრების ამბავი და საჭირო თადარიგსაც შესდგომია. ქსნის ერისთავს ბრძანება მოუვიდა შესაფერი პატივისცემით შეხვედროდა რუსეთის მეფის ელჩებს. მეფემ ამავე ხაერისთავოში გაგზავნა ეპისკოპოსი თეოდოხი და მასთან ერთად მეფის დიდებული ვინმე ასლამაზი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, ელჩებისათვის ეცნობინებინათ რომ მეფე დახთანხმდა მიეღო ისინი 27 აპრილს. მეხამე დღეს გიორგიმ რუსთა ელჩები თავის რეზიდენციაში მიიღო. ორ ქართველ ეპისკოპოსთან და ბერძენ მიტროპოლიტთან ერთად. მ. ტატიშჩევმა და ა. ივანოვმა მეფეს გადასცეს ბორის გოდუნოვის წიგნი, რომელიც კმაყოფილებით იქნა მიღებული. ელჩებმა აგრეთვე უთხრეს გიორგი მეათეს, რომ რუსეთის მეფე მზად არის თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს ქართლის სამეფო. მეფე გიორგიმ მადლობა გადაიხადა და თავისი ხათხოვარიც გადასცა: იგი მზად არის მიიღოს ასეთი მფარველობა, თან სინანულით გამოთქვა, რომ შექმნილი მდგომარეობა არ აძლევს ხაშუალებას ამ საქმის გამო ელჩები გაგზავნოს რუსეთის სამეფო კარზე.

რუსთა ელჩებმა ქართლის მეფეს გადასცეს თავიანთი მეფის ხურვილი, დამოყვრებოდნენ ერთმანეთს და ქართლის მეფეს სთხოვდა თავისი ასული მიეთხოვებინა უფლისწულ თევდორესათვის, ამავე დროს დახმარებოდა მის ელჩებს ქართველ მთავართაგან შეერჩიათ სასიძო მეფის ასულ ქსენიასათვის. ამიო დამთავრდა რუსთა ელჩების პირველი შეხვედრა ქართლის მეფეხთან.

იმავე წლის მაისში ელჩების ბანაკში მეფე გიორგიმ მიავლინა ქართლის ეპისკოპოსი თეოდოხი, ირაგვის ხაერისთავოს წარმომადგენელი ბაინდურ ერისთავი და მეფის კარისკაცი ასლამაზი, რომლებმაც აცნობეს ელჩებს, რომ მეფე თანახმაა, თავისი ასული მიათხოვოს რუსეთის უფლისწულს. იგი ბედნიერიც იქნება ასეთი დამოყვრებით, მაგრამ ერიდება ოსმალეთისა და სპარსეთისა, რომლებიც ააწიოკებენ ქართლს, როდესაც შეიტყობენ ქართლის სამეფოს დაახლოება-შეკავშირებას რუსეთის

სამეფოსთან. ეს დაჩქარებს ოსმალეთის შემოსევასო.

ამაზე მ. ტატიშჩევმა მიუგო: როცა ქართლის მეფე და რუსთა მეფე დამოყვრდებიან, მაშინ რუსეთი უფრო გამოიდებს თავს და ქართლის ყველა მტერი მოგერიებული იქნებაო. წარგზავნილებმა ელჩებს ისიც გადასცეს, რომ რუსთა მეფის ასულის ქსენიასათვის საქმრო მონახულია. ეს არის სამეფო გვარის ახალგაზრდა კაცი 24 წლის მუხრან-ბატონიო.

მალე რუსთა ელჩები მეორედ ესტუმრნენ გიორგი მეფეს და მადლობა მოახსენეს რუსეთის სამეფო კართან დამოყვრებაზე თანხმობისათვის. მეფემ ამაზე მიუგო: მე საბედნიეროდ მიმაჩნია ასეთი დამოყვრება, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი ასული გაისტუმროს რუსეთში, რადგანაც იგი სრულწლოვანი ჯერ კიდევ არ გამხდარა, თორმეტი წლისაც არ არისო. ელჩებმა ამაზე უპასუხეს: მეფის ასულ ელენეს ექვს თვეზე ადრე მაინც ვერ გაგზავნიან, რადგან ამ ხნის მანძილზე უნდა ძოემზადოს, რუსული ენა შეისწავლოს, გაიგოს რუსთა ხასიათი და ჩვეულებანი, ამასობაში იგი სრულწლოვანიც გახდება და დაბრკოლებაც აღარ იქნება, გზის ხარჯისა ნურა გერიდებათ რა, თვითონ ჩვენმა მეფემ გამოყო ორასი თუმანიო.

ელჩებმა მეფე გიორგის ისიც უთხრეს: ასეთი მოყვრობა არა მარტო ქრისტიანული ხარწმუნეობის გავრცელების, არამედ მშვიდობის დამყარების პირობა იქნებაო.

მეფემ ელჩებს თავისი ასულის ნახვის დღედ დაუნიშნა რვა მაისი. ამ დღეს თამარ დედოფალს და მის ასულ ლელას (ელენე) ეწვივნენ მ. ტატიშჩევი და ა. ივანოვი, რომლებმაც ხაჩუქრები მიართვეს. კარავში ამ დროს მეფეც მოსულიყო. მეფის ნებართვით მ. ტატიშჩევმა ლერწმის ჯოხით ლელას სიმაღლე გაზომა და ნაჭდევი გაუკეთა. ეს თითქოსდა მეფის ასულის დაწინდვას ნიშნავდა. მეფემ დიპლომატურად მიმართა და განუცხადა: ხედავთ, ჩემი ასული პატარაა, თორმეტი წელი ჯერ არ შეხრულებია, სრულწლოვანი არ არის, გარდა ამისა, ჩვენი მამა-პაპების წეს-ჩვეულებაა, სანამ თორმეტი წლისა არ გახდება, გათხოვება არ შეიძლება. მე ორი შვილი მყავს: ვაჟი ლუარსაბი, ჩემი თვალის ჩინი და ქალი ლელა, რომლებიც ჩემი გულის გამხარებელნი არიან, შვილები არიან ჩემი ბედნიერებაო. ჩვენში წესი და რჯულია, რომ ქალის სათხოვნელად მთხოვნელნი წელიწადში სამჯერ უნდა მოვიდნენ. ამისათვის რუსთა მეფე არ უნდა აჩქარდეს ჩვენს დამოყვრებაზეო.

ელჩები დასთანხმდნენ. სამაგიეროდ მეფეს განუცხადეს, ჩვენი მეფის ერთგულებაზე ფიცის წიგნი გვიბოძეთო. მეფემ სიამოვნებით უბოძა. ელჩებმა და გიორგი მეფემ ფიცის წიგნები გაცვალეს. ქართლის მეფის წიგნში ისიც იყო აღნიშნული, რომ მეფის ასული ლელა (ელენე), თორმეტი წლისა რომ შესრულდებოდა, მეფესა და დედოფალს რუსეთის სამეფო კარზე უნდა წარეგზავნათ. მანამდე კი ქართლის მეფეს რუსეთს უნდა გაეგზავნა თავისი ელჩები.

მართლაც, მალე ქართლიდან რუსთა სამეფო კარზე წარიგზავნენ ელჩები: მეფის ბიძა ქაიხოსრო და ეპისკოპოსი თეოდოსი. გიორგი მეფემ ბორის გოდუნოვს მისწერა წერილი, როგორც ძმამ ძმას. იმავე წლის აგვისტოში მ. ტატიშჩევი და ა. ივანოვი გაისტუმრეს თავიანთ ქვეყანაში, ელჩებმა თან წაიყვანეს მეფის სახიძო ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, რომელიც დიდი მოურავის გიორგი საკაძის დისწული იყო. მგზავრობა გაართულა ხომალდმა მდგომარეობამ დარიალის ხეობაში. ელჩებს თანამგზავრი ქართველი არ გაატანეს და ისიც უკან დაბრუნდა.

რუსეთის სამეფოსა და ქართლის სამეფოს შორის კავშირურთიერთობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იხვეწებოდა და მტკიცდებოდა.

2. გიორგი საკაძის შვილის ელჩობა რუსეთში

რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას შედარებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მეფე თეიმურაზ პირველის დროს. მეფემ ხვა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად ჯერ კიდევ 1649 წლისათვის გარკვეული პოლიტიკა შეიმუშავა და მოსკოვში რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძესთან დესპანები გაგზავნა სამეფო კარზე. რუსეთის მეფემაც არ დააყოვნა ელჩობის გაცვლა და ნაცვალგების წესით თავის მხრივ საქართველოს სამეფო კარზე მოავლინა ელჩები: ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი. სწორედ ამ ელჩობას მოჰყვა შედეგად ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება, რომელიც ქართველი უფლისწულის ერეკლეს მოსკოვში გამგზავრებას წინ უსწრებდა ოთხი წლით მაინც.

ვინ იყო საქართველოს კიდევ ერთი პირველი დესპანი რუსეთის სამეფო კარზე, რომელმაც თავს იდო და ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი რწმენისა, თეიმურაზ მეფის საგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეო პოლიტიკური კურსის განხორციელებაში? ეს იყო დიდი მოურავის გიორგი საakაძის შვილი ივანე გიორგის ძე საakაძე.

ვფიქრობთ, პატარა ივანეს მშობლების ოჯახში არაერთხელ უნდა მოესმინა მამის, დიდი მოურავის, ნაამბობი რუსთა ელჩების საქართველოში ჩამოსვლისა და ქართველ მეფეთა კარზე მათი მიღების თაობაზე. ჯერ კიდევ 1605 წელს ქართლის მეფე გიორგი მეათემ რუსთა მეფის ბორის გოდუნოვის ელჩები: მ. ტატიშჩევი და ა. ივანოვი თავის საზაფხულო რეზიდენციაში, მეჯვრისხევში მიიღო. ამ დროს მეფის ამალაში იმყოფებოდა ოცი წლის გიორგი საakაძეც.

1632 წელს სპარსეთის შაჰმა თეიმურაზ მეფეს ქართლი ჩამოართვა და გასპარსებულ როსტომ-ხანს უწყალობა. ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ დაიშალა. მოწინავე ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებმაც მთელი ძალ-ღონე შეალიეს ქართლ-კახეთის გაერთიანებას გულზე არ ეხატათ არც სპარსეთის შაჰი და არც მისი ნება-სურვილის აღმასრულებელი როსტომ მეფე. ამიტომ გარკვეული პოლიტიკური დასი ისევ თეიმურაზის მხარეს იყო და ცდილობდა თავიდან მოეცილებინათ მაჰმადიანი მეფე როსტომი, რასაც უნდა მოჰყოლოდა სპარსეთის შაჰის მიერ თეიმურაზის კვლავ ქართლ-კახეთის მეფედ ცნობა. ასეთ პოლიტიკურ დასს ეკუთვნოდნენ გიორგი საakაძის ორი ვაჟი — ივანე და ზურაბ საakაძეები.

როსტომ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო 1642 წელს გორის ციხეში. მეფემ შეთქმულება აღმოაჩინა. ბევრი სიკვდილით დაიხოჭა. ზურაბ საakაძე **როსტომმა** „შეიწყალა“ და თვალები დასთხარა. მისი ძმა ივანე კახეთში გადაიხვეწა და თავი კახთა ხელმეფოს შეაფარა, სადაც ქართლის მეფე როსტომს ხელი არ მიუწვდებოდა. **როსტომ** მეფე 1643 წელს თარხან იორამ მოურავის შვილიხადმი (საakაძე) გაცემულ მამულის წყალობის წიგნში ბრძანებდა:... „მას უამსა ოდეს შენი განაყოფი ივანე ჩვენს ღალატში გაერია და გადიხვეწა... შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო მამულიო“[1].

ეს იხ ივანე საakაძეა, რომელიც არქიმანდრიტ პახომთან ერთად თეიურაზ მეფის **დავალებით 1649 წელს** დესპანად ჩავიდა მოსკოვის სამეფო კარზე. ქართველი ელჩები მიიღო სამეფო საკრებულოს მდივანმა მიხეილ ვოლოშენინოვმა, რომელსაც ხალჩო 'პრიკაზში საქართველოს ელჩების მიღება ჰქონდა დავალებული.

დესპანთა მიღება საკრებულოს მდივანთან კარგად აქვს გადმოცემული ვ. ტატიშვილს თავის წიგნში „ქართველები მოსკოვში“[2].

„ვოლოშენინოვმა დესპანებს სთხოვა, სკამებზე დამსხდარიყვნენ მოსკოვის ეს იშვიათი სტუმრები. მდივანმა გამოჰკითხა მათ — როგორ ბრძანდებით, გზაში ხომ არ გაწვალდით, რა დავალებით გამოუგზავნიხართ ქართველთა მეფეს ხელმწიფე ალექსი მიხეილიხძესთან. ქართველმა თავადმა, პირველმა დესპანმა ივანე საakაძემ მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა: „ჯერ კიდევ თეიმურაზ მეფის წინაპრებმა მოსკოვის დიდი ხელმწიფის ხელქვეითად აღიარეს თავი. მეფე თეიმურაზი პატიოსნად და სიმართლით ემსახურებოდა ნეტარხსენებულ მიხეილ თეოდორეს ძეს. ახლა მეფე თეიმურაზი განდევნილია თავისი ხამეფო კახეთიდან **როსტომ**-ხანის მიერ და ცხოვრობს თავის ხიძე ალექსანდრესთან. მას თან ჰყავს ლაშქარი ათი ათასი კაცი. თეიმურაზი სთხოვს დიდ ხელმწიფეს ალექსი მიხეილიხძეს მიაშველოს ჯარი მტრისაგან კახეთის გასაწმენდად. ამასთან სახელმწიფო ხიგელით შეუთვალოს სპარსეთის შაჰს, რათა შაჰი დაეხსნას და ხელი აღარ ახლოს საქართველოს მიწა-წყალს... ამას წინათ — განაგრძო თავადმა ივანე საakაძემ — მეფე თეიმურაზმა აღუთქვა დიდ ხელმწიფეს **რომ** გამოუგზავნიდა თავის შვილს ბატონიშვილს დავითს, მაგრამ უფლისწული დავითი ბრძოლის დროს ხელთ ჩაუვარდათ ურჯულოთ და იგი წამებით იქნა მოკლული. მეფე თეიმურაზმა მიბრძანა, გაუწყოთ, **რომ** დავითის ნაცვლად ჩემს შვილიშვილს ერეკლე დავითიხძეს გაახლებთო. თუ ხელმწიფე ინებებს, ბატონიშვილ ერეკლეს, მის წამოსაყვანად თავისი ელჩები გამოგზავნოსო“.

საკრებულოს მდივანმა მ. ვოლოშენინოვმა მოისმინა ქართველი დესპანის სიტყვა და უთხრა: „თქვენს სათხოვარს დღეხვე მოვახსენებ ხელმწიფესო“ და სთხოვა დაეცადათ ხელმწიფის გამოსვლისათვის. თვითონ კი ზევით გაემართა. ეს მოხდა **1649 წლის 13 აგვისტოს**“[2].

1651 წელს საქართველოში დაბრუნებულ **დესპანებს** ივანე საakაძესა **და** **არქიმანდრიტ**

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1909 წ. გვ. 68.

[2] ვ. ტატიშვილი, „ქართველები მოსკოვში“, თბ., 1947 წ., გვ. 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პახომს თან ჩამობაყვნენ რუსეთის მეფის ელჩები ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი ივვლევი თავიანთი ამალითურთ.

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი რუსეთის ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძესთან 1651-1653 წლებში საელჩო მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იყო, დათანხმდა თავისი შვილიშვილი ერეკლე (რუსეთში მას ნიკოლოზად მოიხსენიებენ) წარეგზავნა რუსეთის სამეფო კარზე. ერეკლე ამ დროს 14 წლისა თუ იქნებოდა. მას თან გაპყვნენ მისი დედა დედოფალი ელენე და ამალა, როგორც მაშინდელი წესი და რიგი მოითხოვდა.

რუსეთის მეფემ ქართველ უფლისწულს მასპინძლებად თავისი ხანდო კაცები წარუგზავნა, რომელთაც წარმატებით შეასრულეს მეფის დავალება. რამდენიმე დღეში მეფემ თვითონ ინება, პირადად ემასპინძლა ქართველი უფლისწულისათვის. ეს ის დრო იყო, როცა უკრაინის ქალაქები ზედიზედ შედიოდნენ რუსეთის სამეფოს შემადგენლობაში.

ყველა ამის თაობაზე კარგად არის მოთხრობილი მოსკოვში ახლახან გამოცემულ წიგნშიც, სადაც ვკითხულობთ: „1653 წლის დეკემბრის დასაწყეს მოსკოვში ჩამოვიდა ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე თავის დედასთან ელენე ლეონტის ასულთან ერთად. ისინი მოსკოვის სამეფოში დიდი პატივით მიიღეს. 1654 წლის პირველ იანვარს ქართველი მონარქები მიიღეს წმინდა გოვან პალატაში. შესანიშნავ დიდი შეხვედრისას და სადილზეც დამსწრეთა შორის იყო ა. ნ. ტრუბეცკოი. ნახადილევს იგი ა. ივანოვთან ერთად გაემგზავრა ქართველი ბატონიშვილის სამახსოვნოდ, 8 იანვარს ამას მოჰყვა ახალი დიდი დარბაზობა, სადაც ა. ნ. ტრუბეცკოიმ და ა. ივანოვმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. 17 იანვარს ალექსი მიხეილის ძე ქართველ ბატონიშვილთან ერთად გაემგზავრა ზვენიგოროდში თავის ხაუკარელ სამეფო-ხავოსტროროუევსკის მონასტერში, მეორე დღეს კი ხოფელ ხოროშევოში. სამეფო-ხაზეიმო ამალას დაეწივნენ მალემხრობლნი, რომელთაც ვ. ვ. ბუტურნილისაგან მოიტანეს ცნობა, რომ უკრაინის 167 ქალაქი მიღებულია რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ძნელი წარმოსადგენი არ არის ის სიხარული, რომელმაც მოიცვა მთელი სამეფო კარი“[3].

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი რუსეთის ხელმწიფეებთან ალექსი მიხეილის ძესთან მოსალაპარაკებლად და თავისი შვილიშვილის მოსანახულებლად მოსკოვში ჩავიდა 1657 წელს.

როგორც ივანე ხაკაძისა და არქიმანდრიტ პახომის, ისე მეფე თეიმურაზის მოლაპარაკებას შედეგად უნდა მოპყოლოდა და მოპყვა კიდეც საქართველოსა და რუსეთს შორის კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცება-გაფართოება.

3. თეიმურაზ მეორის დიპლომატიური მისია

მეფე ერეკლე პირველს, როდესაც ჯერ კახეთში და შემდეგ ქართლში მეფობდა, არ გაუწყვეტია კავშირურთიერთობა რუსეთის სამეფო კართან, ასევეთ პოლიტიკა განაგრძო მისმა შვილმა, შემდეგ მეფე თეიმურაზ მეორემაც, რომელმაც იმ დროისათვის რუსეთის ხელმწიფესთან დიპლომატიური მოლაპარაკება ელჩების დონეზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია, გადაწყვიტა: თვითონ უშუალოდ ეწარმოვებინა მოლაპარაკება რუსეთის იმპერატრიცასთან.

შემდეგ თვით რუსეთის პოლიტიკურ წრეებშიც თეიმურაზის ჩასვლა პეტერბურგში დადებითად შეუფასებიათ.

1760 წლის აპრილში მეფე თეიმურაზი 180-კაციანი ამალით პეტერბურგს გაემგზავრა. ამალაში ბევრი გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე შედიოდა, მათ შორის იოანე რუსთველი, მოურავი ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი, მოურავი დავითი, მეფის ხაზინადარი თადეი შიო ტუსიშვილი, ქართლის სარდალი ალექსანდრე ციციშვილი, მეფის მდივანი სულხან ბეგთაბეგიშვილი, თავადები იასე მაჩაბელი, გიორგი ციციშვილი, ზაალ ავალიშვილი (სამეფო დარბაზის გამრიგე), გიორგი ფალავანდიშვილი, იოსებ გიშიმყრელი, ბეჟან ხერხეულიძე, ივანე ბაგრატიშვილი, ზურაბ გოსტაბაშვილი და სხვანი.

თეიმურაზ მეფის დიპლომატიური მისია საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. აქ უურადსაღებია ის გარემოება, რომ ახე ახლო ურთიერთობა დამყარებულა ქართველ და რუს პოლიტიკურ წრეებს შორის.

ევროპის ხახელმწიფოები ერთობ დაინტერესებული ყოფილან რუსეთის არა მარტო ხაშინაო, არამედ მისი ხაგარეო ურთიერთობითაც. რუსეთის სამეფო კარზე მყოფი უცხოეთის ელჩები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის ურთიერთო-

[3] В. С. Мясников. Империя Цин и русское Государство в XVII веке, М., 1980 г., стр. 89.

5. „საბჭოთა სამართალი“, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ხვა ქვეყნებთან, კერძოდ, აღმოსავლეთის ხალხმწიფოებთან, რომლებთანაც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები აკავშირებდათ. ამის ხაუკეთესო მაგალითია, თუნდაც, დანიის ელჩი ჰაქსტაუზენი. იგი დანიის მეფეს ხაიდუმლო შიფრით უგზავნიდა მოხსენებებს თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. ამ ხადუმლო მოხსენებებში ხვა ამბებთან ერთად ლაპარაკია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზეც.

ჰაქსტაუზენის ხაიდუმლო მოხსენებები 1914 წელს აღმოაჩინა რუსმა მკვლევარმა ნ. ა. ბელოვმა, ფრანგულიდან თარგმნა და დაბეჭდა კიდეც.

აი, რას წერდა 1762 წლის 22 იანვრის თარიღით გაგზავნილ მოხსენებაში ჰაქსტაუზენი დანიის მეფეს: „ამ დღეებში აქ გარდაიცვალა უკვე მოხუცებული საქართველოს მეფე თეიმურაზი, მამა გამოჩენილი მეფისა ერეკლისი, რომელსაც ოში აქვს სპარსეთთან. თეიმურაზი თითქმის ერთ წლამდე აქ იყო. იგი ამაოდ სთხოვდა რუსეთის მეფეს სპარსეთის წინააღმდეგ ფულითა და ჯარით დახმარებას. ქართველ მეფესა და მის ამალას აქ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. საიმპერატორო კარმა მას დაუთმო ხახლი და ყოველივე, რაც საჭირო იყო მისთვის. სამეფო კარმა მეფეს თავის განკარგულებაში გადასცა ეტლები. მეფის მცველი რაზმი შედგებოდა ოცდაორი კაცისაგან, რომელსაც ერთი ოფიცერი მეთაურობდა. ამას გარდა, სასახლის შესანახად ქართველი მეფე ყოველთვიურად ღებულობდა სამ-სამ მანეთს“[4].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო დაიხვეწა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, რაც თეიმურაზ მეფის სიკვდილიდან 21 წლის შემდეგ მოხდა.

ვახტანგ სიდამონიძე.

---

[4] Жур. «Русская старина», 1915 г., № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსური ნაშრომი ნარკომანიასთან ბრძოლის შესახებ*

თავდაპირველად ავტორები ნარკომანის პიროვნულ თავისებურებას ადგენენ. ასეთად მათ მიაჩნიათ გადაჭარბებული მორჩილება და ძლიერი ემოციურობა. ნარკომანი ფსიქოპათიური პიროვნებაა, უფრო ზუსტად, „...ნარკომანია... ხშირია დეპრესიული, ასთენსიური და ინტენსიური ჯგუფის ფსიქოპათებში. ფსიქოპათია ხომ უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პიროვნების ძირითადი ღერძის, ე. ი. მორალურ-ზნეობრივი ძალების შესუსტებასა და გართულებას“ (გვ. 9). მაგრამ, რასაკვირველია, ყველა ფსიქოპათი ნარკომანი არ არის. ამ მეტამორფოზას რამდენიმე მიზეზი აქვს. ნაშრომში ასეთ მიზეზებად მიჩნეულია: 1) ე. წ. „სამედიცინო ხასიათის ნარკომანია“, რომელიც უვითარდებათ მძიმე სომატური სენით დაავადებულებს. ეს ის პირებია, რომლებსაც ექიმის დანიშნულებით უკეთდებათ ესა თუ ის ნარკოტიკი (უმეტესად ტკივილგამაყუჩებელი საშუალებანი); 2) ექიმის დანიშნულების გარეშე ავადმყოფის მიერ საკუთარი ინიციატივით ნარკოტიკის მიღება უძილობის, ნერვული დაძაბულობის ან საერთო სისუსტის გამო; 3) ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი სნობისტური მიდრეკილება. „ზოგჯერ ნარკოტიკს აჩვევენ „იძულებითი წესით“ — დეგრადირებული და ასოციალური ნარკომანი ცდილობს ჩაითრიოს ახლობელი ან ნაცნობი“ (გვ. 10)

კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევით გამოვლენილია საქართველოში ნარკოტიზმის კრიმინოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც დაფუძნებულია ფართო კრიმინოლოგიურ ინფორმაციაზე. მათ მოსაპოვებლად დიდი, შრომატევადი მუშაობაა გაწეული. ამ მახასიათებლების საფუძველზე წამოყენებულია დასაბუთებული წინადადებანი, რომლებიც უსათუოდ შეუწყობს ხელს ამ უაღრესად საშიშ სენთან ბრძოლას. ნაშრომის ავტორები საგანგებოდ აღნიშნავენ: „ნარკოტიკების მომხმარებლების უმრავლესობას (თითქმის 7/10) 18-29 წლის ახალგაზრდები შეადგენენ, რაც იმის დამადასტურებელია, რომ 70-იან წლებში ნარკოტიზმი მნიშვნელოვანწილად არის ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მზარდი დევიანტობის უკიდურესი გამოვლინება. ამიტომ ამ საკითხის არსებითად გადაწყვეტა შეუძლებელია ახალგაზრდობის მთელი რიგი საჭირბოროტო პრობლემის წარმატებით გადაჭრის გარეშე“ (გვ. 13).

ჩემი აზრით, დასაზუსტებელია ავტორების პოზიცია პირის განათლების დონესთან ნარკომანიის კავშირის შესახებ. კერძოდ, ნაშრომის მე-9 გვერდზე ნათქვამია: „ხშირად ნარკოტიკულ ნივთიერებებს ბოროტად იყენებენ ისეთი პირები, რომლებსაც ახასიათებთ ფსიქიკური ინფალტიზმი და რომელთაც დაბალი ინტელექტი აქვთ“ (ხაზი ჩემია — გ. ტ.) 42-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „...არა განათლებისა და კულტურის დონე (ხაზი ჩემია — გ. ტ.), არამედ საკუთრი გამოცდილება თამაშობდა გადამწყვეტ როლს გამოკითხულთა მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარების გაცნობიერების დროს“ (გვ. 42).

კიდევ ერთი მოსაზრება: წინამდებარე რეცენზიაში აღინიშნა, რომ ავტორები ნარკომანიის ხელშემწყობ მიზეზთა შორის ასახელებენ ე. წ. „სამედიცინო ხასიათის ნარკომანიას“ და „თვითმკურნალობას“. ეს მიზეზი დადასტურებული არ არის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებით.

ნაშრომში ნარკომანიის კლინიკა აღწერილია ნათლად და თანაც არასპეციალისტისათვის მისაწვდომი ენით. პირველ სინდრომად დასახელებულია ნარკოტიკისადმი ორგანიზმის ტოლერანტობის, ამტანიანობის შეცვლა. „ტოლერანტობა თანდათან იცვლება და შესაძ-

---

*ა. ზურაბაშვილი ა. გაბიანი, გ. ლეჟავა, ბ. ნანეიშვილი. მავნე ჩვევიდან მძიმე დაავადებამდე. ნარკვევები ნარკომანიის შესახებ. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1982, 108 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელია რამდენიმე წელი გასტანოს. შემდეგ ნარკოტიკული ნივთიერების მიმართ ამტანიანობა თანდათან კლებულობს და ნარკომანიის შორსწასულ შემთხვევებში უკვე საწინააღმდეგო მდგომარეობაა, როდესაც ავადმყოფისათვის ჩვეული დოზა უკვე მძიმე ინტოქსიკაციას იწვევს" (გვ. 44-45). ნარკომანიის მეორე ძირითად სინდრომად ჩათვლილია ე. წ. ფსიქიკური დამოკიდებულება, როდესაც „ნარკომანს უჩნდება ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მიიღების დაუძლეველი მოთხოვნილება, რადგან ჩამოყალიბებულია ლტოლვა ნარკოტიკული საშუალებებისადმი. ეს ლტოლვა ნარკომანისათვის არის ყოვლისმომცველი გრძნობა, რომლის დათრგუნვა მას აღარ ძალუძს. იგი განიცდის ფსიქიკურ დისკომფორტს და ცდილობს ნარკოტიკული საშუალების განმეორებითი მიღებით მიაღწიოს სასურველ მდგომარეობას" (გვ. 45). მესამე ძირითადი სინდრომი ყოფილა ფიზიკური ან ბიოლოგიური დამოკიდებულება. „ნარკომანს იპყრობს არა მარტო ფსიქიკური ლტოლვა ნარკოტიკული საშუალებისადმი, არამედ წმინდა ფიზიკური, ანუ ბიოლოგიური ლტოლვა" (გვ. 46). ავტორები აღწერენ ცვლილებებს, რასაც ნარკოტიკების მოქმედება იწვევს ორგანიზმზე.

როდესაც ნარკომანთა მკურნალობას ახასიათებენ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ „დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მიკროსოციალურ პირობებს, ნარკომანის მახლობლები მუდმივ კონტაქტში უნდა იმყოფებოდნენ მკურნალ ექიმებთან, ასრულებდნენ მათ მითითებებს, ქმნიდნენ საჭირო ფსიქოჰიგიენურ გარემოს ავადმყოფებისათვის" (გვ. 66). და შემდეგ: „უსიამოვნება, კონფლიქტური სიტუაციები, ემოციური სტრესი, უარყოფითი განცდები, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ხშირად ხდება რეციდივის საბაბი, განსაკუთრებით მკურნალობის ჩატარებიდან პირველ თვეებში. ამის გამო როგორც კი გაჩნდება ლტოლვა ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი, თვით ავადმყოფმა და მისმა მახლობლებმა მაშინვე უნდა მიმართონ სამკურნალო დაწესებულებას" (გვ. 70).

ნარკომანიის სამედიცინო, ბიოლოგიური და კრიმინოლოგიური საკითხების გაშუქების შემდეგ ავტორები საგულდაგულოდ იხილავენ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემასა და დანიშნულებას. ამ საკითხზე ისინი წერენ: „ნარკომანიის განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოში ჯერ კიდევ 15 წლის წინათ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით 1967 წელს შეიქმნა სპეციალური საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც მიზნად ისახავდა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებას. კომისიას, რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა მთელი ორი წლის მანძილზე, სათავეში ედგა პირადად ამხ. ე. ა. შევარდნაძე, იმ დროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კომისიამ შეიმუშავა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების მთელი კომპლექსი და 1969 წელს განსახილველად წარუდგინა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს" (გვ. 70).

საქართველოში ამ ხნის მანძილზე ჩამოყალიბდა ნარკომანიასთან ბრძოლის მდიდარი საკანონმდებლო, სასამართლო და კრიმინოლოგიური პრაქტიკა. ამ პრაქტიკას გულდასმით სწავლობენ ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებშიც.

ნაშრომში განსხვავებულია ნარკომანების ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობა. ნებაყოფლობითი მკურნალობა წმინდა სამედიცინო ღონისძიებაა, თუმცა მისი განხორციელებისას მნიშვნელოვანია შინაგან საქმეთა ორგანოების როლი. დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს ავტორთა მოსაზრება, რომ დაუშვებელია ნარკომანთა ნებაყოფლობითი მკურნალობის შეუფასებლობა და ამის შედეგად მთელი ყურადღების გადატანა იძულებით მკურნალობაზე. სხვათაშორის, სულ ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში მოსკოველ კრიმინოლოგს პროფ. ა. იაკოვლევს ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელი მაგალითი აქვს მოყვანილი: დიდ ბრიტანეთში 1978 წელს ნარკომანია 19 პროცენტით გაიზარდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჰეროინის კონტრაბანდის მკვეთრი მატება იყო. მაგრამ სპეციალისტების აზრით, ნარკომანიის გავრცელებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1967 წელს მიღებული კანონის გაუქმებამ. ამ კანონით ნებადართული იყო ექიმების მეთვალყურეობით ნარკოტიკების მცირე დოზით მიცემა ჩვეული ნარკომანებისათვის. ხსენებული კანონის გაუქმების შემდეგ ნარკომანები ქუჩაში გამოვიდნენ. მათი დაუოკებელი მოთხოვნილების შედეგად ნარკოტიკებით მოვაჭრე შავი ბაზარი წარმოიშვა. ამან კი თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ ხელი შეუწყო ნარკომანთა რიცხვის ზრდას.[1]

ნათელია, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ გონივრულად გამოყენებული იძულებითი მკურნალობის მნიშვნელობა. ამ საკითხებს დაწვრილებით აწესრიგებს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ჩვენს საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში კარგა ხანია სადავოდ ითვლება ნარკომანთა მიმართ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებისა და 252²-ე მუხლის გამოყენების საკითხი. ამ საკითხზე ნაშრომში ნათქვამია: „იმ ვითარებაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ნარკოტიკული ნივთიერებებების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობა არ აღემატება ჯარიმას 10-დან 50-მანეთამდე (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 6 მარტის ბრძანებულება), საკმაოდ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ისეთი ქმედობისათვის, რაც არსებითად ნარკოტიკების მოხმარების მოსამზადებელ ქმედობად უნდა ჩაითვალოს, არ უნდა იყოს გამართლებული“ (გვ. 101). მოსაზრება უსათუოდ სწორია. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე ნაწილით დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნის გარეშე. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე, ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებაში მისი ჩადენისათვის გათვალიწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე. თუ პირმა ნარკოტიკული ნივთიერება მოხმარების მიზნით შეიძინა, მაგრამ ვერ მოასწრო ამ მიზნის რეალიზაცია, მაშინ იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უნდა მიეცეს და დაისაჯოს 252-ე მუხლის მესამე ნაწილით. მაგარმ, თუ მან შეძენილი ნარკოტიკული ნივთიერება თავადვე გამოიყენა, მაშინ იგი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით და შეიძლება დაჯარიმდეს ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე. იქმნება მეტად თავისებური სიტუაცია: საშიშროების შემქმნელი დელიქტი (ნარკოტიკულ ნივთიერებათა შეძენა მოხმარების მიზნით) გაცილებით უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე რეზულტატური დელიქტი (ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება). სათვალავშია მისაღები აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252²-ე მუხლის თანახმად ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი მას შემდეგ, რაც ასეთივე ქმედობისათვის დამნაშავის მიმართ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ერთ წლამდე. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც რეზულტატური დელიქტი, მართალია, სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება, მაგრამ გაცილებით უფრო მსუბუქად, ვიდრე საშიშროების შემქმნელი დელიქტი.

ნაშრომში კანონმდებლობის ეს ხარვეზი სწორად არის შენიშნული. ავტორთა პოზიციის განსამტკიცებლად შეიძლება შემდეგი არგუმენტიც მოვიტანოთ: გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებით ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ნარკომანთა ნებაყოფლობითი მკურნალობა. ძნელად წარმოსადგენია, რომ პირმა საკუთარი სურვილით, ნებაყოფლობით გადაწყვიტოს მიმართოს შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მკურნალობისათვის, თუკი მას იმთავითვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრება გასაღების მიზნის გარეშე, უფრო ზუსტად მოხმარების მიზნით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისათვის. იქნებ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ნებაყოფლობითი მკურნალობა ფართოდ ვერ გავრცელდა.

მისაღებია ავტორთა წინადადება, რომ სასჯელის აღსრულების პროცესში თავისუფლებააღკვეთილი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების ეფექტური მკურნალობისათვის აუცილებელია შეიქმნას შრომა-გასწორების დაწესებულებების სისტემაში სპეციალური კოლონიები. სპეციალური მკურნალობა მათ უნდა ჩაუტარონ ექიმმა-ნარკოლოგებმა.

სარეცენზიო ნაშრომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის (თავმჯდომარე ამხ. ო. ე. ჩერქეზია) ინიციატივით არის შესრულებული. ეს, რასაკვირველია,

[1] См. Основания уголовно-правового запрета. Криминализация и декриминализация. М., Наука, 1982, с. 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მოსაწონია. იგივე ითქმის თავად ნაშრომზე, რომლის ავტორებმა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა გამოაქვეყნეს სოლიდური კომპლექსური ნაშრომი ნარკომანიის შესახებ. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც თავისი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობით აქტიურად მონაწილეობს ამ უაღრესად საშიში სენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასასრულ, მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოვთქვა ერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრება, რის საბაბსაც სარეცენზიო ნაშრომი მაძლევს. ამ ნაშრომის ავტორები სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან: აკად. ა. ზურაბაშვილი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ბ. ნანეიშვილი — სწავლული ფსიქიატრები. პროფ. გ. ლეჟავა ფიზიოლოგია, ხოლო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი მ. გაბიანი — სოციოლოგი. სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ასეთი კოოპერაცია მათ სურვილთან ერთად თავად კვლევა-ძიების საგანმა განსაზღვრა. ჩემი აზრით, ამდაგვარი მეცნიერული თანამშრომლობა სასიამოვნო პრეცედენტია და ურიგო არ იქნება, თუ იგი სხვა პრობლემების კვლევაზეც გავრცელდება. სახელდახელოდ მხოლოდ სამ პრობლემას დავასახელებ: 1) პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა. ამ პრობლემის კომპლექსური გამოკვლევა შეიძლება ითავონ ფილოსოფოსებმა, ეთიკოსებმა და სწავლულმა იურისტებმა; 2) ქცევის პრობლემა. აქაც შესანიშნავი ასპარეზი არსებობს ფსიქოლოგებისა და სწავლული იურისტების მეცნიერული თანამშრომლობისათვის; 3) აგროსამრეწველო გაერთიანების პრობლემა. ეს პრობლემა სწავლული ეკონომისტებისა და იურისტების გაერთიანებულ კვლევა-ძიებას მოითხოვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით შეიქმნება სათანადო პრობლემის ყოველმხრივი გაშუქების შესაძლებლობა, დაჩქარდება მისი გადაწყვეტა და ფუჭად არ გაიფლანგება ინტელექტუალური ენერგია „ველოსიპედის გამოსაგონებლად“.

გ. ტყეშელიაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

* * *

რედაქციისაგან: ა. ზურაბაშვილის, ა. გაბიანის, გ. ლეჟავას და გ. ნანეიშვილის ნაშრომი „მავნე ჩვევიდან მძიმე დაავადებამდე“, რომელსაც ეძღვნება ეს რეცენზია, მეტად მცირე ტირაჟით (5.000 ეგზ) დაისტამბა და გამოსცლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

რედაქცია მკითხველებს სთავაზობს ერთ თავს ამ წიგნიდან — „ნარკომანიის კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგები საქართველოში“.

ვფიქრობთ, იგი დაინტერესებს ჟურნალის ყველა მკითხველს, განსაკუთრებით იურისტებს, სოციოლოგებს, ექიმებს.

ნარკოტიზმისა და ნარკომანიის თავიდან აცილებისათვის საჭირო მეცნიერული რეკომენდაციების შესამუშავებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევას, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა სამოცდაათიან წლებში და საკითხთა საკმაოდ ფართო წრეს მოიცავდა.

საქართველოში ნარკოტიზმის ამგვარი გამოკვლევა, რომელიც მდიდარ პირველადს ინფორმაციაზეა აგებული, ემყარება ნარკოტიკების მომხმარებელთა სპეციალური პროგრამით გამოკითხვის შედეგებს.

აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის საკმაოდ მაღალია ქალების ხვედრითი წილი (7,52 პროცენტი), მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება ქალების ხვედრით წილს ალკოჰოლიკებს შორის (10-12 პროცენტი).

გამოკითხულთა ასაკობრივი ნიშნით დაჯგუფება გვიჩვენებს, რომ მათ უდიდეს უმრავლესობას — 69,59 პროცენტს შეადგენენ 16-29 წლის ახალგაზრდები, რაც იმის დადასტურებაა, რომ ნარკოტიზმი მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მზარდი დეკადენტობის უკიდურესი გამოვლინებაა, ამიტომ მისი რადიკალურად გადაწყვეტა შეუძლებელია ახალგაზრდობის რიგი საჭირბოროტო პრობლემის გადაუჭრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საკითხის შესწავლამ, თუ სად ცხოვრობს მუდმივად და სად დაიბადა გამოკითხული ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი, დაგვანახა, რომ ნარკოტიზმი ძირითადად წარმოადგენს ქალაქის პრობლემას. მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ნარკოტიკების მომხმარებლებს აქვთ განათლების საკმაოდ მაღალი დონე. მათ შორის ნახევარს აქვს საშუალო, დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლება, ხოლო დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლების მქონე პირები შეადგენენ 21,87 პროცენტს, ანუ 1/5-ზე მეტს, შედარებით დაბალია დაწყებითი განათლების მქონე პირების ხვედრითი წილი გამოკითხულთა შორის (14,80 პროცენტი), თანაც მათი უმრავლესობა დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები, შედარებით ასაკოვანი ნარკომანები არიან.

გამოკითხულ ნარკოტიკების მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს თუმცა საკმაოდ მაღალი განათლების დონე აქვს, ეს ცენზი უმრავლეს შემთხვევაში ფორმალური ხასიათისაა, ვინაიდან არ ვლინდება ისეთ სოციალურ აქტიურობაში, რომელიც საერთოდ ახასიათებს განათლებულ ადამიანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოკითხულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმალურად კი მიეკუთვნება ინტელიგენციას, მაგრამ მთელი რიგი სხვა მაჩვენებლებით მათ ვერ მივიჩნევთ ინტელიგენციის ნამდვილ წარმომადგენლებად.

მეტად მაღალია გამოკითხულთა შორის ნასამართლობის მქონე პირთა ხვედრითი წილი. კერძოდ, ნახევარს ჩადენილი აქვს ესა თუ ის დანაშაული. ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის ნასამართლევ პირთა ასეთი დიდი რაოდენობა სრულიად ბუნებრივია, რადგან ნარკოტიკების ბმარება მუდამ იყო და დღემდე ფართოდ არის გავრცელებული დამნაშავე ელემენტებს შორის. ამასთან, როგორც ცნობილია, ნარკოტიკების ხანგრძლივ გამოყენებას, ადრე თუ გვინ ვარდაუვლად მიჰყვას ადამიანი ამ თუ იმ დანაშაულის ჩადენამდე.

ნასამართლობის მქონეთა უმრავლესობას — 57,27 პროცენტს ჩადენილი აქვს ქონებრივი დანაშაული, ამასთან 78,97 პროცენტის მიერ ჩადენილი ქონებრივი დანაშაული არ იყო დაკავშირებული ძალადობასთან. საყურადღებოა ისიც, რომ ნარკოტიკების მომხმარებლების მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობიდან პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მხოლოდ 5,91 პროცენტს შეადგენს.

გამოკვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა საყოფაცხოვრებო პირობები, მატერიალური მდგომარეობა, ოჯახური აღზრდა და სხვა. გამოკითხულთაგან მხოლოდ 1,02 პროცენტს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, თანაც ყველა პატიმრობაში მყოფ პირთა კატეგორიას ეკუთვნის. საერთო საცხოვრებელში, ხარდაფში ან ნაჭერავებ ოთახში ცხოვრობს გამოკითხულთა 5,29 პროცენტი, მათი უმრავლესობაც შედარებით ასაკოვანია და პატიმრობაში ნამყოფი.

ამასთან ერთად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (56,39 პროცენტი) ცხოვრობს ცალკე სახლში ან კეთილმოწყობილ იზოლირებულ ბინაში. საერთო სათავსებიან ბინებში ცხოვრობს გამოკითხულთა 37,17 პროცენტი, მაგრამ მათ უმრავლესობას დიდი ან საშუალო ზომის საცხოვრებელი ფართობი აქვს.

თუ გამოკითხულთა სანიტარო პირობების შესახებ იმ საცხოვრებელი ფართობით ვიმსჯელებთ, რომელიც ოჯახის თითოეულ წევრზე მოდის, დავინახავთ, რომ მათს დიდ უმრავლესობას კარგი ან დამაკმაყოფილებელი სანიტარო პირობები აქვს. მაგალითად, გამოკითხულთა 23,59 პროცენტის ანუ თითქმის მეოთხედის ოჯახის თითოეულ წევრზე 14 კვმ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი მოდის, ხოლო 6,50 პროცენტზე — 25 კვ. მეტრზე მეტი.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების უმეტესობა მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან არის 52,38 პროცენტი ცხოვრობს დიდი და საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებში, ხოლო 7.26 პროცენტი ისეთ ოჯახებში, რომლებიც ძალზე შეძლებულად ცხოვრობენ.

გამოკითხულთა 47,16 პროცენტს ანუ თითქმის ნახევარს ოჯახის თითოეულ წევრზე შემოსავლის მიხედვით აქვს საშუალოზე მაღალი ან საშუალო შემოსავალი, ხოლო 13,22 პროცენტის შემოსავალი მნიშვნელოვნად ჭარბობს საშუალოს.

ამგვარად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების ნახევარზე მეტი მატერიალურად უზრუნველყოფილია, ხოლო ბევრი ცხოვრობს მაღალი და ძალზე მაღალი მატერიალური შემოსავლის მქონე ოჯახებში ამ კონტინგენტს შეადგენენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ახალგაზრდა მომხმარებლები, რომელთაც მაღალი შემოსავლის გარდა კარგი სანიტარო პირობებიც აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჯგუფთან ერთად იკვეთება მეორე, დიამეტრიულად განსხვავებული ჯგუფი, რომელიც მატერიალურად ცუდად არის უზრუნველყოფილი. მაგალითად, გამოკითხულთა 18,51 პროცენტს აქვს საშუალოზე მნიშვნელოვნად ნაკლები შემოსავალი, ხოლო 4,88 პროცენტს არავითარი ლეგალური შემოსავალი არ გააჩნია. მათ შორის არიან ნასამართლევი შედარებით ასაკოვანი ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლები, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებიან პატიმრობაში ან ხრულიად არა აქვთ ოჯახი, ან კავშირი გაწყვეტილი აქვთ მასთან.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების უმრავლესობა (71,53 პროცენტი) უცოლოები და გაუთხოვრები არიან. მეუღლე ყავს 19,84 პროცენტს, განქორწინებულია 6,49 პროცენტი, ქვრივი — 0,68 პროცენტი. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენ მიერ გამოკითხულ პირთა ასაკს (50,57 პროცენტის ასაკი 24 წელს არ აღემატება), აგრეთვე გავითვალისწინებთ იმ შედეგებს, რომლებიც თან სდევს ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარებას, უცოლოებისა და გაუთხოვრების ასეთი მაღალი ხვედრითი წილი მათ შორის სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ხაკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს — 6,26 პროცენტს, ბავშვობა თავის ოჯახში არ გაუტარებია. ესენი ძირითადად შედარებით ასაკოვანი ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლები არიან, რომლებიც დანაშაულებრივ სამყაროს განეკუთვნებიან. ბევრი მათგანის ბავშვობა მძიმე იყო, რადგან სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში მიმდინარეობდა.

გამოკითხულთა შორის მხოლოდ 49,54 პროცენტმა აღნიშნა ოჯახის წევრთა შორის კარგი ურთიერთობის არსებობა. გამოკითხულთა 10,2 პროცენტმა მიუთითა, რომ მათ ოჯახში უსიამოვნება სუფევდა.

გამოკითხულთა შორის მეტად მაღალია (11,78 პროცენტი) იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებსაც ჰყავთ ნასამართლევი ოჯახის წევრი. ეს მოწმობს, რომ ბევრი ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლის ოჯახში არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი.

გამოკვლევის პროცესში შესწავლილ იქნა აგრეთვე ხაკითხთა გარკვეული წრე, რომლებიც ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების სწავლას შეეხება. ამის გამო, რომ გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი გამოკვლევის დროისათვის უკვე აღარ სწავლობდა, ჩვენ იმითაც დავინტერესდით, თუ როგორი იყო წარსულში მათი დამოკიდებულება სწავლისადმი.

დაგვაინტერესა იმ ხაკითხის შესწავლამ, თუ ხად სწავლობდნენ გამოკითხული პირები, ამისათვის გავაერთიანეთ ერთ ჯგუფში ყველა ის პირი, რომლებიც ხადმე სწავლობდნენ გამოკითხვის მომენტში ან თუნდაც უსწავლიათ წინათ.

ზოგადხანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა გამოკითხულთა 46,02 პროცენტი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში — 16,62 პროცენტი, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში — 21,86 პროცენტი.

გამოკითხულთა საერთო მასიდან 47,95 პროცენტს ანუ თითქმის ნახევარს ჰქონდა ცუდი აკადემიური წარმატება ანუ ოროსანი იყო, ხოლო კარგად (ხუთებზე და ოთხებზე) სწავლობდა სულ 3,42 პროცენტი. ამგვარად, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა შორის მეტად მაღალია ისეთ პირთა ხვედრითი წილი, რომლებიც ცუდად სწავლობდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ცუდი აკადემიური წარმატება ხშირად არამარტო წინ უსწრებს ზოლმე პიროვნების მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების დაწყებას, არამედ ნარკოტიკების ხმარების გარდაუვალი შედეგია, რადგან უცილობლად მივყავართ ადამიანის პიროვნების დაკნინებამდე, მის ინტელექტუალურ და ზნეობრივ დაქვეითებამდე.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების დიდ უმრავლესობას არა მარტო ცუდი აკადემიური წარმატება ჰქონდა, არამედ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ხასწავლებლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათგან მხოლოდ 1,59 პროცენტი ახრულებდა რაიმე ხაზოგადოებრივ დავალებას.

ყოველივე ეს ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მეტად დაბალ ხაზოგადოებრივ აქტიურობას მოწმობს. იმ პირთა შორისაც კი, რომლებიც კარგად ან დამაკმაყოფილებლად სწავლობდნენ, მხოლოდ ერთეულები ახრულებდნენ ამა თუ იმ ხაზოგადოებრივ დავალებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ხაზოგადოებრივი ცხოვრებიდან ასეთი განდგომა უდავოდ ხელს უწყობდა კოლექტივისაგან ამ პირთა იზოლაციას და მათს დაკავშირებას ნარკოტიკების მომხმარებელთა დევიანტურ ჯგუფებთან.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რა ხაქმიანობას ეწეოდნენ გამოკითხულები გამოკვლევის პერი-

ოდში. აღმოჩნდა, რომ 45,65 პროცენტი არ ეწეოდა არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას, ე. ი. იყო მუქთახორა.

ეს კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სწავლისა და შრომისადმი ნეგატიური დამოკიდებულება არის ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღების დაწყების როგორც მიზეზი, ისე მისი გარდაუვალი შედეგი. ამიტომ სწავლისა და შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ არა მარტო ნარკოტიკულ ნივთიერებათა ის მომხმარებლები, რომლებიც არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას არ ეწევიან, არამედ ისინიც, რომლებიც მუშაობენ ან სწავლობენ.

საინტერესოა, რომ საქმიანობით დაკავებულ გამოკითხულთა მეტი ნაწილი გამოკითხვის მომენტში კი არ მუშაობდა, არამედ სწავლობდა, ამიტომ ჩვენ დაგვაინტერესა, თუ რა სახის სასწავლებლებში ირიცხებოდნენ ისინი.

გამოირკვა, რომ მათ უდიდეს უმრავლესობას — 59,90 პროცენტს სტუდენტები შეადგენენ. ხვედრითი წილის მიხედვით ახინი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს 2-ჯერ, ხოლო ტექნიკუმის მოსწავლეებს 10-ჯერ სჭარბობენ. ეს სხვაობა კიდევ უფრო მკვეთრი ხდება მონაცემების მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობაზე გადაანგარიშებისას. კერძოდ, სტუდენტების ხვედრითი წილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისას 28-ჯერ ჭარბობს. ამავე მეთოდიკის გამოყენებით პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა შორის ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა წილი 9-ჯერ მაღალია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან შედარებით, რაც იმას მოწმობს, რომ საჭიროა არსებითად გარდაიქმნას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ამ სასწავლებლებში.

ამგვარად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების გავრცელების თვალსაზრისით უველა კატეგორიის მოსწავლე ახალგაზრდებში და საზოგადოდაც, უველაზე დაზიანებულად სტუდენტი ახალგაზრდობა უნდა მივიჩნიოთ, რაც მოწმობს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების მუშაობაში ხერხოვნული ხარვეზებია და აუცილებელია მათი უმოკლეს ვადაში დაძლევა.

რაც შეეხება მომუშავე ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებს, მათგან 50,68 პროცენტი იყო მუშა, 3,5 პროცენტი — მძღოლი, 7,43 პროცენტი — მომსახურეობის სფეროს მუშაკი და ა. შ. საყურადღებოა, რომ მათ შორის 2,03 პროცენტი იყო ექიმი, 2,03 პროცენტი — პედაგოგი, მაშინ, როდესაც არ იყო არც ერთი მეცნიერი მუშაკი და სამხედრო მოსამსახურე.

ამ ჯგუფში შემავალ ნარკოტიკების მომხმარებელთაგან მსუბუქ მრეწველობაში იყო დასაქმებული 29,09 პროცენტი, ტრანსპორტზე — 10,81 პროცენტი, მშენებლობაში — 8,78 პროცენტი, მძიმე მრეწველობაში — 7,43 პროცენტი, კულტურის სფეროში — 6,08 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვაში — 3,38 პროცენტი და ა. შ.

ამგვარად, მომუშავე ნარკომანთა თითქმის $1/2$-ს მოსამსახურეები შეადგენდნენ. მძიმე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მათი 1/10 ნაწილი, ხოლო მძიმე ფიზიკურ შრომას არ ეწეოდა არც ერთი მათგანი. რაც შეეხება მუშებს, მათი უმრავლესობა ხელარმოსათვის შემთხვევითი პიროვნება იყო, ხშირად აცდენდა სამუშაოს და არღვევდა შრომის დისციპლინას.

გამოკითხულ მომუშავეთა უდიდესი უმრავლესობა — 97,29 პროცენტი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა შრომითი კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის არ იყო არც ერთი საზოგადოებრივი აქტივისტი, რადგან, როგორც ეს გამოკითხვის პროცესში დადგინდა, ის 2.71 პროცენტი, რომელსაც ჰქონდა რაიმე საზოგადოებრივი დავალება, მას ფორმალურად და გულგრილად ეკიდებოდა.

ჩვენ შევისწავლეთ აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლების დამოკიდებულება ლიტერატურისა, ხელოვნებისა და სპორტის მიმართ.

როგორც დადგინდა, მათი უდიდესი უმრავლესობა სრულიად გულგრილია მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების მიმართ, არ კითხულობს პერიოდულ პრესას, არ მისდევს ფიზკულტურასა და სპორტს და ა. შ. იმ მცირე ნაწილმაც, კი, რომელმაც თქვა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება მაინტერესებსო, ერთეულთა გარდა, გამოკითხვის პროცესში გამოამჟღავნა სრული უვიცობა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, უგემოვნობა და სხვა, რაც მათი განვითარების დაბალი დონის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

საინტერესო შედეგები მოგვცა აგრეთვე იმ საკითხის შესწავლამ, თუ რა სიხშირით ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებას გამოკითხულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ხშირად, ვიდრე დღეში 2-ჯერ. ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობს გამოკითხულთა 47 პროცენტი, ანუ თითქმის 1/2 ნაწილი, დღეში 2-ჯერ ნარკოტიკულ ნივთიერებას ხმარობს გამოკითხულთა 25,74 პროცენტი, ხოლო დღეში ერთხელ 15,60 პროცენტი. თუ ამ მონაცემებს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ დღეში ერთხელ და უფრო ხშირად ნარკოტიკულ ნივთიერებას ხმარობს გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა — 88,88 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ძირითადი ნაწილი ქრონიკული ნარკომანია. გამოკითხულთა მხოლოდ 14,54 პროცენტი ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ერთ წელზე ნაკლები დროის მანძილზე. სამი წელია, რაც ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობს გამოკითხულთა 40,85 პროცენტი. დანარჩენები ნარკოტიკების მოხმარებას უფრო მეტი ხანია მისდევენ. არიან ისეთებიც, ვინც 10 წელზე მეტია ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებებს. მათი ხვედრითი წილი 13,90 პროცენტს აღწევს.

25 წლის ასაკამდე დაიწყო ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღება გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ — 85,43 პროცენტმა, ხოლო 20 წლის ასაკამდე — 44,77 პროცენტმა ანუ თითქმის ნახევარმა. ამგვარად, გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ნარკოტიკების მიღება ადრეულ ახალგაზრდობაში დაიწყო და გამოკითხვის პერიოდისათვის ქრონიკული ნარკომანი იყო.

საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ — 78,86 პროცენტმა ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღება სხვა პირების გავლენით დაიწყო. მათგან 51,80 პროცენტმა უჩვენა, რომ გავლენა მოახდინა ამხანაგმა ან მეგობარმა, ხოლო 27,32 პროცენტზე — შემთხვევით გაცნობილმა ნარკომანმა. ამავე დროს თანაკლასელის, თანაკურსელის, თანამშრომლის გავლენით ნარკოტიკების მიღება დაიწყო გამოკითხულთა 4,65 პროცენტმა, ხოლო ოჯახის წევრთა (ქმარი, ცოლი, ძმა, და) გავლენით კიდევ უფრო ნაკლებმა — 3,49 პროცენტმა. აღსანიშნავია, რომ იმ პირთაგან, რომელთა გავლენითაც დაიწყეს ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება გამოკითხულებმა, 98,60 პროცენტი თვითონ იყო ნარკომანი.

ამგვარად, გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარება სხვა ნარკომანების გავლენით დაიწყო. ზეგავლენა უმეტესად გამოიხატებოდა გამოკითხულთა ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებაზე დაყოლიებით რაც ადასტურებს, რომ ამ მიკრობის გავრცელებაში ნარკომანთა აქტიური მოქმედება გადამწყვეტ როლს ასრულებდა.

ის პირები, რომლებიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს სხვებთან ერთად ხმარობდნენ, გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას — 86,11 პროცენტს შეადგენენ. თუ ამ კატეგორიის გამოკითხულებს 100 პროცენტად მივიჩნევთ, დავინახავთ, რომ მათი უდიდესი ნაწილი ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობს ამხანაგებთან, მეგობრებთან და ნაცნობებთან ერთად. კერძოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებებს იღებს ამხანაგებთან ერთად 65,75 პროცენტი, ნაცნობებთან ერთად — 48,82 პროცენტი, მეგობრებთან ერთად — 21,56 პროცენტი, მაშინ როდესაც ქმართან ან ცოლთან ერთად ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობს მხოლოდ გამოკითხულთა 1,85 პროცენტი, ხოლო ძმასთან ან დასთან ერთად კიდევ უფრო ნაკლები — 0,66 პროცენტი. გამოკითხულთაგან არც ერთმა არ დაასახელა მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები იმ პირთა შორის, რომლებთანაც ერთად ისინი ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობენ.

ამგვარად, იმ პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად იყენებენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ყალიბდება არა სისხლით ნათესაობის, არამედ ამხანაგობის, მეგობრობისა და ნაცნობობის პრინციპით, ხშირად ნაცნობობა და ამხანაგობა ედება საფუძვლად ნარკოტიკული ნივთიერებების შოვნასა და მოხმარებას, რაც იმას მოწმობს, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებს ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები აქვთ და უარყოფითად, გამხრწნელად მოქმედებენ ერთმანეთზე.

ვამოკვლევით დადგინდა აგრეთვე საკითხი, თუ როგორ მოქმედებს, გამოკითხულების აზრით, ნარკოტიკული ნივთიერებები მათს ჯანმრთელობაზე.

უდიდესი უმრავლესობა თვლის, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. კერძოდ, 40,66 პროცენტმა აღიარა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები დამღუპველად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე, ხოლო 36,68 პროცენტმა აღნიშნა ნარკოტიკების უარყოფითი ზემოქმედება ჯანმრთელობაზე. გამოკითხულთა 20,78 პროცენტმა ანუ მეზუთედმა მიუთითა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები არ ახდენს მათ ჯანმრთელობაზე უარყოფით ზემოქმედებას. ამ კატეგორიას ძირითადად მიეკუთვნებიან დამწყები ნარკომანები სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის წრიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ მათ ორგანიზმზე ნარკოტიკული ნივთიერებების უარყოფით ზეგავლენას. იმ პირთა უდიდესი უმრავლესობის ჯანმრთელობა, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხასტემატურად ხმარობენ ნარკოტიკულ ნივთიერებებს, სერიოზულად არის შერყეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების გამო გამოკითხულთა 6,88 პროცენტს სრული იმპოტენცია განუვითარდა, ხოლო 34,89 პროცენტი უჩივის სქესობრივი უნარის მკვეთრ დაქვეითებას. გამოკითხულთა 20,96 პროცენტიდან, ვინც თავი შეიკავა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან, გარკვეული ნაწილი აგრეთვე იმპოტენტია ან გრძნობს სქესობრივი პოტენციის საგრძნობ დაქვეითებას და სწორედ ამიტომ შეიკავა თავი პასუხისაგან. ამგვარად, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებიდან ნახევრზე მეტს სქესობრივი ფუნქციის მეტნაკლებად ხერიოზული დარღვევა აქვს.

ამგვარად, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სქესობრივი ფუნქციის სერიოზული დარღვევა ფართოდ არის გავრცელებული ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა შორის, რასაც თავის მხრივ მივყეავართ მთელ რიგ მძიმე შედეგებამდე ხალხთა ურთიერთობებში.

გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი — 78,82 პროცენტი თვლის, რომ უძლურია წინ აღუდგეს ნარკოტიკების მიღების დაუოკებელ, ავადმყოფურ ხურვილს. როგორც ცნობილია, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებას მათი მიღების ავადმყოფური, ხშირად დაუძლეველი სურვილის გაჩენა მოხდევს, რაც ძირითადად აბსტინენციის ანუ ნარკოტიკული შიმშილის განვითარებით აიხსნება.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებას საბოლოოდ მივყავართ პიროვნების არა მარტო ფიზიკურ და ინტელექტუალურ დეგრადაციამდე, არამედ ზნეობრივ გადაგვარებამდე და დანაშაულობამდე. ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარების შედეგად შრომის უნარის მკვეთრი დაქვეითების ფონზე, სწრაფად იზრდება ტოლერანტობა და ძლიერდება აბსტინენცია. ამის გამო ნარკომანი იძულებულია მკვეთრად გაზარდოს ნარკოტიკულ ნივთიერებათა დოზები, მაშინ, როდესაც ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. დასამალი არ არის, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შეძენა მხოლოდ „შავ ბაზარზე" შეიძლება, სადაც ამ ნივთიერებებს მამახინჯებელ უდიან დამნაშავე ელემენტები. ამიტომ ნარკოტიკული ნივთიერებების ყოველი მომხმარებელი ადრე თუ გვიან მიმართავს ნარკოტიკების შეძენისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრების მოპოვების კრიმინალურ ხაშუალებებს. ეს და მთელი რიგი სხვა მიზეზები განაპირობებს დამნაშავეობის მაღალ დონეს ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლებს შორის.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მიზანი და მოტივი ამოძრავებდა დანაშაულის ჩამდენ ნარკომანებს, რომლებიც გამოკითხვის მომენტში სასჯელს იხდიდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

ამ კითხვაზე გამოკითხულთა დაახლოებით 3/4-მა გვიპასუხა, რომ დანაშაულის ჩადენისას მათ ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენის ხურვილი ამოძრავებდა.

ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების გავრცელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობ მნიშვნელოვან პირობად მივიჩნიოთ, რაც კიდევ უფრო ზრდის მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს და მიუთითებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ნარკომანიას ჩვენს რესპუბლიკაში არა ჰქონია რამდენადმე მნიშვნელოვანი გავრცელება, მაინც არიან ადამიანები, ძირითადად ახალგაზრდები. პირველ რიგში კი სტუდენტები, რომლებიც ხმარობდნენ სხვადასხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებს. სწორედ ეს გვიკარნახებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას, რასაც ბოლო ხანს ხერიოზულად მოჰკიდეს ხელი ჩვენმა ხაბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა.

საკატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით აფხაზეთის ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატებს ტატიანა ლუკას ასულ კაკაბაძეს და ნირბაი დავითის ძე პაპასკირს მიენიჭათ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სხდომა

1982 წლის 28 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სხდომა.

ინფორმაცია სკკპ XXVI ყრილობისა და 1982 წლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად „სახელმწიფო ორგანოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის კომპლექსურ ღონისძიებათა ორწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ გაეკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკური საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ ზ. რატიანმა. შემდეგ მომხსენებელმა ისაუბრა თუ როგორ სრულდება სადირექტივო ორგანოთა მითითებები „სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა გაუმჯობესების“ თაობაზე.

მოხსენება „სამართლის პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ“ ქობულეთისა და ხიდნალის რაიონებში გაეკეთა სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმართველოს უფროსმა კონსულტანტმა მ. კოტრიკაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქობულეთის რაიონში სამართალაღმზრდელობითს საქმიანობას წარმართავს სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭო, რომლის ხელმძღვანელობით რაიონში შემუშავებულია კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები, ეწყობა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის კვირეულები, სამდღიურები, თეორიული კონფერენციები, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შეხვედრები რაიონის მშრომელებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის კვირეული დევიზით „დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკა მთელი საზოგადოების ამოცანაა“. აღსანიშნავია, რომ საბჭოს 1982 წელს პარტიის ქობულეთის რაიკომის ბიუროზე გატანილი აქვს ორი საკითხი. „რაიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის გაწეული მუშაობის შესახებ“ და „რაიონში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წამოჭრილ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის გაწეული მუშაობის შესახებ“. საბჭოს ინიციატივით რაიონში შექმნილია კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბი, რომელშიც გაერთიანებულია რაიონის აქტივი. შარშან თებერვალში რაიონის სამართლის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბის გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის ყველა მშრომელისადმი — „რაიონში მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

მშრომელთა სამართლებრივი აღზრდისა და საბჭოთა კანონების პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საზოგადოება „ცოდნის რაიონული ორგანიზაცია (პასუხისმგებელი მდივანი — ო. ხვიჩია). შექმნილია საზოგადოება „ცოდნის“ ადმინისტრაციული ორგანოების პირველადი ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებულია საზოგადოების 15 წევრი. მათი ძალებით 1981 წელს წაკითხულია 165 ლექცია, ხოლო 1982 წლის 10 თვეში 142. სალექციო თემატიკა უპასუხებს სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს. ლექციების პარალელურად „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაცია თანამიმდევრულად აწყობს მახობრივ პროპაგანდისტულ ღონისძიებებს, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით სამეცნიერო-პრაქტიკულ და თეორიულ კონფერენციებს, ლექტორთა დღეებს, კითხვა-პასუხის საღამოებს და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული გაზეთი „ლენინელი“ (რედაქტორი ა. დოლიძე) სისტემატურად აშუქებს სამართლებრივი აღზრდის საკითხებს. პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით რედაქციასთან შექმნილია მორალისა და სამართლის შტატგარეშე განყოფილება, რომელსაც შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე დ. ხახუტაშვილი ხელმძღვანელობს. მოქმედებს რუბრიკები: „ადამიანი და კანონი“, „სამართლებრივი აღზრდა მასებს“, „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“. სამართლებრივი აღზრდისა და პროფილაქტიკის საკითხებზე 1982 წელს გაზეთში დაიბეჭდა 163 წერილი, მათგან რუბრიკით „სამართალდარღვევათა აღკვეთა ჩემი, შენი, ყველას დღენიადაგ საზრუნავი“ — 20 წერილი.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის მოსახლეობას ემსახურება 6 კულტურის სახლი, 23 კლუბი და 62 ბიბლიოთეკა, აღსანიშნავია, რომ კულტურის სახლში კულტსაგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებათა მუშაკთათვის შექმნილია კულტურის სახალხო უნივერსიტეტი — სამართალმცოდნეობის ფაკულტეტით (რექტორი — კულტურის განყოფილების გამგე ლ. რუხაძე).

რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, სათანადო ადგილი უკავია დანაშაულის პროფილაქტიკისა და სამართალაღმზრდელობითს მუშაობას, სამართალდაცვითი ორგანოების მონაწილეობით სისტემატურად ეწყობა სამართლის პროპაგანდისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების კვირეულები, დეკადები და ა. შ. 1982 წელს რაიონის პროკურატურის, შინაგან საქმეთა განყოფილებისა და სახალხო სასამართლოს, აგრეთვე ნოტარიატისა და მმაჩის ბიუროს მუშაკთა ძალებით წაკითხულია 112 ლექცია, პრესაში გამოქვეყნდა 20 სტატია.

სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიულ ჯგუფს (უფროსი — ვ. ოქროპირიძე), რომელიც საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში სისტემატურად ატარებს ლექციებს სამართლებრივ თემებზე, 1982 წელს წაკითხულია 145 ლექცია. აგროსამრეწველო გაერთიანებასთან მოქმედებს მუდმივმოქმედი კურსები, სადაც სამართლებრივ ცოდნას იღრმავებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. სოფლის მეურნეობის მშრომელთა სამართლებრივ აღზრდას ემსახურება ქობულეთის რაიონის ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობასთან არსებული სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც გაერთიანებულია 155 მსმენელი. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებში და სოციალისტურ ვალდებულებებში გათვალისწინებულია სამართლებრივი აღზრდის კონკრეტული საკითხები, რაც იურიდიული ჯგუფის დადებითი საქმიანობის შედეგია.

ამასთან ერთად, აღნიშნა მომხსენებელმა, ქობულეთის რაიონში, სამართლებრივი პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საზით გაწეულ საქმიანობაში არის ნაკლოვანებანიც. კერძოდ, საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სამუშაო გეგმები ზოგჯერ იდენტურია, არ ხორციელდება კონტროლი წერილობით მიღებული რეკომენდაციების შესრულებისადმი, საბჭოს თავის სხდომებზე არ განუხილავს ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიც არის სამართალაღმზრდელობითს საქმიანობაში ადგილობრივი მასობრივი საშუალებების გამოყენება. ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი გაზეთის „ლენინელის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა წარმოადგენს მომხდარ დანაშაულობათა ქრონიკას და მთლიანად არ ემსახურება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის დარაზმვის საქმეს.

შემდეგ მომხსენებელმა ისაუბრა ხიღნაღის რაიონში სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობის შესახებ. რაიონში სამართალაღმზრდელობითს საქმიანობას წარმართავს სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭო (თავმჯდომარე — ბ. ნადაშვილი) წლიური და კვარტალური გეგმების საფუძველზე. საბჭოს ხელმძღვანელობით, საზოგადოება „ცოდნის“ სახით შარშან წაკითხულია 35 ლექცია.

რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ რედაქციასთან შექმნილია მორალისა და სამართლის შტატგარეშე განყოფილება, გაზეთს შემოღებული აქვს რუბრიკები: „საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე“, „ იურიდიული ცოდნა მასებს“, „სახალხო სასამართლო დარბაზიდან“, „დავგმოთ რაც დახაგმობია“, და სხვა.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან რაიონის სახალხო სასამართლო და პროკურატურა. სისტემატურად ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან, ანგარიშები მშრომელთა კრებებზე, მოხსენებები სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიებზე, გამოსვლები ადგილობრივი რადიოთი და ა. შ. რაიონის სახალხო სასამართლოს ბაზაზე შექმნილია სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი — სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ს. კოპალიანაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიც გაერთიანებულია 140 მსმენელი.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ ხშირად საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს გეგმებში ახალგაზრდა ვერ პოულობს რაიონში სამართლებრივი აღზრდის კომპლექსური საკითხები. სხდომები არ იმართება სისტემატურად, საბჭო არ იღებს წერილობითს რეკომენდაციებს, არ ახორციელებს ღონისძიებებს, რათა დიდი შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკურ გეგმებში გაითვალისწინონ სამართლებრივი აღზრდის საკითხები, სათანადო ყურადღება არ ექცევა ლექციური პროპაგანდის ხარისხს. საბჭოს თავის ინიციატივით არ შეუსწავლია რაიონის საშუალო სკოლებში „ხაბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლების მდგომარეობის საკითხი და არ დაუსახავს ღონისძიებანი ამ საგნის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მაშინ, როცა სამართლებრივი ცოდნის დონე საშუალო სკოლებში მეტად დაბალია.

რაიონის საშუალო სკოლაში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგების განზოგადებით გამოირკვა, რომ გამოკითხულთა (სულ გამოკითხულია 100 მოსწავლე) 54,6 პროცენტმა არ იცის თუ რომელ ორგანოს აქვს კანონის მიღების უფლება, 51,2 პროცენტი ვერ ერკვევა თუ რომელი ორგანო ახორციელებს მართლმსაჯულებას, 75,1 პროცენტმა არ იცის თუ ვისა აქვს დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების უფლება, 81,2 პროცენტმა არ იცის თუ ვინ ახორციელებს ზედამხედველობას კანონების ზუსტად შესრულებისადმი, 82,2 პროცენტმა არ იცის თუ რომელია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო სსრ კავშირში, 89 პროცენტი ვერ ერკვევა, თუ რომელია უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო სსრ კავშირში და ა. შ.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რაიონში შექმნილი სამართალმცოდნეობის უნივერსიტეტი მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. მაგალითად, სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში გაერთიანებულია 140 მსმენელი, მაშინ, როდესაც რაიონში 430 ამხანაგური სასამართლოს წევრია, 870 სახალხო კონტროლიორია, 150 სახალხო მსაჯულია და ა. შ.

„სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებამისად რესპუბლიკის სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა ბ. მიქანაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს ზამართალმცოდნეობის 87 სახალხო უნივერსიტეტი, 108 ფაკულტეტით, რომელიც აერთიანებს 12.646-ზე მეტ მსმენელს. სახალხო უნივერსიტეტების უმრავლესობა მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების შესაბამისად. ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევა ქ. თბილისის პროფკავშირების კულტურის სახახლესთან არსებული სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ ნ. წერეთელი). ამ უნივერსიტეტში სრულდება საკონტროლო-საკურსო სამუშაოები, მზადდება რეფერატები, რეგულარულად ტარდება სემინარული მეცადინეობანი, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები და სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციები და ა. შ. უნივერსიტეტის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები, ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებელი მუშაკები.

ასევე აღსანიშნავია ქ. თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომის ბაზაზე არსებული სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი, ზ. მესენგბისერი). ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ქ. თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის № 2 საწარმოო გაერთიანებასთან არსებული უნივერსიტეტი, წყალტუბოს, აბაშის, მცხეთის, ქობულეთის, სიღნაღის რაიონების სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობა.

ამასთან ერთად, აღნიშნა მომხსენებელმა, ზოგი სამართალმცოდნეობის უნივერსიტეტის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სიღნაღის პარტიის რაიკომის მდივანმა ბ. ნადაშვილმა, ქობულეთის პარტიის რაიკომის აგიტაციაპროპაგანდის განყოფილების გამგემ ო. ანანიძემ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. როგავამ, ჟურნალ „ხაბჭოთა სამართლის“ მთავარმა რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქტორმა ო. კაციტაძემ, საქართველოს სსრ ეურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ბეთანიშვილმა და სხვებმა.

მუშაობის შედეგები შეაჯამა ზ. რატიანმა. საკოორდინაციო-მეთოდიკურმა საბჭომ ქობულეთის რაიონში სამართლებრივი პროპაგანდიდა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის ხაზით გაწეული საქმიანობა ძირითადად მოიწონა. საბჭომ სხვა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

* * *

მიმდინარე წლის 13 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო მეთოდიკური საბჭოს სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა.

სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

„ახალციხის, ბორჯომის, მარნეულისა და წითელწყაროს რაიონებში სამართლის პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ;“

„ახალციხის, მარნეულისა და წითელწყაროს რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა სისტემაში სამართალაღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ;“

„ცხაკაიას, კასპის, წულუკიძის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონული გაზეთების მიერ გაწეული სამართალაღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.“

ინფორმაციებით ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი ბ. მიქანაძე.

სხდომაზე ითქვა, რომ რაიონების სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო მეთოდიკურ საბჭოებს შემუშავებული აქვთ სამართლის პროპაგანდისა და სამართლებრივი აღზრდის კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები, რომელთა მიხედვითაც ეწყობა სამართლის ცოდნის პროპაგანდის კვირეულები, სამდღიურები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, საზოგადოება „ცოდნის“ საგზურებით სამართლებრივ თემებზე ხისტემატიურად იკითხება ლექციები. სამართლის პროპაგანდაში თავისი წვლილი შეაქვთ მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ საშუალებებს. ამასთან, აღნიშნა გ. მიქანაძემ, ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში სამართლის პროპაგანდისა და სამართალაღმზრდელობითი საქმიანობის ორგანიზაციაში არის ნაკლოვანებანი. კერძოდ, რაიონების საკოორდინაციო — მეთოდიკური საბჭოების სხდომები არ იმართება დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, სათანადო ყურადღება არ ექცევა სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი იურიდიული კონსულტაციების საქმიანობას, ლექციური პროპაგანდის ხარისხის აღმაღლებას, მის მიზანმიმართულებას, რის გამოც მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები მიწის, საკოლმეურნეო, შრომისა და საბინაო კანონმდებლობის საკითხებზე.

ახალციხის, მარნეულისა და წითელწყაროს რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა სისტემაში სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად გარკვეული მუშაობა წარმოებს კოლმეურნეთა შორის სამართალაღმზდელობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების როგორც ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ასევე სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების იურიდიულ ჯგუფებს. ჯგუფების მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების დაცვის, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად, კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს, პერიოდულად აწყობენ სამართლის პროპაგანდის დღეებს და ა. შ. ამასთან სხდომაზე ითქვა, რომ ახალციხის, მარნეულისა და წითელწყაროს რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა სისტემაში სამართალაღმზრდელობითს საქმიანობაში მთელი რიგი ნაკლოვანებებია.

ამ რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმაში გათვალისწინებული არ არის სამართლებრივი აღზრდის საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე არსებობს არაერთი რეკომენდაცია და მითითება.

კოლმეურნეობათა გამგეობები ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. არის საკარმიდამო მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხშირად იურიდიული ცოდნის ლექციური პროპაგანდა ნაკლებად მიზანსწრაფულია. ლექციების თემატიკა არ ითვალისწინებს ადგილებზე ოპერატიულ ვითარებას, ზოგჯერ კი ლექციები საერთოდ არ იკითხება. მაგალითად, მარნეულის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების იურისტებს 1980-1982 წლებში სამართლებრივ თემებზე ლექციები არ წაუკითხავთ, ხოლო წილეთწყაროს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული ჯგუფის მუშაკებს წაკითხული აქვთ მხოლოდ 8 ლექცია.

დახახრულს გ. მიქანაძე შეეხო ადგილობრივი პრესის მიერ სამართლის პროპაგანდიზა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დარგში გაწეულ საქმიანობას. ითქვა, რომ ყურადღებას იმსახურებს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის, მშრომელთა მართლშეგნების დონის შემდგომი ამაღლებისა და საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის ხაზით ცხაკაიას, კასპის, წულუკიძის, ახალციხის, ბორჯომის რაიონული გაზეთების მუშაობა.

1982 წელს ამ გაზეთებში სამართლებრივ საკითხებზე გამოქვეყნდა 217 მასალა. პუბლიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სოციალისტური კანონიერების განმტკიცების; სახელმწიფო ქონების დატაცების, სპეკულაციის, მუქთახორობისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. გაზეთის რედაქციებთან შექმნილია მორალისა და სამართლის შტატგარეშე განყოფილებები, შემოღებულია მუდმივმოქმედი რუბრიკები: „ადამიანი და კანონი", „იურიდიული ცოდნა მასებს", „წესრიგი ყველგან — ყველაფერში", „სასამართლო ქრონიკა", „შემთხვევები", „ცნობები მილიციის სამორიგეოდან", „წესრიგის არც ერთი დამრღვევი ჩვენს გვერდით", „წესრიგი ყველგან და ყოველთვის".

ამასთან, ამ გაზეთების საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს საპროგრამო დადგენილებით დასახულ ამოცანებს: ზოგჯერ რედაქციების პუბლიკაციებში გაშუქებული არ არის დანაშაულის წარმომშობი მიზეზები, გაზეთები გადატვირთულია ერთი და იგივე შინაარსის მასალებით, ვსვდებით კანონის უზუსტო განმარტებასაც, მაგალითად, წულუკიძის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში „მამობის დადგენა განსაკუთრებული წარმოების წესით". გაზეთების რედაქციასთან არსებული მორალისა და სამართლის შტატგარეშე განყოფილებები აქტიურად არ არიან ჩაბმული რედაქციის მუშაობაში, მათი ინიციატივით ნაკლებად მზადდება მასალები, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა ავტორებთან და სხვ.

ნაკლებ ყურადღებას უთმობენ გაზეთები თავის ფურცლებზე სამოქალაქო, საოჯახო და საქორწინო, სანიენაო, საპენსიო, მიწის კანონმდებლობის საკითხების გაშუქებას, შრომითს კოლექტივებში მართლწესრიგის დაცვის მდგომარეობას, სამართალმზრდელობით მუშაობას სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ა. ანჭვაბი, საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი მ. სტაშაძე, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე შ. ტაბიძე, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მთავარი რედაქტორი ო. კაციტაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. რობინიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პროორექტორი შ. პაპიძე, ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის" რედაქტორი შ. ხატიძე, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის მდივანი ნ. ბეთანიშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ბაღაშვილი, კასპის რაიონული გაზეთის „განთიადის" რედაქტორი თ. შეშაბერიძე, წულუკიძის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" რედაქტორი ვ. გულეიშვილი, მარნეულის რაიონის კულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ბ. დარბაიძე და სხვები.

საკოორდინაციო-მეთოდიკურმა საბჭომ განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

ვ. ფულაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები ავტორთა შესახებ

გერასიმე სავსონის ძე ფირცხალავა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიის ისტორიის № 1 კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 83 შრომისა და 7 მონოგრაფიის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 41 მეცნიერული შრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ელდარ ალექსანდრეს ძე ახვლედიანი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის მასწავლებელი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შოთა ვლადიმერის ძე კუკულაძე -- ლანჩხუთის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე-ადვოკატი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ელშად გაჯის ძე დაზთამიროვი — გარდაბნის რაიონის სახალხო მოსამართლე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გაღრი ჰასან ნაგი ფარვიზფური — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 3 მონოგრაფიისა და 5 შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ვახტანგ ალექსანდრეს ძე სიდამონიძე — ადვოკატი, 11 შრომისა და 2 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გიორგი ტერენტის ძე ტყეშელიაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი ნაშრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შენობა. ბ. სეირანიანის სლაიდი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 3. 1983 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

0 7146

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 ბბვ.

ინდექსი 76185